გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№56 (812) 22 - 23 მაისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**20 გვერდი 40 თეთრი**

# ნაციონალური მოძრაობა ხერხემალში გადაამტვრიეს!



ვანო მერაბიშვილს 7-დან 12 წლამდე პატიმრობა გირგვლიანისა და 26 მაისის საქმეებით დაემუქრება! ზურაბ ჭიაბერაშვილს დიპლომატიური კორპუსი თავლებში უდგება!

22 მაისიდან ნაციონალური მოძრაობა მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადადის და ხალხმრავალ აქციებს იწყებს.
## ობიექტური ვერსია



**გიორგი კობახიძე: „ნინო ბურჯანაძე ოპოზიციის საერთო კანდიდატი უნდა იყოს და ამაზე არჩევნების ბოლო დღემდე ვიმუშავებთ"**

## რა პროგრამებს აფინანსებს სახელმწიფო ონკოლოგიაში

## შიდსის საგანგაშო სტატისტიკა

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში 21 მაისის მონაცემებით, შიდსის ვირუსით ინფიცირების 3821 შემთხვევაა რეგისტრირებული. მათ შორის მიმდინარე წელს 178 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა

## სამართალი

**გამამართლებელი განაჩენების უმეტესობა ქალი მოსამართლეების მიერაა გამოტანილი**

**კონსტანტინე სურგულაძე**



არალეგალი ემიგრანტები 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას შეძლებენ!

მედია-კავშირი ობიექტივი FM 105.0 www.obieqtivi.net

ობიექტური ვერსია

იშოვით თქვენი www.versia.ge

ვერსია

# გიორგი კობახიძე: „ნინო ბურჯანაძე ოპოზიციის საერთო კანიდატი უნდა იყოს და ამაზე არჩევნების ბოლო დღემდე ვიმუშავებთ“



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**სახალხო კრების აღმასრულებელმა საბჭომ 20 მაისს ნინო ბურჯანაძე საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა! დღეს ნინო ბურჯანაძე სპეციალური ვიზიტით უცხოეთში იმყოფება, საქართველოში მისი დაბრუნების შემდეგ კი პარტია დანარჩენ ოპოზიციასთან ღია მოლაპარაკებებს იწყებს, საერთო საპრეზიდენტო კანდიდატზე შესათანხმებლად. ამის შესახებ „ვერსიას“ გიორგი კობახიძემ, ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრმა განუცხადა, რომელიც „ვერსიისა“ და ტელევიზია „ობიექტივის“ ერთობლივი პროექტის, „ვერსიის საათის“ სტუმარი იყო. გიორგი კობახიძე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე საინტერესო მოვლენებს მიმოიხილავს, ღიად საუბრობს „ოცნებისა“ და ნაციონალების ინტერესების გადაკვეთასა და იმ გაუგებარ კონსტიტუციურ მოდელზე, რომელსაც ეს ორი ძალა მოსახლეობას ახვევს თავს და საკუთარი პარტიის მიერ დასახულ ორ ძირითად ამოცანას ასახელებს — ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება ქვეყანაში.**

— რეჟიმის გასამართლების მოთხოვნა დღის წესრიგში დღეს და გუშინ არ დამდგარა — ეს თემა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდეც აქტუალური იყო და ასეა ახლაც. ხელისუფლებაში ივანიშვილიც ამ მოთხოვნამ მოიყვანა — ჩვენ ქვეყანა უნდა გაგვეთავისუფლებინა მოძალადე რეჟიმისგან და საქართველოში სისტემა უნდა შეცვლილიყო! ადრე ყველა უბედურებას სწორედ სისტემას ვაბრალებდით, მაგრამ დღეს, სხვა ხელისუფლების პირობებში, როცა ყველამ კარგად ვიცით, რომ მოქმედი კონსტიტუცია უვარგისია, მაინც არაფერი იცვლება. პირიქით, სუპერსაპრეზიდენტო მოდელიდან გადავდივართ სუპერსაპრემიერო მოდელზე, როგორც მას სწორად უწოდეს!

**„ორი ძირითადი ამოცანა გვაქვს — ნინო ბურჯანაძის გამარჯვება და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება“**

**— „ოცნების“ დაპირება კი ის იყო, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეცვლიდა კონსტიტუციას და შექმნიდა საკონსტიტუციო კომისიას. რატომ არ სრულდება ეს დაპირება?**

— მეტსაც გეტყვით, იმ კონსტიტუციით, რომელიც ძალაში ცოტა ხანში უნდა შევიდეს, არც საპრეზიდენტო მოდელი ვარ და არც საპარლამენტო. თავისი შინაარსით, კონსტიტუცია იყო ის ჩოხა, რომელიც სააკაშვილის ტანზე შეიკერა და რა ხდება ახლა — თუ ამ კონსტიტუციაში ძირეულ ცვლილებებს არ შევიტანთ, ე.ი. „ოცნება“ სააკაშვილზე შეკერილ ჩოხას საკუთარ ტანზე მოირგებს? ეს ძალიან ცუდად დაახასიათებს „ოცნებას“ და ხალხის დამოკიდებულებაც ივანიშვილის მიმართ სერიოზულად უარყოფითი გახდება — მას ხალხი მარტივად შეახსენებს, ჩვენ ამაზე არ შევთანხმებულვართო! პირველივე დღეებში, რაც „ოცნება“ მთავრობაში მოვიდა, მანვე დააყენა საკონსტიტუციო კომისიის შექმნის საკითხი. შემდეგ ეს საკითხი გადაიდო. მერე თებერვალში გაკეთდა განცხადება, რომ ეს კომისია შეიქმნებოდა და აგერ, მას მერე უკვე სამი თვე გავიდა. დღესაც იმაზეა საუბარი, სასწრაფოდ, ამ თვის ბოლოს კომისია უნდა შეიქმნას და თვენახევარში გვაქვს ყველაფერი მოსასწრებიო. შე მამაცხონებულო, რატომ მიგყავს საქმე იქამდე, რომ ბოლო თვენახევარი მოიტოვო?! იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ოცნებას“ ეს ყველაფერი აწყობს! არადა, პრეზიდენტის, თუნდაც როგორც სიმბოლური სახის, არბიტრის, მაგრამ მაინც მთავარსარდლის ფუნქცია ყველაზე მეტად არ უხდება „ოცნების“ მიერ წარდგენილ კანდიდატს, გიორგი მარგველაშვილს!

**— მარგველაშვილი პრემიერმა ივანიშვილმა უალტერნატივო კანდიდატად დაასახელა და თქვა, რომ მის შეცვლას არ აპირებს — თქვენი აზრით, რა ნიშნით შეირჩა მარგველაშვილის ფიგურა?**

— ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი კონსტიტუციის შინაარსია, ვიდრე გიორგი მარგველაშვილი. ფილოსოფიური საუბრებისთვის პრეზიდენტის არჩევა გამართლებული არ არის, თუნდაც ამ საუბრების მეორე მხარე პრემიერ-მინისტრი იყოს. ამიტომ მექნება შთაბეჭდილება, რომ „ოცნებას“ ეს ვარიანტი აწყობს და გამოდის, უნდა ვიფიქრო, რომ „ოცნება“ ერთმმართველობისკენ მიდის! ქართულ საზოგადოებას მოვუწოდებ, რაც უფრო ძლიერ ფიგურას ავირჩევთ პოლიტიკური თვალსაზრისით, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის.

**— ძლიერ ფიგურას „ოცნებიდან“ თუ სხვა პარტიიდან?**

— რა თქმა უნდა, სხვა პარტიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებთ ნაციონალების გზას და მივდივართ ერთპარტიული სისტემისკენ! ქვეყანაში, სადაც არ არის კონკურენცია, არ არის პროგრესი, აქ არ არსებობს კარგი და ცუდი ადამიანი — როცა ცუდ პოლიტიკურ სისტემაზეა საუბარი, ყველა კარგი ადამიანი საბოლოოდ ცუდი ხდება. ყველაზე კარგი ბალერინაც რომ იყოს ქვეყნის ერთმმართველი პრეზიდენტი, იგი აუცილებლად იქცევა დიქტატორად! გიორგი მარგველაშვილს ჩემს ახლობლად მივიჩნევ და მასაც იგივე დამოკიდებულება აქვს ჩემდამი, მაგრამ ახლა პოლიტიკაზე ვსაუბრობთ და არა პიროვნულ თვისებებზე.

**— მარგველაშვილის აპოლიტიკურ წარსულში, მას კრებასთან საერთო გადაკვეთის წერტილი აქვს — უქმნის თუ არა ეს უხერხულობას თქვენს პარტიას?**

— აქ უხერხულობას ვერსად ვხედავ — როცა პოლიტიკაზეა საუბარი, უხერხულობა არაფერ შუაშია. თუ ასეა, ნინო ბურჯანაძე და გიორგი მარგველაშვილი ერთმანეთისთვის ძალიან ახლობლები არიან, მაგრამ აქ მანკიერ პოლიტიკურ სისტემას უნდა მივაქციოთ ყურადღება და არა პირად ურთიერთობებს. „ოცნების“ კანდიდატის სათავეში მოსვლით, პრემიერი ხელშეუხებელი გახდება და რამდენი ხანიც ექნება ქვეყნის მართვის სურვილი, იმდენ ხანს შეეძლება პოსტზე დარჩენა! მეტსაც გეტყვით, ერთპარტიული, თუნდაც ორპარტიული მმართველობა ქვეყანას კარგს არაფერს უქადის.

**— დიდი ხანია საუბრობთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, მაგრამ რა შედეგსა და ცვლილებებს უნდა ველოდეთ თუნდაც ხელახალი არჩევნებისგან, თუკი შუალედური არჩევნების ფონზე ვნახეთ, რომ ნაძალადევში „ივანიშვილის ქალმა“ ისე გაიმარჯვა, მისი სახელიც არ იცოდნენ?**

— ეს თემა აქტუალური მანამ იქნება, სანამ ვადამდელი არჩევნები არ ჩატარდება და მეც არ გავუშვებ ხელიდან შანსს, ივანიშვილს კიდევ ერთხელ მოვუწოდო ამის შესახებ! „ოცნების“ გამარჯვების მიუხედავად, 1 ოქტომბრის არჩევნები არსითაც და შედეგითაც, უსამართლო იყო. ხოლო ის არჩევნები, რომელსაც უკვე ახალი ხელისუფლება ჩაატარებს, უფრო უშეცდომო იქნება, თუკი საარჩევნო კოდექსი გასწორდება და არჩევნები თანაბარ პირობებში ჩაივლის. საზოგადოებას ასეთ დროს შეცდომები აღარ მოსდის ხოლმე და სწორედ ეს აჩვენა ნაძალადევის არჩევნებმაც, სადაც „ოცნების“ კანდიდატმა, ძალიან ცუდი კოდექსის პირობებშიც კი, დაბალი პროცენტი მიიღო. აქედან დასკვნა — კარგი კოდექსის პირობებში „ოცნების“ კანდიდატი ვერ გაიმარჯვებდა, რადგან მეორე ტურში ძალზე დაბალი შანსი ექნებოდა. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემთხვევაში კი, ნურავის ეწყინება, მაგრამ ბალასტი პოლიტიკური პარტიები პარლამენტსმიღმა დარჩებიან და თავის გზას იპოვნიან. არც „ოცნება“ შენარჩუნდება იმ სახით, როგორითაც დღესაა წარმოდგენილი, რადგან ის ერთმანეთთან იდეურად შეუთავსებელი ძალებითაა დაკომპლექტებული! დღეს საზოგადოება იმაზეც კი ფიქრობს, რომ „ოცნებას“ ნაციონალების მთავარ ოპოზიციურ ძალად შენარჩუნება აწყობს და ამიტომ არ მიდის ამ ნაბიჯზე. ჯამში კი, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ვისაც რომელი აწყობს, მმართველობის იმ მოდელს უჭერს მხარს: მაგალითად, ირაკლი ალასანიას პარტიას ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი და, შესაბამისად, მხარს უჭერს საპრეზიდენტო მოდელს, ხოლო „რესპუბლიკელებს“ არ ჰყავთ ასეთი და წლებია, საპარლამენტო რესპუბლიკას ემხრობიან.

**— თქვენს პარტიას კი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს — ნინო ბურჯანაძეს სახალხო კრებაც პრეზიდენტობის კანდიდატად ასახელებს. როგორია თქვენი სტრატეგია?**

— მიუხედავად იმისა, რომ მომავალი პრეზიდენტის ფუნქციები დაკნინებულია, ის მაინც საყოველთაო არჩევნების საფუძველზე აირჩევა და ამაში მთელი ქვეყანა მონაწილეობს.

*დასასრული მე-6 გვერდზე*



## ირაკლი ღარიბაშვილი ვანო მერაბიშვილის დაკავებას ეხმაურება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაკავებას ეხმაურება. ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარს შსს-ს პრესსამსახური ავრცელებს, რომელსაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ:

**„ერთი რამ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში არავინ არ არის და არავინ არ უნდა იყოს კანონზე მაღლა. ყველა არის თანასწორი კანონის წინაშე, კანონი არის უზენაესი, შესაბამისად, ვანო მერაბიშვილი ჩვენი ხელისუფლების პირობებში არ არის, არ იყო და ვერ იქნებოდა პრივილეგირებული. მე ვიცი, რომ ძალიან სერიოზული ბრალი არის გამოკვეთილი, იქ რამდენიმე ეპიზოდია. მე ვიცი, რომ გამოიკვეთა ორი მძიმე კორუფციული ეპიზოდი. გარდა ამისა, მე ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ სხვა საქმეებთან დაკავშირებითაც იკვეთება მისი ბრალეულობა. შესაბამისად, მე კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში არავინ არ იქნება პრივილეგირებული, არა მხოლოდ ვანო მერაბიშვილი, არამედ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ, მოქმედი პირველი მოადგილე დავაკავეთ იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. შესაბამისად, ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, მით უმეტეს, ნაციონალური მოძრაობისთვის. ყველამ კარგად იცის, თუ რა საქმეებს ჩადიოდნენ მთელი ბოლო 9 წლის განმავლობაში. შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ როგორც ვანო მერაბიშვილმა, ისე სხვებმაც, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, რა თქმა უნდა, თუ ეს დამტკიცდება სასამართლოს მიერ, პასუხი უნდა აგონ კანონის მთელი სიმკაცრით“.**

*„ვერსიანიუსი“*



## ბიძინა ივანიშვილი: „გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს ჩანაწერში სააკაშვილიც მოიხსენიება“

სანდრო გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს ჩანაწერში, ვანო მერაბიშვილთან ერთად, სააკაშვილიც მოიხსენიება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მას შემდეგ განუცხადა, რაც დაუსვეს კითხვა, შესაძლოა თუ არა გირგვლიანის საქმეზე ბრალი ვანო მერაბიშვილთან ერთად, სხვა პირებსაც წარედგინოთ.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, პრეზიდენტი, პრემიერი, ნებისმიერი თანამდებობის საერო თუ საეკლესიო პირი, კანონის წინაშე თანაბარია.

**„სასამართლოს ჩანაწერში აღნიშნულია, რომ ყველა სტრუქტურა, მათ შორის პრეზიდენტიც, ხელს აფარებდა გამოძიების ნორმალურ სვლას. სტრასბურგის სასამართლო ამიტომ ითხოვს ხელახალ გამოძიებას. ჩვენ ასეც მოვიქეცით და გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებული საქმის გამოძიება დასრულების პროცესშია. თუ კანონის დარღვევა აქვს პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, პასუხი მასაც ისევე მოეთხოვება, როგორც ნებისმიერ სხვა მოქალაქეს“,** — აღნიშნა პრემიერმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

ანი დადიანი

# ნაციონალური მოძრაობა ხერხემალში გადაამტვრიეს!

**სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემალი, როგორც მას თავად პრეზიდენტმა უწოდა, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, გათითოკაცებული ნაციონალური მოძრაობის ყველა ორგანოდ იქცა. ზურაბ ადეიშვილისგან განსხვავებით, რომელიც იუსტიციის სამინისტროდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნდა, მონსტარდქცეული შს და უშიშროების სამინისტროს პირველმა პირმა, აშკარად დაიჯერა საზოგადოების დასაშინებლად ნაციონალებისვე შექმნილი მითი „ვანოს გენიოსობისა და უძლეველობის“ შესახებ და, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, პარტიაშიც და პარტიის გარეთაც, ყველა კონკურენტი გაეწირა.**




## ვანო მერაბიშვილს 7-დან 12 წლამდე პატიმრობა გირგვლიანისა და 26 მაისის საქმეებით დაუმძიმდება!

არადა, მითი ვანოს გენიოსობის შესახებ თავადვე დაანგრია ჯერ კიდევ მაშინ, როცა ექსპრემიერმა არჩევნებიდან 3 კვირაში, 30 ნოემბერს, სახელმწიფო დელეგაციასთან ერთად, საქართველოს საზღვრის გადაკვეთა ლევან მაისურაძის გვარზე გაცემული ყალბი პასპორტით სცადა და რიგითმა მესაზღვრემ გეგმები ჩაუშალა — მან ლევან მაისურაძის პასპორტში დიდი ვანოს პორტრეტი „ამოიცნო“. ქვეყნის პირველი ჩეკისტი ვანო მერაბიშვილი-მაისურაძე დაკითხვაზე პირზე ღიმილით გამოცხადდა და კაი ხანს ჩაბჟირებამდე „ღადაობდა“ ივანიშვილის სამართალდამცავების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციაზე. თუმცა იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის — ჰოდა, ალბათ, ამჯერად თვალზე მომდგარ სიხარულის ცრემლს 7 ნოემბერს, 26 მაისს ნაცემ-ნაბეგვი მომიტინგეები და პოლიტპატიმრები მოიწმენდენ, გაიხარებენ გირგვლიანის, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის, რობაქიძისა და თბილისის ქუჩებში სპეცოპერაციების დროს მისი ბრძანებით ჩაცხრილული ბიჭების ჭირისუფლები... გამწარებული ბიზნესმენები, ქონებაწართმეული და უფლებაშელახული მოქალაქეები... ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს და ახლახან, უკანონო მოსმენებსა და ფარულ ჩანაწერებზე პასუხისმგებელს რომ ეძებდნენ და ხელს მერაბიშვილის გაქცეული მოადგილისკენ — ამირან მესხელისკენ იშვერდნენ, ის კურირებდა უკანონო მოსმენებსო, შს მინისტრმა ამის შესახებ არაფერი იცოდა? როგორც ჩანს, ეს იყო ის „ევროპული არჩევანი“, რომელსაც ნაცმოძრაობის გენერალურმა მდივანმა 19 მაისი მიუძღვნა და აქციაზე მოსული პრეზიდენტი სააკაშვილის დანახვაზე ისევე უკანმოუხედავად გაიქცა, როგორც კოდორის ხეობიდან 2008 წლის ომის დროს!

ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს ვანო მერაბიშვილს ბრალი სამი მუხლით წაუყენეს, ბრალი წაუყენეს კახეთის მოქმედ გუბერნატორს, ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, თბილისის ყოფილ მერსა და ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილ ელჩს ზურაბ ჭიაბერაშვილსაც. უკვე გაიჩხრიკა მათი საცხოვრებელი ბინები. პირველი კომენტარი გააკეთა ბიძინა ივანიშვილმაც, რომელმაც განაცხადა, რომ საჭიროა, დაველოდოთ გამოძიებას, რადგან ვანო მერაბიშვილთან უამრავი კითხვა არსებობს ისევე, როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილთან, მაგრამ წინასწარ დასკვნების გაკეთებისგან თავი უნდა შევიკავოთ.

მთავარი პროკურატურა კი ოფიციალურ განცხადებაში განმარტავს: **„უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქართველოს პროკურატურა აწარმოებდა კომპლექსურ ღონისძიებებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის მიერ უმაღლეს სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში ადამიანისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული არაერთი დანაშაულებრივი ქმედების ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების მიზნით. დანაშაულების ჩადენის ადგილის, სიმძიმისა და საქმეების სირთულის მიხედვით, გამოძიების წარმართვაში ჩართული იყვნენ როგორც პროკურატურის ტერიტორიული ორგანოები, ასევე მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი. ამ ეტაპზე, შეგვიძლია გახსნილად გამოვაცხადოთ ივანე მერაბიშვილის კორუფციული საქმიანობის ორი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელთაგან პირველი საყურადღებო და პრიორიტეტულია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ჩადენილია ამ უკანასკნელის საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის დროს. ამასთანავე, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ გამოძიების პროცესში უკვე მოპოვებულია, დაახლოებით, ასეულობით ერთმანეთთან შეთანხმებული და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასკვნისთვის, რომ ივანე მერაბიშვილმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1641, 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.**

**პირველი ეპიზოდი — საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის, აგრეთვე სახელმწიფო სახსრებით დასახელებული პარტიის შენიღბული და ფარული დაფინანსების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ზურაბ ჭიაბერაშვილთან და სხვა პირებთან ერთად დაგეგმა და განახორციელა თვალთმაქცური ოპერაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოში უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან 5,2 მლნ ლარი უკანონოდ ჩაერიცხა დაახლოებით 22 ათას პირს, თითოეულს 240 ლარის ოდენობით. მითითებული პირები მოჩვენებითად გააფორმეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომლები, სინამდვილეში, მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ, ხოლო ფული მიიღეს მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ხმის მიცემისა და საარჩევნო აგიტაციის წარმოების სანაცვლოდ. ამრიგად, ივანე მერაბიშვილის ქმედებით სახელმწიფომ იზარალა 5,2 მლნ ლარი.**

**მეორე ეპიზოდი — საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ივანე მერაბიშვილს დასვენებისთვის მოეწონა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კვარიათში ზღვის პირას მდებარე, შპს „საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის“ კუთვნილი ფეშენებელური აგარაკი და, 2009 წლის მაისში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით და დაშინებით დაიკავა იგი და, ოჯახთან ერთად, თითქმის ოთხი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ სარგებლობდა ამ ქონებით. მანვე, სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა და სხვისი აგარაკის საკუთარი ოჯახის წევრების გემოვნებით მოწყობის მიზნით, იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებით გაარემონტა. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ივანე მერაბიშვილის მიერ გამოყენებულ იქნა საიდუმლო ხარჯები, რომლითაც, კანონის თანახმად, უნდა დაფინანსებულიყო დანაშაულთან ბრძოლისთვის გათვალისწინებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებები. მისივე განკარგულებით, სამინისტროს ბიუჯეტიდან იფარებოდა აგარაკზე მომუშავე დამხმარე პერსონალის სახელფასო ანაზღაურებაც. შედეგად, სახელმწიფოს მიადგა 158 ათასი ლარის ზიანი. ივანე მერაბიშვილი დაკავებულია. მისთვის ინკრიმინირებული ქმედება თავისუფლების 7-დან 12 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. საქართველოს პროკურატურა სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, რადგან არსებობს უტყუარი მასალები, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.**

**ფაქტობრივად, დასრულებულია გამოძიება კიდევ ორ ეპიზოდზე, პირველი შეეხება 2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის დაშლის დროს, ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებით, ორგანიზებითა და პირადი კონტროლით, საპოლიციო ქვედანაყოფების მიერ მშვიდობიანი, ალყაშემორტყმული მოქალაქეების წინააღმდეგ აშკარად არათანაზომიერი, არაპროპორციული და გადაჭარბებული ძალის განზრახ გამოყენებას, რის შედეგადაც გარდაიცვალა ორი და ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო მრავალმა ადამიანმა. მეორე ეპიზოდი უკავშირდება უკანასკნელი წლების ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანის მკვლელობის საქმეს, რომლის დეტალური და ეფექტური გამოძიებით პროკურატურის მიერ, პრაქტიკულად, სრული სიზუსტით აღდგენილია შემთხვევის ვითარება, დადგენილია მასში მონაწილე ყველა პირი, გარკვეულია დანაშაულის რეალური მოტივი, მისი ორგანიზატორები და ამსრულებლები. შეგროვებული მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ სწორედ ივანე მერაბიშვილმა, სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, საკუთარი მეუღლის თამარ (თაკო) სალაყაიას, აგრეთვე, სხვა მასთან დაახლოებული პირების მომხდარი დანაშაულისგან ხელოვნურად განრიდების მიზნით, უზრუნველყო მოცემულ საქმეზე უკანონო, ფალსიფიცირებული სამართალწარმოების განხორციელება და შეგნებულად შეუშალა ხელი ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას. უახლოეს პერიოდში ივანე მერაბიშვილს ზემოაღნიშნულ ორ ეპიზოდთან დაკავშირებით წარედგინება დამატებითი ბრალდება... ივანე მერაბიშვილთან ერთად დაკავებულია საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი“.**



ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი და კახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი ქუთაისის წინასწარი დაკავების №1 იზოლატორში გადაიყვანეს. ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი აცხადებს, რომ მერაბიშვილი ბრალს არ აღიარებს, პროკურატურა კი ორთვიანი წინასწარი პატიმრობის აღკვეთას ითხოვს. ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებები გააკეთეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა და საქართველოს პრეზიდენტმა, რომლებიც პოლიტიკოსების დაპატიმრებას ნაციონალური მოძრაობის განადგურების მცდელობად აფასებენ და მერაბიშვილის დაკავებას ტიმოშენკოს დაპატიმრებას ადარებენ. 22 მაისიდან ნაციონალური მოძრაობა მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადადის და არ გამორიცხავს, რომ ქუთაისში ხალხმრავალი აქციაც ჩაატაროს.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# რატომ შეუფარდა სასამართლომ ირაკლი ეზუგბაიას ორთვიანი პატიმრობა?

**17 მაისს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა სახელმწიფოს კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის მითვისება-გაფლანგვის ბრალდებით, სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის" სატვირთო გადაზიდვების ყოფილი დირექტორი და, ამავდროულად, შპს „ვაგონშემკეთებელი კომპანიის" სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი წევრი დავით ჯინჯოლია, ასევე სატვირთო გადაზიდვების დირექტორის მოადგილე აბელ გიორგობიანი, გადაზიდვების მოძრავი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ჟღენტი, „ვაგონშემკეთებელი კომპანიის" დამფუძნებელი ვალერი წილოსანი, გენერალური დირექტორი ირაკლი თოდუა და დირექტორები — მამუკა დოლიძე და ვლადიმერ აბულაძე დააკავეს. მეტიც — სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო „საქართველოს რკინიგზის" ყოფილი გენერალური დირექტორის, ირაკლი ეზუგბაიას მიმართ, რომელიც ამჟამად, მიმალვაში იმყოფება.**




ოფიციალური გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც ს/ს „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ კოკა გუნცაძე დაინიშნა. ახალმა ხელმძღვანელმა ერთი კონკრეტული ტენდერის მასალები შეისწავლა და ვინაიდან საქმე სახელმწიფოს კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხის მითვისება-გაფლანგვას ეხებოდა, მასალები საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა. ამასთან დაკავშირებით, სპეციალური ბრიფინგი ს/ს „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, კოკა გუნცაძემ 2013 წლის 24 იანვარს გამართა.

2012 წლის 7 ივლისს, ს/ს „საქართველოს რკინიგზასა" და „ვაგონშემკეთებელ კომპანიას" შორის, ერთ პირთან დაკავშირებული კონტრაქტი გაფორმდა, რომლის საერთო მოცულობა 112 353 858 ლარი იყო. 2012 წლის 24 აპრილს, „საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭომ, საკუთარი დადგენილების საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნია, დიდი რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, რომლის საერთო მოცულობა 234 672 108 ლარი იყო.

**„ეს მოიცავდა 290 ცალი ახალი ხორბალმზიდის, 950 ცალი ვაგონ-ცისტერნისა და 1 107 ცალი სხვადასხვა ტიპის ვაგონის კაპიტალურ შეკეთებას. 2012 წლის 4 მაისს, გამოცხადდა ტენდერი, რომელიც თვენახევრის განმავლობაში გაგრძელდა. ამ დროს, რამდენჯერმე შეიცვალა სატენდერო პირობები, შესასყიდი ობიექტების რაოდენობა და თანხის მოცულობა, ვალდებულებების გრაფიკი, ანგარიშსწორების წესი და ვადები. საბოლოოდ, სატენდერო ღირებულების მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 112 333 858 ლარით",** — აღნიშნა **კოკა გუნცაძემ** ბრიფინგზე.

მისი თქმით, 2012 წლის 2 ივლისს, გაურკვეველი მიზეზების გამო, ტენდერი ჩაიშალა, სადაც ერთადერთი სატენდერო წინადადება „ვაგონშემკეთებელ კომპანიას" ჰქონდა წარმოდგენილი. ზუსტად 5 დღის შემდეგ, 2012 წლის 7 ივლისს, „საქართველოს რკინიგზამ", ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, „ვაგონშემკეთებლ კომპანიას" ხელშეკრულება გაუფორმა. კოკა გუნცაძემ განმარტა, რომ ეს იყო 112 353 858 ლარის ღირებულების კონტრაქტი, საიდანაც „საქართველოს რკინიგზამ" 50% ანუ 56 369 000 ლარი წინასწარ, ავანსის სახით გადაუხადა „ვაგონშემკეთებელ კომპანიას":

**„რკინიგზის ერთ-ერთი დირექტორი, რომლის ინიცირებულიც იყო ეს პროექტი, „ვაგონშემკეთებელი კომპანიის" მიერ, ერთ-ერთ ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიის მენეჯმენტში წილის მფლობელი გახდა. 2012 წლის 21 დეკემბერს, ნაკისრი ვალდებულებებით, ვაგონშემკეთებელ კომპანიას „საქართველოს რკინიგზისთვის" უნდა დაებრუნებინა 30 ცალი ახალი ხორბალმზიდი და 160 ცალი გარემონტებული, სხვადასხვა ტიპის ვაგონი. არც ერთი ხორბალმზიდი არ დაუბრუნებია, ხოლო 160 ვაგონიდან, მხოლოდ 35 ვაგონი დააბრუნა".**

აქედან გამომდინარე, „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, კოკა გუნცაძემ რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვაც დასვა: **„თავისი ბუნებით სხვადასხვა ტიპის შესყიდვები ერთ ლოტად რატომ გაერთიანდა? რა მიზეზით ჩაიშალა ტენდერი? რის საფუძველზე და როგორ მოხდა, რომ ტენდერის ჩაშლიდან ზუსტად 5 დღეში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 112 353 858-ლარიანი კონტრაქტი გაფორმდა, თანაც იმავე პრეტენდენტთან? რის საფუძველზე და რატომ გადაუხადა „საქართველოს რკინიგზამ", „ვაგონშემკეთებელ კომპანიას" 50%-იანი ავანსი? ამ ოპერაციის შემდეგ, რკინიგზის ერთ-ერთი დირექტორი რატომ აღმოჩნდა „ვაგონშემკეთებელი კომპანიის" მიერ, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიის მეწილე? რატომ არ არსებობს და ვერ მივაკვლიეთ დღემდე ვერც ერთ დეფექტურ აქტს, სადაც ვაგონების ტექნიკური მდგომარეობაა აღწერილი და რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და ღირებულება? „ვაგონშემკეთებელმა კომპანიამ" საკუთარი ვალდებულებების 5% მაინც რატომ ვერ შეასრულა?"**

სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ, კოკა გუნცაძეს საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდა, რომ ეს იყო „საქართველოს რკინიგზის" მაშინდელი ხელმძღვანელებისა და „ვაგონშემკეთებელი კომპანიის" მონაწილეობით, სახელმწიფოს კუთვნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობის ფინანსური სახსრების მითვისების თაღლითური სქემა ანუ „გაქეშება", რომლის საერთო ღირებულება 56 369 000 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, „საქართველოს რკინიგზამ" მიიღო გადაწყვეტილება და „ვაგონშემკეთებელ კომპანიას" მომდევნო ტრანში შეუჩერა, ხოლო ეს საქმე შემდგომი გამოძიების მიზნით, მთავარ პროკურატურას, ბრიფინგის მეორე დღესვე გადასცა. კოკა გუნცაძის თქმით, „საქართველოს რკინიგზის" ერთ-ერთი დირექტორი, რომელიც თაღლითურ სქემაში მონაწილეობდა, სატვირთო გადაზიდვების დირექტორი **დავით ჯინჯოლია** იყო:

**„დარწმუნებული ვარ, ასეთი ტიპის გარიგებები ჯინჯოლიას დონეზე არ წყდებოდა და გაცილებით მაღალი თანამდებობის პირებს ეხებოდა. თუ გამოძიება კვალს გაჰყვება და მოიძიებს, სად გადაირიცხა სახელმწიფოს კუთვნილი თანხა შემდგომში, გარწმუნებთ, ეს კვალი უმაღლესი თანამდებობის პირებამდე მიგვიყვანს".**

ამ ბრიფინგიდან რამდენიმე დღეში, „ვაგონშემკეთებელი კომპანიის" ხელმძღვანელობამ საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით, ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

**„ვაცხადებთ, რომ ბატონ კონსტანტინეს მიერ ბრიფინგზე მოყვანილი არც ერთი ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს და მზად ვართ, აღნიშნული დავამტკიცოთ როგორც პირადი შეხვედრისას, ასევე — საჯარო დებატებში. ჩვენი პოზიცია გამყარებული იქნება არამხოლოდ დოკუმენტური არგუმენტაციით, სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების დასკვნებითაც. გვინდა, დავარწმუნოთ საზოგადოება და „საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობა, რომ ზედმიწევნით ზუსტად ვასრულებთ და მომავალშიც შევასრულებთ ნებისმიერ საკონტრაქტო ვალდებულებას. ამასთან, ყველა კანონიერი საშუალებით მოვითხოვთ ჩვენი დამკვეთებისგან, ამ შემთხვევაში, „საქართველოს რკინიგზისგან", საკონტრაქტო პირობების შესრულებას. მზადყოფნას გამოვთქვამთ, რომ გონივრული შეთანხმებების მიღწევის მიზნით, კონსტრუქციულ დიალოგსა და მოლაპარაკებებში პროფესიონალი მედიატორებიც ჩაერთონ. მანამდე, ბატონ კონსტანტინეს მოვუწოდებთ, ნუ გააკეთებს ემოციურ განცხადებებს, რაც იწვევს ჩვენი ქარხნის საქმიანი რეპუტაციის შელახვას ქართველი თუ უცხოელი კლიენტების თვალში".**

როგორც ჩანს, გამოძიებამ „ვაგონშემკეთებელი კომპანიის" ხელმძღვანელების პოზიცია არ გაიზიარა და კოკა გუნცაძის შესწავლილი მასალების კვალს ბოლომდე გაჰყვა. შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლომ, „საქართველოს რკინიგზის" ყოფილ გენერალურ დირექტორს, ირაკლი ეზუგბაიას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მიუხედავად ამისა, ეზუგბაიას ადვოკატის, ნუგზარ კვარაცხელიას განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად მზადაა, გამოძიებასთან ითანამშრომლოს. 17 მაისს, თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ირაკლი ეზუგბაიასთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, ნუგზარ კვარაცხელიამ 20 მაისს გაასაჩივრა.

გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ირაკლი ეზუგბაია მიმალვაში იმყოფება, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ნუგზარ კვარაცხელიას განცხადებით, იგი ამჟამად სასწავლო პროგრამით, ინგლისშია და სწავლის დასრულების შემდეგ, საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს. რაც შეეხება „საქართველოს რკინიგზის" სხვა თანამშრომლებს, მათ მიმართ აღმკვეთი ღონისძიება არ გამოუყენებიათ და შედეგად, ისინი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

ვერსიანიუსი

## ცეზარ ჩოჩელი კოკა გუნცაძეს სასამართლოში უჩივლებს



მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი, ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძეს პატივისა და ღირსების შელახვისთვის სასამართლოში უჩივლებს.

აღნიშნულის შესახებ ბრიფინგზე ცეზარ ჩოჩელმა თავის წარმომადგენლებთან, ადვოკატ გოგიტა გაბაიძესთან, „უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძესა და რკინა-ბეტონის შპალების ქარხნის დირექტორ ილია შიხაშვილთან ერთად განაცხადა.

როგორც ჩოჩელმა აღნიშნა, საქმე ეხება რკინა-ბეტონის შპალების ქარხანას, რომელიც რეალურად, ცეზარ ჩოჩელის ძმას ეკუთვნის.

ცეზარ ჩოჩელისა და მისი ადვოკატების განცხადებით, არ არსებობს მტკიცებულება, რომ რკინა-ბეტონის შპალების ქარხანაში რაიმე დარღვევებია და ის თაღლითური გზითაა შეძენილი.

ცეზარ ჩოჩელსა და მის ადვოკატებს პრეტენზიები გია ხუხაშვილის მიმართაც აქვთ.

**„ხუხაშვილი თავად შედიოდა თაღლითურ გარიგებებში და თავად სჩადიოდა კანონგარეშე ქმედებებს. ეს კაცი პროკურორია თუ ვინ არის, ასეთ განცხადებებს რომ აკეთებს? არაფერს და არავის დავუთმობ. ჩემზე შემოტევებია, ამის გამო, პრობლემები შემიქმნეს უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივ ბანკებთან. ასე კაპიტალდაბანდება ვერ მოხდება. ქვეყანას შემოსავალი ვერ ექნება და ბიუჯეტშიც არაფერი შევა. მე სერიოზული გადამხდელი ვარ ბიუჯეტში. თუ ჰგონიათ, საწარმოების გაჩერებით ქვეყანასა და ხაზინას ეშველება, მე ჩემ ყველა საწარმოს გავაჩერებ",** — განაცხადა ცეზარ ჩოჩელმა.

მისივე ინფორმაციით, რკინა-ბეტონის შპალების ქარხნის ჩამორთმევის ამბავი ტელევიზიიდან შეიტყო და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინფორმაცია შესაბამისი უწყებებისგან არ მიუღია.

ჩოჩელი აცხადებს, არაფრის დათმობას აპირებს და ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრას ითხოვს, თუმცა მისი თქმით, მინისტრს არ სცალია.

*„ინტერპრესნიუსი"*

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# „ჩემს სურვილზე რომ იყოს, პოლიტიკიდან კარგა ხნის წინ წავიდოდი“



## რატომ დაიღალა პოლიტიკით და ვის ლობირებს ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატად დავით ბაქრაძე

**იმ ფონზე, როცა სპორტის სასახლეში ნაციონალური მოძრაობა რეჟიმად შერაცხეს და „გაასამართლეს“, ხმა გავრცელდა, თითქოს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი, პარლამენტის ექსთავმჯდომარე პოლიტიკიდან მიდის. ამასობაში, მაისის ბოლოც მოახლოვდა და მალე ნაციონალებმა საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსაკვეთად პრაიმერი უნდა ჩაატარონ. როგორც თავად განაცხადა, დავით ბაქრაძე მონაწილეობას არც ამ პროცესში მიიღებს — რა არის ამის მიზეზი და ვის დაუპირისპირებენ ნაციონალები გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურას — დავით ბაქრაძე „ვერსიისთვის“ მის გარშემო დაგროვილ კითხვებს პასუხობს.**

— **სპორტის სასახლეში 15 000-მდე ადამიანმა რეზოლუცია მიიღო და „ნაციონალების რეჟიმი“ გაასამართლა. ამ პროცესს რამდენად სერიოზულად უყურებთ?**

— იმედი მაქვს, საქართველოში არც არავინ უყურებს სერიოზულად ღონისძიებას, რომლის უკანაც ამ აქციის ლიდერები დგანან. იქ შეკრებილი საზოგადოება ორად რომ გავყოთ, იყვნენ ადამიანები, ვისაც შესაძლოა, ბევრი უსამართლობა შეხვდა წინა წლებში და მე მათ ტკივილს პატივს ვცემ. მეორე ნაწილი კი ის ხალხია, ვინც ამით მოდერნიზებული მხედრიონის შექმნას ცდილობს. არეულობა და დესტაბილიზაცია გამოსავალი არავისთვისაა, მათ გარდა, ვინც თბილისი ერთხელ უკვე დაანგრია. სპორტის სასახლეში ვხედავდი სახეებს, ვინც ერთხელ უკვე ვნახე მხედრიონში, მაშინდელ გვარდიაში, სხვადასხვა საძმოებში და ეს სახეები ჩემთვის გადამწვარ თბილისთან ასოცირდება. დღეს ის ხალხი ცდილობს ჩვენს გასამართლებას, ვინც მოსახლეობას ჩვენზე ბევრად მეტი უბედურება მოუტანა! იმედია, ხელისუფლებას იმის გონიერება ეყოფა, თამაშის წესები ამ ძალებს არ აკარნახებინოს. ყველას ესმის, რომ სპორტის სასახლეში გამართული აქციის ორგანიზატორებზე ვსაუბრობ, ამიტომ პერსონიფიცირებას აღარ დავიწყებ.

— **ეს ტონი იმიტომ ხომ არ გაქვთ, რომ სწორედ ნანა კაკაბაძის ორგანიზაციამ და ამ ლიდერებმა გაუფორმეს 200 პოლიტპატიმარი თქვენს ხელისუფლებას?**

— იცით რა, ბელორუსში სულ 7 პოლიტპატიმარია, იქ კი წლების განმავლობაში, აღიარებულად ავტორიტარული რეჟიმია სათავეში. ჩვენთან 200 პოლიტპატიმარი არც აქამდე არსებობდა და ვერც მომავალში იარსებებს. ამ 200 კაცის რიცხვში ნამდვილად არიან ადამიანები, ვის მიმართაც კონკრეტული უსამართლობა იქნა დაშვებული გამოძიების ან ბრალის წაყენების პროცესში, მაგრამ ისინი დაზარალებულნი არიან და არა პოლიტპატიმრები.

— **სავარაუდოდ, თქვენს მიერ დაზარალებულთა გამოსავლენად მართლმსაჯულების გადახედვის კომისია იქმნება. მას თქვენი ხელისუფლების წინააღმდეგ შექმნილ კიდევ ერთ საგამოძიებო ორგანოდ განიხილავთ?**

— სამწუხაროდ, ეს ჩვენს წინააღმდეგ მიმართული კომისია მხოლოდ 2004 წლიდან 2012 წლამდე მიმდინარე მოვლენებს იძიებს. როგორ, თუ ჩემი უფლებები ვიღაცამ 2003 წელს დაარღვია, რატომ არ ვითვლები ადამიანად და არ მაქვს უფლება, ამ კომისიას მივმართო?! მე რომ იმ ოჯახის წევრი ვიყო, რომლის მეორე წევრიც შევარდნაძის შს მინისტრის დროს არსებული პოლიციის მეექვსე სართულის ფანჯრებიდან ხტებოდა, რატომ ვერ უნდა მივმართო ამ კომისიას, რომელიც მაინცდამაინც მერაბიშვილის პოლიციისდროინდელ ფაქტებს იძიებს? თავიდანვე ჩანს, რომ ეს პოლიტიკური ორგანოა, რომლის ამოცანასაც სწორედ პოლიტიკური შეფასებები წარმოადგენს. ეს საშიში პრეცედენტია სასამართლო სისტემისთვისაც, რადგან კომისიამ, ფაქტობრივად, მოსამართლეების გადაწყვეტილებები უნდა გადააფასოს — ეს არის მოსამართლეთა სამართალი!

— **ორი წუთის წინ თავად ამბობდით, რომ სასამართლო ხელისუფლება არასწორად მინიმუმ, 200 ადამიანს მოექცა!**

— მოსამართლის განაჩენის გადახედვის უფლება არავის აქვს, სასამართლოსა და მისი ზემდგომი უფრო მაღალი ინსტანციის გარდა. დღეს კი ვქმნით რაღაც ორგანოს პოლიტიკური ნიშნით, რომელიც იტყვის, აი, ეს მოსამართლე არასწორი იყოო?! რამდენიმე წლის მერე, სხვა ხელისუფლება რომ იქნება, მან უნდა შექმნას კომისია და თქვას, მოდი, წინა ხელისუფლების დროს მიღებული გადაწყვეტილებები გადავსინჯოთო?! რაშია საქმე, საერთოდ არ გვინდა, მოსამართლეს შიშის გარეშე გადაწყვეტილების მიღების თავი ჰქონდეს? რეალურად, პროცესი დღევანდელ საქმეებსაც შეეხება და ეს კომისია მოსამართლეებზე ზეწოლის მექანიზმი იქნება.

— **თქვენს გარშემო დღეს სხვა მთავარი კითხვაა — დავით ბაქრაძე პოლიტიკიდან მართლა მიდის?**

— დღეს ჩემს ყოფნას პოლიტიკაში განსაზღვრავს არა სურვილი, არამედ პასუხისმგებლობა. ჩემს სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული, პოლიტიკიდან კარგა ხნის წინ წავიდოდი. ვიცი, ბევრი ის თვისება არ მაქვს, რაც პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს. ჩემთვის ბევრად მისაღები აკადემიური სამეცნიერო საქმიანობაა, თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში, ვარჩევდი, ფიზიკა გამეხსენებინა და ლექციები წამეკითხა, მაგრამ უახლოეს პერსპექტივაში პოლიტიკიდან წასვლას არ ვფიქრობ! ახლა ჩემს აქ ყოფნას კი არავის ვამადლი და ვამბობ, ჩემი არსებობით რაღაცას ვაკეთებ-მეთქი, უბრალოდ, შინაგანი პოზიცია მაქვს, რომ ახლა თანამებრძოლების მიტოვების დრო არ არის. მერჩივნა, ეს თემა საჯარო არ გამხდარიყო, უბრალოდ, პრივატულ საუბარში ნათქვამი ჩემი ფრაზა ვიღაცამ ან არასწორად გაიგო, ან შეგნებულად გაავრცელა ამ ფორმით.

— **საკუთარი თანაგუნდელები საპრეზიდენტო პრაიმერის მონაწილედ გასახელებენ — კვლავინდებურად, უარს აცხადებთ მასში მონაწილეობაზე?**

— იყო საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი, დღეს ეს ერთ-ერთი საპასუხისმგებლო საქმეა. საპარლამენტო საქმიანობა ქვეყანაში, ვაღიაროთ, პროცესების განმსაზღვრელია, ამიტომ, ჩემი აზრით, ოპოზიციის ლიდერობა უფრო საპასუხისმგებლოა, ვიდრე პრაიმერში მონაწილეობა!

— **და ვიდრე პრეზიდენტობა?**

— ჩემი თანაგუნდელების პოზიცია კარგად ვიცი — ბევრი მათგანი მე მასახელებს საპრეზიდენტო კანდიდატად და სხვათა შორის, არც მე მითქვამს გადაჭრით უარი პრაიმერში მონაწილეობაზე. პირადად იქით ვიხრები, რომ საქმიანობა პარლამენტში გავაგრძელო, თუმცა ჩემი პარტიის წევრების აზრსაც გავითვალისწინებ და საბოლოო გადაწყვეტილებას ისე მივიღებ. ჯერჯერობით, კანდიდატთა ოფიციალური ჩამონათვალი არ არსებობს, თუმცა დანამდვილებით ვიცით, რომ მასში ზურაბ ჯაფარიძე და გიორგი ბარამიძე მონაწილეობენ. გიორგი ვაშაძეს კი ხელს ასაკი რომ უწყობდეს, მხარს მას დავუჭერდი! თავად პრაიმერის პროცესიც იმიტომ მომწონს, რომ იგი ღია სატელევიზიო დებატების ფონზე ჩაივლის.

— **ამ ჩამონათვალში არ არის ვანო მერაბიშვილი და ბოლო დროს, გავრცელდა ვერსია, თითქოს პრემიერთან გარიგების შედეგად, პრეზიდენტი სწორედ მერაბიშვილი გახდება.**

— ვანო მერაბიშვილს ბევრი ნიჭი აქვს და ალბათ, მისი ერთგვარი ნიჭია ისიც, რომ მის ირგვლივ ყველაზე ორიგინალური ჭორები ტრიალებს. იგი პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ლიდერია და მის მიღწევებსაც ვერავინ უარყოფს, ამიტომ ალბათ, ვანო მიიღებს მონაწილეობას პრაიმერში! თუმცა ამ ჭორზე, ღიმილის გარეშე, ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

— **თქვენი ბევრი თანამებრძოლი ღიმილით აფასებს „ოცნების“ კანდიდატს — გიორგი მარგველაშვილი თქვენი აზრითაც ასეთი სუსტია?**

— პირველ რიგში, ვინც უნდა იყოს „ოცნების“ კანდიდატი, მას სრული სერიოზულობით უნდა შევხედოთ, რადგან დღეს ივანიშვილის მიერ დასახელებულ ადამიანს წარმატების დიდი შანსი აქვს. რაც შეეხება უშუალოდ მარგველაშვილს, იგი უდავოდ, ჭკვიანია და მისი იდეების გაცნობის საშუალებაც ბევრჯერ მქონია, თუმცა იმ თანამდებობაზე, რაზეც წარდგენილია, არანაირი გამოცდილება არ აქვს!

— **პრეზიდენტობის გამოცდილება ვის აქვს?**

— პრეზიდენტი იმ ფუნქციებითაც კი, რაც მას ოქტომბრის მერე ექნება, ძალიან სერიოზულ ფიგურად რჩება. მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა აფხაზებსა და სამხრეთ ოსეთთან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე ზრუნვა, საგარეო პოლიტიკა, ნატო-სკენ ქვეყნის ინტეგრაციის გაგრძელება, უსაფრთხოების თემები, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა. მე კი ნამდვილად არ მსმენია, რომ მარგველაშვილს ამ კუთხით რამე გამოცდილება აქვს. მას უფრო დიდი შრომა მოუწევს თავის დასამკვიდრებლად, ვიდრე თუნდაც ირაკლი ალასანიას.

— **სწორედ თქვენ და ალასანია იყავით ის ფავორიტი კანდიდატები, რომელთაც როგორც „ოცნების“ რამდენიმე პარტია, ისე გიგი უგულავა და ნაციონალი ლიდერები თანაბარ კონკურენტებად გხედავდნენ...**

— „ოცნებიდან“ გამოკვეთილი ლიდერი ნამდვილად ალასანიაა და ეს მაგალითი ამიტომ მოვიყვანე. ალბათ, მარგველაშვილის შემთხვევაში, მისი დასახელებისას გადამწყვეტი ფაქტორი ივანიშვილისთვის პირადი ურთიერთობა გახდა. არც ერთი მალავს და არც მეორე, რომ ერთმანეთთან მუშაობისას თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ, თუმცა კანდიდატს იმის დამტკიცება მოუწევს, რომ მისი ღირსება მარტო პრემიერთან მეგობრობა არ არის!

— **ამ არჩევნებზე ნამდვილად კანდიდატთა სიმრავლე იქნება — ნინო ბურჯანაძე, რომელსაც მხარს კიდევ რამდენიმე პარტია უჭერს, ასევე, 4 პარტიის რჩეული საერთო კანდიდატი, ნესტან კირთაძე, სავარაუდოდ, სალომე ზურაბიშვილიც — ფიქრობთ, ნაციონალებს რომელიმე მათგანზე უკეთესი რეიტინგი და მეტი შანსი გაქვთ?**

— პოლიტიკაში არასოდეს ვარგა ოპონენტის შეუფასებლობა, მიუხედავად იმისა, რომ „ოცნებისა“ და ნაციონალების კანდიდატების შანსი ნამდვილად ყველაზე მაღალია, იგნორირებას მაინც ვერც ერთ ოპონენტს ვერ გავუკეთებთ, თუმცა საქმე ისაა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებით იმას არ ვარკვევთ, იცვლება თუ არა ხელისუფლება. ეს რომ იყოს ივანიშვილის შეცვლის არჩევნები, ვიტყოდი, „ოცნებას“ გამარჯვების მეტი შანსი აქვს-მეთქი. რაკი ახლა სხვა ვითარებაა, ვფიქრობ, მეტი შანსი აქვს ზოგადად, ოპოზიციას, ოპოზიციაში კი სწორედ ნაციონალურ მოძრაობას!

## ვერსიანიუსი

### სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი უახლოეს სამ დღეში უნდა დაინიშნოს

სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი უახლოეს დღეებში უნდა დაინიშნოს. კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი მთავრობის ახალ წევრს, პრეზიდენტის თანხმობით, ორი კვირის ვადაში ნიშნავს.

თანამდებობიდან წასვლის თაობაზე დავით კირვალიძის ცნობილი განცხადებიდან ორ კვირაზე მეტია გასული — ამ გადაწყვეტილების შესახებ კირვალიძემ კოლეგებსა და მედიას 2 მაისს აცნობა, თუმცა კირვალიძის სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ პრემიერ-მინისტრის განკარგულება 10 მაისით თარიღდება. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილს სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი 24 მაისისთვის დანიშნული უნდა ჰყავდეს.

რადგან მთავრობაში ერთი წევრი შეიცვალა, მთავრობის ხელმძღვანელს პარლამენტისგან თანხმობის მიღება არ სჭირდება, თუმცა პრემიერმა მომავალი მინისტრის კანდიდატურა პრეზიდენტთან უნდა შეათანხმოს.

*„ინტერპრესნიუსი“*

### აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი თბილისში მომხდარ დაპირისპირებას გმობს



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი თბილისში, 17 მაისს მომხდარ დაპირისპირებას გმობს. ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის მოადგილემ პატრიკ ვენდრელმა ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**„ამერიკის შეერთებული შტატები გმობს თბილისში ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს დაგეგმილ მშვიდობიან მარშზე თავდასხმას. მსგავსი არატოლერანტული ქმედებები არ უნდა ხდებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში“**, — განაცხადა ვენდრელმა.

მისივე თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის უფლებების დაცვას და მსოფლიოში ყველა მოქალაქის თავისუფლებას.

*„ინტერპრესნიუსი“*

რუსუდან შელია
557-100-768

# შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში არსებულ უკანონო ფარულ ჩანაწერებს ერთ კვირაში გაანადგურებენ

**„ირაკლი ღარიბაშვილის განკარგულებით, დაახლოებით ერთ კვირაში, უკანონო ფარული ჩანაწერები განადგურდება“, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტზე, ფარული ჩანაწერებისა და მიყურადების საკითხზე მსჯელობისას განაცხადა. მისივე განმარტებით, ჩანაწერების არქივი ჯერ კიდევ შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტში ინახება და მასზე წვდომა მინისტრის მხოლოდ ერთ მოადგილეს აქვს, რომლის თანამდებობაც, ამ ეტაპზე, ვაკანტურია. ლევან იზორიამ ასევე აღნიშნა, რომ მასალების გადახარისხების პროცესი უკვე დაწყებულია.**



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტების გასვლითი სხდომა „ჰოლიდეი ინში“ გაიმართა და სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მას დეპუტატების გარდა, არასამთავრობო სექტორი, დიპლომატიური კორპუსი, იუსტიციის მინისტრისა და მთავარი პროკურორის მოადგილეები, ასევე პარლამენტის თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი და ექსპერტები ესწრებოდნენ. საკითხის განხილვა სტატისტიკის წარდგენით დაიწყო, რომლის მიხედვითაც, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2011 წლის განმავლობაში, მოსმენებზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების დასაწყებად 7195 შუამდგომლობა შევიდა. მათგან დაკმაყოფილდა 7187 განაცხადი. 2012 წლის მონაცემებით, შუამდგომლობის 5951 განაცხადი ფიქსირდება, საიდანაც 5939-ს მოსამართლემ დადებითი რეზოლუცია დაადო. წელს სასამართლოს 1195 შუამდგომლობით მიმართეს და აქედან 1064 დაკმაყოფილდა. იუსტიციის საბჭოს წარმომადგენელი გიორგი ობგაიძე აცხადებს, რომ საკითხის დასარეგულირებლად შესაბამისი კანონმდებლობის გადახედვა და მასში ცვლილებების განხორციელება აუცილებელია. **დავით უსუფაშვილმა** კი კომპლექსური ღონისძიებების გატარების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ფარული თვალთვალის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს აუცილებლობად უნდა იქცეს:

**„სტატისტიკა მიანიშნებს, რომ ამ მიმართულებით სასამართლო კონტროლი რეალურად არ გვაქვს. ირკვევა ისიც, რომ თუ უცხოეთში ფარულ მოსმენასა და თვალთვალზე მოსამართლე ნებართვას მხოლოდ დანაშაულის გახსნის ყველა საშუალების ამოწურვის შემთხვევაში გასცემს, საქართველოში მსგავსი სტანდარტი არ არსებობს, პირიქით, გამოძიება სათვალთვალო კამერების დაყენებით იწყება. შესაბამისად, ამ პრობლემის მოგვარება ცარიელი სიტყვებითა და პროპაგანდით შეუძლებელია, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა წლების განმავლობაში ჩურჩულით ვსაუბრობდით და უცხოელებთან საუზმეზე მისულები პირად ტელეფონებს გარეთ ვტოვებდით. ბუნებრივია, შეუძლებელია, რომელიმე უწყებას ის ტექნიკა ჰქონოდა, რომლის საშუალებითაც სრულიად ერს მოუსმენდნენ, მაგრამ ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლები ამ მითის არსებობას ხელს უწყობდნენ. ჩვენი მიზანია, მსგავსი განწყობა მოისპოს და ქვეყანაში თავისუფლებისთვის შესაბამისი კლიმატი გაჩნდეს“.**

პარლამენტის თავმჯდომარის პათოსი საქართველოში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა **თომას ჰამერბერგმა** განავრცო და საზოგადოების საჩივრების შემსწავლელი კომისიის შექმნა მოითხოვა: **„ამ ეტაპზე ხელისუფლების გამოწვევას ის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ სასამართლომ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა საქმეები უკვე დახურულია. მსგავსი საჩივრები აუცილებლად უნდა გადაიხედოს, რათა სასამართლოსადმი ნდობა არ შეიბღალოს. პროკურატურაში, პარლამენტსა და სახალხო დამცველის ოფისში 7 000-ზე მეტი საჩივარია შესული. ადამიანები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ არასწორი სასამართლო გადაწყვეტილება იყო მიღებული, შესაბამისად, ამ საქმეებს შესწავლა სჭირდება**“.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა **მანანა კობახიძემ** ფარული ჩანაწერების არქივში არსებულ იმ მასალების ნაწილზე ისაუბრა, რომელიც, შესაძლოა, გამოძიებისთვის დანაშაულის მტკიცებულებაც კი აღმოჩნდეს: **„ყველა ჩანაწერი, რომელიც პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციას შეიცავს, აუცილებლად უნდა განადგურდეს, მაგრამ თუ სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს და აღნიშნული დოკუმენტები მტკიცებულებაა, ჩანაწერის განადგურების შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს“.**

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა გიგი წერეთელმა კი განვითარებულ ქვეყნებში ფარული ჩანაწერების პრაქტიკის არსებობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოსმენები, მიყურადება და თვალთვალი კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა საკომიტეტო მოსმენაზე ფარული ჩანაწერების ავტორების დასჯაც მოითხოვეს. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის **პავლე კუბლაშვილის** განცხადებით, **„ყველა დამნაშავემ, ვინც უკანონოდ ფარულ ჩანაწერებს აგროვებდა, კანონის წინაშე პასუხი მკაცრად უნდა აგოს. ბუნებრივია, არქივი სრულად უნდა განადგურდეს, თუმცა, ეს არ იქნება გარანტია იმისა, რომ ჩანაწერები თავს მომავალშიც არ იჩენს. არც იმის გარანტია გვაქვს, არქივი დაკოპირებული არ არის და მას ვინმე მომავალში შანტაჟისთვის კვლავ არ გამოიყენებს, როგორც ეს შს მინისტრის მოადგილის, გელა ხვედელიძის შემთხვევაში მოხდა. სწორედ ამიტომ აუცილებელია, საკანონმდებლო გარანტიები შეიქმნას“.**

მართლაც, ვინ იძლევა გარანტიას, რომ შსს ფარული ჩანაწერების ასლები უკვე გადაღებული არ არის და მომავალში მოქალაქეების დასაშანტაჟებლად არ გამოიყენებენ ანდა როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო მსგავსი ფაქტების პრევენციისთვის, ამ საკითხზე „ვერსია“ **ლაშა ტუღუშს** ესაუბრა, რომელმაც განაცხადა: **„იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტების მიერ ორგანიზებული სხდომა ნაყოფიერი აღმოჩნდა. ეს პირველი შეხვედრაა, როცა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები ხელისუფლების მხრიდან საკმაოდ მწვავედ დაისვა. შევთანხმდით, რომ შესაბამისი კანონმდებლობა დასახვეწია და არსებული სტატისტიკური მონაცემები კრიტიკას ველარ უძლებს. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, ერთ კვირაში პროცედურები მომზადდება და უკანონოდ მოპოვებული მასალებიც, შესაბამისად, განადგურდება. რაც შეეხება გარანტიებს, ის ბუნებაში არ არსებობს, რადგან სავსებით შესაძლებელია, არქივიდან მასალების ასლები ვიღაცას გაეტანა. გამოძიების ამოცანაც სწორედ ესაა — ასლების მფლობელი კერძო პირები მოიძიოს და დამნაშავეები დასაჯოს. უბრალოდ, აქ საკითხი შემდეგნაირად დგას: სახელმწიფოს ხელში უკანონოდ მოპოვებული ბინძური ინფორმაცია არ უნდა არსებობდეს, მთავარი რისკფაქტორი სწორედ სახელმწიფოა, რადგან ხელისუფლება კერძო პირზე ძლიერია და მოქალაქეც მის წინაშე ბევრად დაუცველია. მომავალში ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების პრევენცია რომ მოვახდინოთ, სახელმწიფომ საყოველთაო ამნისტია უნდა გამოაცხადოს იმ პირების მიმართ, ვინც შს სამინისტროდან ან შესაბამისი უწყებიდან მასალები გაიტანა ანუ თუ ადამიანები უკანონო ჩანაწერების ასლებს გარკვეულ ვადაში დააბრუნებენ, ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდნენ“.**

# გიორგი კობახიძე: „ნინო ბურჯანაძე ოპოზიციის საერთო კანიდატი უნდა იყოს და ამაზე არჩევნების ბოლო დღემდე ვიმუშავებთ“

*მე-2 გვერდიდან*

ეს ნებისმიერ შემთხვევაში პოლიტიკური თანამდებობაა, რომელიც პოლიტიკოსმა უნდა ზიდოს. ნინო ბურჯანაძე კი ნამდვილი პოლიტიკოსია, რომელმაც საკუთარი კანდიდატურა აუცილებლად უნდა დააყენოს! ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას აქვს სერიოზული პოლიტიკური ორგანიზაცია, მისი ლიდერია ეს ორგანიზაცია ქვეყნისთვის ყველაზე რთულ წლებში ყველაზე რთულ პოზიციებზე იდგა, ყველაზე მეტად დაზიანდა სააკაშვილის რეჟიმისგან და თუნდაც ამ ბიოგრაფიის გამო იმსახურებს ხალხის მხარდაჭერას!

— **გაჟღერდა ვერსიაც, რომ პრემიერმა ივანიშვილმა, მარგველაშვილის დასახელებით, გზა სწორედ ნინო ბურჯანაძეს გაუთავისუფლა პრეზიდენტის პოსტზე...**

— შემიძლია გითხრათ, რომ არათუ ასეთი შეთანხმება არ მომხდარა, არამედ შეხვედრაც კი არ შემდგარა ბიძინა ივანიშვილსა და ნინო ბურჯანაძეს შორის. ჩვენ არ ვართ ის ორგანიზაცია, რომელიც თავის პოლიტიკურ ცხოვრებას ასეთ ნაბიჯებზე აგებს და რაიმე საკითხს ხალხის ზურგსუკან ათანხმებს. ჩვენ ღია პოლიტიკის მომხრე ვართ!

— **ჩემთვის ცნობილია, რომ ბურჯანაძის კანდიდატურას მხარს უჭერს „მემარცხენე ალიანსი“ — ფიქრობთ და მუშაობთ თუ არა იმ საკითხზე, რომ იგი რამდენიმე პარტიის რჩეული და „ოცნების“ საპირწონე კანდიდატი გახდეს და რომელი პოლიტიკური ძალები არიან მზად ამ შეთანხმებისთვის?**

— ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სწორედ ეს არის — პარტნიორებთან უნდა შევათანხმოთ ჩვენი ურთიერთობა, ერთობლივი ბრძოლა და გრძელვადიანი მიზნები. „ოცნება“, როგორც ერთი სუბიექტი, ამას თავს ვერ გაართმევს, ეს გამორიცხულია! ღიად ვამბობ, დღეს მოლაპარაკების პირველი ეტაპია დაწყებული — ჩვენ უნდა ველაპარაკოთ ყველას! ზოგთან უკვე დაწყებულია საუბარი, ზოგთან — არა, მაგრამ მოლაპარაკება წარიმართება უკლებლივ ყველასთან, არც ერთ პოლიტიკურ ძალას ამ პროცესში არ გამოვრიცხავთ, რათა მთავარი პრინციპი, შეთანხმება ყველასთან, არ დაიკარგოს! ვისაუბრებთ მათთან, ვინც უკვე დაასახელა თავისი კანდიდატურა და მათთან, ვინც ფიქრობს, ვის დაუჭიროს მხარი. ახლა ნინო ბურჯანაძე გაემგზავრა ჯერ კიდევ 4 თვის წინ დაგეგმილ ღონისძიებაზე უცხოეთში, ამიტომ ბუნებრივია, მის გარეშე ბევრს ვერ ვისაუბრებ. თუმცა, ქვეყანაში დაბრუნდება თუ არა, მაშინვე ღიად შევუდგებით პარტიებთან მოლაპარაკებებს და თუ საჭირო გახდება, ეს პროცესი არჩევნების დღემდეც გაგრძელდება! საქართველოში ბევრი პარტია და პერსონა იმსახურებს იმას, რომ ამ პროცესში ჩავრთოთ, არ აქვს მნიშვნელობა, ვის რამხელა მხარდაჭერა აქვს — ყველას უნდა ერგოს თავისი როლი საერთო წარმატებაში!

— **26 მაისიც ახლოვდება — 2011 წლის 26 მაისი თქვენთვის განსაკუთრებული თარიღია, როგორ აპირებთ მის აღნიშვნას?**

— ჩვენ 26 მაისს აუცილებლად ღირსეულად აღვნიშნავთ, თუმცა პომპეზურობის გარეშე, მოწიწებითა და მოკრძალებით! ამით კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას და იმას, რომ კვლავ ბრძოლაში ვართ. ამ ბრძოლას კი მანამ გავაგრძელებთ, სანამ ჩვენს ავტორიტეტულ სიტყვას არ ვიტყვით! ხოლო პირველი, რასაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გავაკეთებთ, ის იქნება, რომ კონსტიტუციაში არსებულ თეთრ ფურცლებს მივხედავთ და ხელისუფლების დაბალანსებული სისტემის შემოღებას დავიწყებთ.

— **ანუ ხელისუფლებაში მოსვლას აპირებთ ?**

— დიახ, რა თქმა უნდა! დღეს მოწოდებების გარდა, სხვა საშუალება არ გაგვაჩნია ამ ყველაფრის შესასრულებლად, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი თითოეულ ამ დაპირებას შევასრულებთ და, რაც მთავარია, დღეს ჩვენ ორი მთავარი ამოცანისთვის ვიბრძვით — ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატის გასამარჯვებლად და რიგგარეშე არჩევნების დასანიშნად!




## ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას უცხოური მედია ეხმაურება

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილისა და კახეთის გუბერნატორის ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას უცხოური მედიაც ეხმაურება.

**„საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფებოდა, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ქონების მითვისებისთვის დააკავეს“,** — წერს „ასოშიეტედ პრესი“.

როგორც საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, საქართველოს ყოფილ პრემიერს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე უძრავი ქონების მითვისებაში ედება ბრალი: **„საქართველოს სასამართლო 48 საათში მიიღებს გადაწყვეტილებას, გამოუშვას თუ პატიმრობაში დატოვოს ვანო მერაბიშვილი. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას 12-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# გამამართლებელი განაჩენების უმეტესობა ქალი მოსამართლეების მიერაა გამოტანილი

*"ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ქალთა მონაწილეობა პროკურატურაში", - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა "რადისონში"* მიმდინარე კონფერენციაზე "გენდერი და სასამართლო".



"მართლმსაჯულება არის დაწინაურებული იმ გაგებით, რომ ბევრი კარგი ქალი მოსამართლეა. რა თქმა უნდა, არიან მოსამართლეები რომლებსაც სჭირდებათ შეცდომების გამოსწორება, მაგრამ ბევრი ქალი მოსამართლე იღებს მონაწილეობას სიმართლის დადგენაში. პროკურატურას რაც შეეხება, აქ საქმე სანაქებოდ არ არის და ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ქალთა მონაწილეობა პროკურატურაში, იმ დონეებზე, სადაც გადაწყვეტილებებია მისაღები," - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა და აღნიშნა, რომ ერთადერთი ქალი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს თბილისის პროკურორია, დანარჩენი ქალების ნაწილი მხოლოდ შიდა და ქვედა რგოლებში იღებენ გადაწყვეტილებებს.

"სასამართლო ხელისუფლება, ალბათ ერთადერთი ხელისუფლებაა, სადაც ქალებისა და მამაკაცების თანაფარდობა თანაბარია," - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა.

" ქალების 48 პროცენტი მუშაობს სასამართლო სისტემაში. უფრო მეტს გეტყვით, 2005 წლის შემდეგ, როცა სასამართლო რეფორმა დავიწყეთ, დღეისათვის 177 ახლადდანიშნული მოსამართლე მუშაობს, მათ შორის 85 არის ქალბატონი და 92 მამაკაცი,"- განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

ცოტა ხნის წინ სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში" ჩატარდა კონფერენცია თემაზე გენდერი და სასამართლო: ქალების ჩართულობა სასამართლო სისტემაში". კონფერენცია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ იყო დაფინანსებული და მისი მიზანი გახლდათ სასამართლოების მართვაში და მართლმსაჯულების განვითარებაში ქალების როლის გაზრდის ხელშეწყობა.

კონფერენციაზე სასამართლო სისტემაში ქალი მოსამართლეების როლსა და მნიშვნელობაზე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე თამარ ალანიამ მოხსენება წაიკითხა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. გთავაზობთ ინტერვიუს თამარ ალანიასთან.

- მიუხედავად იმისა, რომ ქალთა უფლებების დაცვაზე მსჯელობა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო ამ საკითხთან დაკავშირებით პრობლემატიკა კვალავაც აქტუალურია მთელს მსოფლიოში. ამის დასტურია ის, რომ გაეროს ათასწლეულის სამიტზე რომელიც 2000 წელს გაიმართა, 193 წევრი სახელმწიფო შეთანხმდა, რომ არსებობდა პრობლემათა წრე, რომელიც კვლავ გადაუჭრელი იყო და ყველა სახელმწიფოს ძალისხმევას საჭიროებდა. განისაზღვრა კონკრეტული პრობლემები თემების მიხედვით და ყველა სახლემწიფომ ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომ 2015 წლამდე მიაღწევდნენ ათასწლეულის განვითარების 8 მიზანს. ეს მიზნები ემსახურება ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორებიცაა სიღარიბე, შიმშილი, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, გენდერული უთანასწორობა და სხვა.

2000 წლის სექტემბერში ათასწლეულის დეკლარაციაზე ხელის მოწერით, საქართველომ ვალდებულება აიღო, განსაზღვროს და განახორციელოს ათასწლეულის განვითარების 8 მიზანი საქართველოს კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ 8 თემაში ერთერთი არის გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2004 წლის და 2011 წლის რეზოლუციები კიდევ ერთხელ ეხება ქალის აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ ასპარეზზე. აღნიშნული რეზოლუციები ადასტურებენ ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციას, რომელიც აღიარებს ადამიანის უფლებას მიიღოს მონაწილეობა თავისი ქვეყნის ხელისუფლების განხორციელებაში. რეზოლუცია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქალებს აქვთ უნარი გამოიჩინონ ლიდერის თვისებები საზოგადოებაში, კერძო სტრუქტურებში თუ სახელმწიფო მმართველობის სფეროში. ასევე, მათი ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში გადაწყვეტილებების მიღების დროს, განაპირობებს ბალანსის დაცვას, რაც თავის მხრივ, აისახება ქვეყნის კულტურული და სოციალური პრობლემების დაძლევაში.

აღნიშნული ორგანიზაცია ასევე მიუთითებს, რომ ქალთა წარმოდგენა ხელისუფლებაში, ქალთა მაღალი პოლიტიკური და სოციალური სტატუსი არის განუყოფელი და მახასიათებელი თვისება გამჭვირვალე და პასუხისმგებელი სახელმწიფოსი, რომელიც ნერგავს და ხელს უწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას ყველა მიმართულებით.

ქალების აქტიური მონაწილეობა მამაკაცების გვერდით, სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თანამდებობის სხვადასხვა საფეხურზე - ეს არის სახელმწიფოს მიღწევა მშვიდობისა და დემოკრატიული განვითარების კუთხით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თანხმდება, რომ ქალები მამაკაცებთან ერთად თანაბრად უნდა იქნენ წარმოდგენილი სახელმწიფო სამსახურებში, მათ შორის არჩევით თანამდებობებზე.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წევრ სახელმწიფოებს სთავაზობს დანერგონ, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ქალებისათვის ისეთი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს მათი ლიდერის უნარების განვითარებას. ამასთან, მიღებულ იქნეს ისეთი ტიპის კანონები, რაც ხელს შეუწყობს ქალების ბალანს ყველა უწყებაში; დაცული იქნეს ბალანსი გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე , წაახალისონ ლიდერი ქალის უნარები.

**- ქალბატონო თამარ, რა მდგომარეობაა ამ კუთხით საქართველოს მართლმსაჯულებაში. როგორც სტატისტიკა აჩვენებს, ქალები ფართო სპექტრით არიან წარმოდგენილები სასამართლო სისტემაში.**

- განვიხილოთ საქართველოს მაგალითი, საერთო სასამართლოების მიხედვით როგორია გენდერული ბალანსი სასამართლოს სისტემაში, რამდენად არის დაცული საერთაშორისო სტანდარტი - ქალის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების ყველა საფეხურზე.

2012 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობა 242-ია. საიდანაც მამაკაცია 125 ანუ 51.65 პროცენტი, ხოლო ქალი 117, 48.35 პროცენტი. საერთო სასამართლოებში თანამშრომელთა რაოდენობაა - 876. აქედან, კაცი - 361, 41.21 პროცენტი, ქალი - 515, 58.79 პროცენტი.

საერთო სასამართლოებში თავმჯდომარეთა რაოდენობაა - 26. აქედან, ქალი თავმჯდომარეა - 2, კაცი - 24. საერთო სასამართლოებში მენეჯერთა რაოდენობაა - 21. Qქალია - 4, კაცი - 17.

აღნიშნული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ქალთა რაოდენობა მოსამართლეთა კორპუსში თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელ თუ მენეჯერის პოსტზე ქალები საგრძნობი უმცირესობით არიან წარმოდგენილნი.

**- თუ გაქვთ სტატისტიკა ქალი და მამაკაცი მოსამართლეების მიერ განხილული საქმეების შესახებ?**

- რაც შეეხება საკითხს იმასთან მიმართებაში თუ რა რაოდენობაა ქალი მოსამართლეების მიერ განხილული საქმები წლის მანძილზე მამაკაც მოსამართლეებთან შედარებით, ან რა ტიპის გადაწყვეტილებები იქნა გამოტანილი ქალი მოსამართლეების მიერ ისეთ საქმეებზე, სადაც მხარედ წარმოდგენილი იყვნენ ქალები, როგორიცაა მაგალითად, განქორწინების, შრომითი დავები ქალთა მონაწილეობით, გაუპატიურების ან ძალადობრივი დანაშაულები, საქმეები, სადაც ქალი არის დაზარალებული ან მსჯავრდებული, ასეთი სახის სტატისტიკური დათვლა და შესაბამისად კვლევა არ ჩატარებულა, რის გამოც ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ამერიკული სასამართლოს მსგავსად, ანალიზი გავუკეთოთ ქალი და მამაკაცი მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ტენდენციებს.

თუმცა, საქართველოს სასამართლოში არსებული მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავითვალოთ I ინსტანციის სასამართლოებში ქალი მოსამართლეების მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკური მონაცემები, ბოლო ოთხ წელიწადნახევრის პერიოდის მიხედვით.

2009 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 12 მოსამართლის მიერ, აქედან 9 მოსამართლე ქალია;

2010 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 7 მოსამართლის მიერ, აქედან - 5 მოსამართლე ქალია;

2011 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 26 მოსამართლის მიერ, 12 მოსამართლე ქალია;

2012 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 39 მოსამართლის მიერ, აქედან - 14 მოსამართლე ქალია;

2013 წლის 26 აპრილამდე გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 10 მოსამართლის მიერ, აქედან - 4 მოსამართლე ქალია.

ასეთივე ბალანსია სააპელაციო სასამართლოებში გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების მხრივაც. აქაც უმეტესი ნაწილი გამამართლებელი განაჩენებისა ქალი მოსამართლეების მიერ არის გამოტანილი.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში, როცა ყველაზე დაბალია გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა მათი თითქმის სრული უმრავლესობა გამოტანილია ქალი მოსამართლეების მიერ. ამასთან, გამამართლებელი განაჩენების ზრდასათან ერთად არ მცირდება ქალი მოსამართლის როლი მათ მიღებაში.

**- თუ ჩატარებული რაიმე ტიპის კვლევა, ან შედარებითი ანალიზი, როგორ მიჰყავს პროცესი ქალ მოსამართლეს და როგორ მიჰყავს პროცესი მის კოლეგა მამაკაც მოსამართლეს. მაგალითად, ვინ როგორ არეგულირებს პროცესზე წესრიგის დაცვას?**

- რაც შეეხება ქალის როლს სასამართლოს დარბაზში - ქალი მოსამართლის მიერ წარმართული საქმეებს, დარბაზის მართვას. თვალს თუ გადავავლებთ წარსულში განვითარებულ მოვლენებს ალმოვაჩენთ, რომ ე.წ. მაღალი პროფილის - High Profile Cases საქმეები, როგორიცაა კორუფციული ტიპის საქმეები, ქურდულ სამყაროსთან" დაკავშირებული, დამამძიმებელ გარემოებში ჩადენილი მკვლელობის საქმეები, ასევე ცნობადი პირების მიმართ განხილული საქმეები, რომელთა განხილვაც ქალი მოსამართლეების მიერ მოხდა, ჩატარებულია მშვიდ გარემოში, ქალი მოსამართლე აბსოლუტურად ფლობდა დარბაზს, ის ინტეგრირებული იყო პროცესში როგორც მთავარი ფიგურა. რაც კიდევ ერთხელ მოწმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხედვას ქალ პროფესიონალ ლიდერთან მიმართებაში.

მინდა შევეხო ერთერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციას, როგორიც არის იუსტიციის უმაღლესი საბჭო და მასში წარმოდგენილ ქალთა რაოდენობას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან 2005 წლიდან დღემდე თითქმის სხვადასხვა დროს სულ იყო 7 ქალი წევრი წარმოდგენილი.

რამდენიმე წლის მანძილზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საერთოდ არ იყო ქალი წევრი.

შესაბამისად, ქალი მოსამართლე ან ქალი იურისტი, მამაკაცებთან ერთად თანაბარ წილად არ ღებულობდა მონაწილეობას მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის მართვაში, რითიც არ იყო დაცული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტანდარტი ქალთა ჩართულობის თაობაზე.

თუ როგორი გამორჩეულები იყვნენ ქალი მოსამართლეები საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის კუთხით, რამდენად აქტიურები და დინამიურები იყვნენ, - უნდა ითქვას, რომ მათ შეეძლოთ და შეუძლიათ პოზიტიური გავლენა მოახდინონ ხელმძღვანელ თანმდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში, მაგალითად, სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსით.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ სულ მალე შევა ძალაში საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელახალი დაკომპლექტების, რიგი წევრების არჩევის საკითხს. აღნიშნული კანონპროექტის საბოლოო სახე მოწონებული იქნა მოსამართლეთა კორპუსის მიერ, რადგან ის ზრდის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა აქტიური, ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობას.

# CEPEJ-ის შეფასება

*საქართველოში იმყოფებოდნენ ევროპის საბჭოს ეფექტური მართლმსაჯულების ევროპული კომისიის (CEPEJ) შემფასებელი მისიის წარმომადგენლები.*
*მისიის წევრებმა წარმადგინეს მართლმსაჯულების სისტემების ეფექტურობის ჯგუფის პროექტის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა სასამართლო სისტემის ეფექტურობის მდგომარეობას აღმოსავლეთ პარტიონორობის ქვეყნებში (საქართველოს, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და მოლდოვა). პროექტი ძირითად აქცენტებს აკეთებს სასამართლო დაფინანსებაზე, მართლმსაჯულების განხორციელებაზე და მის ეფექტიანობაზე.*

მისიამ დადებითად შეაფასა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში 2010-2012 წლებში განხორციელებული ღონისძიებები. მისიამ განსაკუთრებით გამოყო რიგი სფეროები, სადაც საქართველო, აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან შედარებით, გამოკვეთილი წარმატებით სარგებლობს. უფრო კონკრეტულად, დადებითად არის შეფასებული სასამართლო რესურსების გადანაწილება, ვინაიდან მოსამართლეთა რაოდენობის ცვლილების 90 პროცენტზე მეტი ექვივალენტურია სასამართლოში საქმეების რაოდენობისა. სწორედ ამის გამო, დაბალია გადატვირთულობის მაჩვენებელი და შემცირებულია საქმის განხილვის დრო. ანგარიში ამის მიზეზად წარმატებულ სასამართლო რეფორმას ასახელებს და აზუსტებს, რომ საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობის გაზრდამ გამოიწვია სამოქალაქო დავების მაჩვენებლის ზრდაც, თუმცა წარმატებული მენეჯმენტის წყალობით, მიმდინარეობს საქმეების დროული განხილვა და გადატვირთულობის თავიდან აცილება.

ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას შეიმჩნევა აშკარა პროგრესი საქმის განხილვის განგრძლივობის შეფასებისას, წინა წლებთან შედარებით. უფრო კონკრეტულად, 2006 წელთან შედარებით, ადმინისტრაციული საქმეების განხილვის ვადა შემცირებულია 18 პროცენტით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეების განხილვისა 25 პროცენტით. გამოკვეთილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის საშუალებების დანერგვის ტემპი, რაც საქართველოს შემთხვევაში შეფასებულია, როგორც შთამბეჭდავი," - ნათქვამია დასკვნაში, რომელიც დადებითად აფასებს მოსამართლეთა ანაზღაურებისთვის განკუთვნილი დაფინანსების ზრდის ტენდენციას.

ანგარიში ასევე დადებითად აფასებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჩართულობას სასამართლოსათვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, თუმცა მიუთითებს, რომ აღნიშნული ჩართულობა ჯერჯერობით მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან საბჭოს მიერ სავარაუდო ბიუჯეტის პროექტის წარდგენა ხდება საბიუჯეტო წლის დასაწყისში. გარდა ამისა, საბჭოს უწევს სასამართლო ფინანსური საჭიროებების დასაბუთების წარდგენა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის.



## როგორი იქნება სასჯელაღსრულების ახალი დაწესებულება ნარკოდამოკიდებულებისთვის

ხელისუფლება ნარკოდამოკიდებული პირებისთვის სასჯელაღსრულების სისტემაში ახალი დაწესებულების შექმნას აპირებს, პარალელურად, იგეგმება ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია. „ნეტგაზეთთან“ ინტერვიუში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე აცხადებს, რომ **„საუბარია ნარკოდამოკიდებულ პირთათვის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნაზე, სადაც დახმარებას ნარკომანები და ნარკოდამოკიდებულები მიიღებენ. აქ უნდა იყოს ე.წ. ლომკის მოსახსნელი კურსი და შემდგომი ერთწლიანი რეაბილიტაცია. აქ პაციენტები ერთი წლის განმავლობაში დარჩებიან და ეს ცენტრი განთავსდება თბილისში, პროექტი დამუშავების პროცესშია. კანონმდებლობაში უნდა შევიდეს ცვლილება და ეს ცენტრი სამართლებრივად დაფუძნდეს. ეს იქნება სამედიცინო სპეციალიზებული დაწესებულება, სადაც ადამიანები ნებაყოფლობით გაივლიან რეაბილიტაციის და მკურნალობის კურსს“.**

სამკურნალო დაწესებულება დაექვემდებარება სასჯელაღსრულების სისტემას და განკუთვნილი იქნება მხოლოდ წამალდამოკიდებული პატიმრებისთვის, მონიტორინგს კი ცენტრს ჯანდაცვის სამინისტრო გაუწევს. რაც შეეხება კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც მოხდება შერჩევა და პირობას, რის საფუძველზეც პატიმრები ამ დაწესებულებაში მოხვდებიან, ჯერ შემუშავებული არ არის. როგორც თალაკვაძე აცხადებს, **„კრიტერიუმის შერჩევა კონკრეტული მსჯავრდებულის ბიო-ფსიქოსოციალური შეფასების საფუძველზე მოხდება. თუკი დადგინდება, რომ პირი ნარკოდამოკიდებულია და აქვს ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები, ეს გახდება ამ დაწესებულებაში მისი გადაყვანის საფუძველი და იქ გატარებული მკურნალობის ერთი წელი ჩაეთვლება სასჯელის მოხდად. ეს იქნება სისტემის შეთავაზება. თუ არ დათანხმდება, მას ჩვეულებრივ ციხეში მოუწევს ამ სასჯელის მოხდა. ნებისმიერ მსჯავრდებულს, ვისაც აქვს ნარკოდამოკიდებულების პრობლემა, მნიშვნელობა არ აქვს, რა დანაშაულისთვის იქნება გასამართლებული, მას შევთავაზებთ ამ ცენტრში გადმოყვანას ერთი წლის განმავლობაში“.**

ნარკომოხმარებისთვის დაკავებული პირები ამ ცენტრში ვერ მოხვდებიან, რადგან იგეგმება კანონში ცვლილების შეტანა და ნარკომომხმარებლები არ დაისჯებიან სისხლის სამართლის წესით. სხვა მუხლით გასამართლებული, ნარკოდამოკიდებული პირები კი მხოლოდ ერთ წელს გაატარებენ ამ ცენტრში, შემდეგ კი სასჯელს სხვა დაწესებულებაში მოიხდიან. ჯერჯერობით, არ არის განსაზღვრული, რა რაოდენობის ადამიანზეა ცენტრი გათვლილი, თუმცა ვარაუდობენ, რომ ეს იქნება 300-დან 800-კაციანი სამკურნალო დაწესებულება. როგორც თალაკვაძე აცხადებს, **„ცენტრი პირველ ეტაპზე, გაიხსნება მხოლოდ თბილისში და თუ წარმატებული აღმოჩნდება, რეგიონებშიც გავხსნით ფილიალებს. ჯარიმების თანხა არ იქნება მობილიზებული, ადმინისტრაციული წესით დასჯილებს კი სამოქალაქო სექტორი შესთავაზებს სხვადასხვა სამკურნალო სერვისს“.**

***„ვერსიანიუსი“***

## 2012 წელს ევროპაში 511–მა ბანკმა შეწყვიტა არსებობა



ევროპის ცენტრალური ბანკის ინფორმაციით, 2012 წლის შედეგებით, ევროპაში არსებობა 511–მა ბანკმა შეწყვიტა. მარეგულირებლის ცნობითვე, კონტინენტზე ფინანსური ორგანიზაციების რაოდენობა 9076–მდე შემცირდა. ევროზონის მასშტაბით ყველაზე მეტი, 124 ბანკი ლუქსემბურგში დაიხურა, მეორე-მესამე ადგილებზე საფრანგეთი და იტალია არიან, სადაც შესაბამისად, არსებობა 105-მა და 55-მა ფინანსურმა ორგანიზაციამ შეწყვიტა.

როგორც ევროპის ცენტრალურ ბანკში აცხადებენ, რაოდენობის შემცირება, კრიზისსა და გაკოტრებასთან ერთად, ბანკების გაერთიანებითაცაა გამოწვეული. 1999 წლიდან, ანუ ევროზონის შექმნიდან, სავალუტო კავშირში ბანკების რაოდენობა 2797-ით ანუ 22%-ით შემცირდა.

***„პრესა.ჯი“***

# მძღოლები საჯარიმო სანქციების შემცირებას ითხოვენ

მერაბ ბერიძე

**სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა, მოძრაობის წესების დარღვევისას საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით მძღოლების დამოკიდებულებაზე, საინტერესო კვლევა ჩაატარა. ძირითადად, ქალაქებში რამდენიმე ასეული ადამიანი გამოიკითხა. ყველაზე მეტი პრეტენზია მოქალაქეებს საჯარიმო სანქციების ოდენობასა და პატრულის მხრიდან გამოწერის სიხშირეზე აქვთ. მძღოლებს ვერაფრით აუხსნიათ, სათავეში ახალი მთავრობის მოსვლიდან ამდენი ხნის შემდეგ, რატომ არ მოხდა ჯარიმების დაპირებული შემცირება. კვლევის შედეგებსა და პერსპექტივებზე სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ლევან ჩიტაძეს ვესაუბრეთ.**



— კვლევა მძღოლების მხრიდან საჯარიმო სანქციების აღქმაზე ჩავატარეთ, ოღონდ მთავარი აქცენტი იმაზე არ გვქონდა, კონკრეტულ შემთხვევებში, რა ოდენობის ჯარიმაა მისაღები მოქალაქეებისთვის. ადამიანებს რაც შეიძლება მცირე ჯარიმასთან უნდათ შეხება, რაც ბუნებრივია. მათ რომ ჰკითხო, ნებისმიერ დარღვევაზე მაქსიმალური ჯარიმა ხუთ ლარს არ უნდა აღემატებოდეს. უფრო მეტად აგრესიულობის, ნეგატიური განწყობის ფონი და თანმდევი საკითხები გვაინტერესებდა. საბოლოოდ, კვლევამ ფორმატი მცირედით შეიცვალა, რადგან აღმოჩნდა, რომ მძღოლები არაადეკვატურად აღიქვამენ თავად დამჯარიმებლების ფუნქციებს.

**გამოკითხული მძღოლების თითქმის 95% მიიჩნევს, რომ საპატრულო პოლიციის წარმომადგენელი სრულიად თავისუფალია საჯარიმო სანქციის გამოწერისას. მათი აზრით, პატრულს საკუთარი სურვილით შეუძლია, მოქალაქეს გამოუწეროს 20,50, 200-ლარიანი ჯარიმა, რაც საფუძველშივე არასწორი დამოკიდებულებაა. პოლიციის თანამშრომელი მხოლოდ აღმასრულებელია კანონებისა, რომელსაც ქვეყნის პარლამენტი იღებს. რატომღაც ჰგონიათ, რომ ეს საჯარიმო სანქციები შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერაა დაწესებული. საკანონმდებლო ორგანო პარლამენტია, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას იგი აღსრულებაში მოჰყავს.**

ამის შეგნება, პრაქტიკულად, ნულის დონეზეა დაყვანილი და მივხვდით, რომ ამ თვალსაზრისით, რთული მდგომარეობის წინაშე ვიმყოფებით. გამოკითხულებმა სახელმწიფო ორგანოების როლსა და ფუნქციებში სერიოზული გაურკვევლობა გამოავლინეს.

**— ზოგადად, ახალი მთავრობის მიმართ როგორი განწყობა შეინიშნება?**

— კეთილგანწყობას იჩენენ ახალი მოწვევის პარლამენტის მიმართ. სამაგიეროდ, ამ ჯარიმების გამო, უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულებაა შსს-სადმი. ყველა ჩივის — აი, ყოველ კვირას მაჯარიმებენ, 50, 200, 300 ლარს მახდევინებენ და პოლიციამ ჯარიმებს დღემდე როგორ ვერ დაუწიაო. კვლევაში მათი ფრაზეოლოგია, რა თქმა უნდა, პირდაპირ არ გადმოგვიტანია. მხოლოდ შეჯამება გავუკეთეთ აზრებსა და წინადადებებს, რაც მძღოლებს ჰქონდათ. ისინი კატეგორიულად ითხოვენ, პოლიციამ ასე ხშირად არ დააჯარიმოს, მაქსიმალურად შეღავათიანი სანქციები დააწესოს და ა.შ. ამავე დროს, როცა ვეკითხებით პარლამენტზე, მის ფუნქციებზე, იმაზე, შეუძლია თუ არა აღნიშნულ ორგანოს მათთვის დახმარების გაწევა და ა.შ. ხშირ შემთხვევაში, გაკვირვებულები გვიყურებდნენ და ვერ ხვდებოდნენ, ამას რატომ ვეკითხებოდით. ეს აჩვენებს, რომ მოქალაქეთა სამოქალაქო თვითშეგნება საშუალო სტანდარტსაც არ აკმაყოფილებს. მხოლოდ რამდენიმე მძღოლმა გვითხრა, საპროტესტო აქციები უნდა გავმართოთ, პარლამენტმა საჯარიმო სანქციები რომ შეცვალოსო. აღნიშნულ მოთხოვნას თითო-ოროლა ადამიანი აყენებდა. დანარჩენები ლოიალობას მხოლოდ შსს-სგან მოითხოვენ.

**— პატრულის დამოკიდებულებას როგორ აფასებენ?**

— კითხვაზე, რამდენად ადეკვატურად მოგმართავენ და ზრდილობიანები არიანო, ყველა ამბობდა, რა შედარებაა წინანდელ და ახლანდელ პატრულს შორის; ყველაფერი უკეთესადაა და შეურაცხყოფას არავინ გვაყენებს; სულ გაღიმებულნი გვიწერენ 200-ლარიან ჯარიმებს... კი ბატონო, ღიმილი კარგია, მაგრამ ეს ფული საიდან მოვიტანოთო. ასევე ვეკითხებოდით, თვითონ როგორ შეცვლიდნენ მოქმედ საჯარიმო სანქციებს; ძალიან ბევრმა მძღოლმა გვითხრა — პრინციპში, ეს ზომები ადეკვატურია, მაგრამ ბევრი შემოსავალი არ გვაქვს და ვერაფრით ვიხდითო.

**— ტაქსის მძღოლები თუ გამოკითხეთ?**

— დიახ, ვეცადეთ და ტაქსის მძღოლებსაც გავესაუბრეთ. მცირე ნაწილი გამოვკითხეთ, რადგან კვლევა, ძირითადად, მათზე გათვლილი არ გვქონდა, რადგან ტაქსისტებს გაცილებით ნაკლები შემოსავალი აქვთ.

**მთლიანობაში, კვლევამ აჩვენა, რომ მოქალაქეთა დიდი ნაწილი შსს-ზე გაბრაზებულია. ფაქტებს ვერსად გავექცევით, ხშირად აჯარიმებენ და სანქციები კვლავ ძალიან მაღალია. პრინციპში, სხვანაირ შედეგს არც ველოდით, ამიტომ აუცილებელია, ამ კუთხით, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება. უკეთესი იქნება, საპატრულო პოლიციამ მძღოლს განუმარტოს, რომ კანონის შესაბამისად ჯარიმდება; სამახსოვროს სახით გადასცეს მუხლთა ის ჩამონათვალი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი კონკრეტული დარღვევისთვის დადგენილი ჯარიმა.**

როგორც წესი, პატრული მოვალეა და ამას ზეპირად ეუბნება; ამაზე თანამშრომლები არც გაუკრიტიკებიათ, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტით მძღოლი მიხვდებოდა, რომ ამა და ამ მოწვევის პარლამენტმა მიიღო კანონი და ჯარიმები სწორედ ამის საფუძველზეა. მანვე უნდა შეცვალოს, დაწიოს ან აწიოს საჯარიმო სანქცია. პატრული აქ არაფერ შუაშია და ის ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

**— თქვენი შეფასებით, რამდენად ობიექტური საფუძველი აქვს მძღოლების ჩივილს ჯარიმების ოდენობასა და სანქციების დაკისრების სიხშირეზე?**

— მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით, მთელ რიგ შემთხვევაში, მაღალი საჯარიმო სანქციებია, მაგრამ მედალს მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, პასუხისმგებლიანი მძღოლი ამ სიხშირით მოძრაობის წესებს არ უნდა არღვევდეს, ამიტომაც ხდება ავტოსაგზაო შემთხვევები, ადამიანები იღუპებიან. ერთ მარტივ მაგალითს გეტყვით, მძღოლები ხშირად არ ითვალისწინებენ თუნდაც ფეხით მოსიარულეთა ინტერესებს. შეგიძლიათ, თვითონ დააკვირდეთ, როდესაც ადამიანი ე.წ. ზებრაზე ფეხს დადგამს და გზაზე გადასვლას იწყებს, არც ერთი მძღოლი ფეხით მოსიარულეს გზას არ უთმობს.

ამასთან, უმარტივეს წესებს არ იცავენ, როცა სხვას გზა უნდა დაუთმონ; როდესაც უნდა ჩართონ მაჩვენებელი, სად უხვევენ. ამ თვალსაზრისით, ყოველ ნაბიჯზეა პრობლემები. მეც თბილისში დავდივარ და ხშირად ვერ ვიგებ, რომელი მანქანა საით მიდის. უცებ გადმოვა ერთი ზოლიდან მეორეში და არღვევს მოძრაობის წესებს, რაც იწვევს ავარიებს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ საჯარიმო სანქციები, შესაძლოა, ადეკვატურიც კი იყოს, თუმცა სოციალურად რთულ პირობებში ვცხოვრობთ და ეს ყველაფერი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. ფაქტია, რომ ქართველებს ავტომობილის მართვის საკუთარი სტილი გვაქვს და ქართულ ხასიათს ვამჟღავნებთ მანქანის მართვისას; არავის ვუთმობთ, ამბიციურები ვართ და გვსურს, ყველამ თვითონ დაგვითმოს გზა, რომელიც არ გვეკუთვნის.

**— აპირებთ თუ არა კვლევის შედეგების სახელმწიფო ორგანოებისთვის წარდგენას და რამდენად გაქვთ რეაგირების იმედი?**

— კვლევის პრეზენტაციისას შედეგები უკვე გადავუგზავნეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს. თუ აღნიშნულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ, ვფიქრობთ, ამით საზოგადოების, კონკრეტულად, მძღოლების თვითშეგნების დონე ამაღლდება და ნაკლებად ნეგატიური დამოკიდებულება ექნებათ შს სამინისტროს მიმართ. სხვა შემთხვევაში, შეიძლება, უფრო ეფექტურ ღონისძიებას მიმართონ, რომლითაც არსებულ ინფორმაციულ ვაკუუმს შეავსებენ.

# არალეგალი ემიგრანტები 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას შეძლებენ!



დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე 27-29 მაისს, დიასპორის დღეების პროგრამას აანონსებს

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

**20 მაისს, საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის ფარგლებში, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრა ქართული დიასპორის პოტენციალის კვლევის პროექტზე საუბრით დაიწყო, რომლის შედეგების პრეზენტაციაც იმავე დღეს გაიმართა.**

**კონსტანტინე სურგულაძემ** განხორციელებულ ვიზიტებზე ისაუბრა და განმარტა, რომ ისინი ორ მიზანს ემსახურება: ამ ქვეყნებში ჩვენს თანამემამულეებთან შეხვედრას, მათი პრობლემების განხილვას, მათ გადაწყვეტას და ამავე დროს, შეხვედრებს ჩვენს წარმატებულ თანამემამულე ბიზნესმენებსა და უცხოელ ინვესტორებთან, რომლებიც მზად არიან საქართველოში ჩამოვიდნენ, განათავსონ ინვესტიციები და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, რათა ჩვენს თანამემამულეებს ღირსეული სამუშაო გარემო შეექმნათ დაბრუნებისთვის.

სახელმწიფო მინისტრმა ასევე ისაუბრა ლევილის მამულის კომისიის მუშაობის შედეგებზე და განაცხადა, რომ ახლახან დასრულდა მუშაობა დიასპორასთან ურთიერთობის სახელმწიფო სტრატეგიის პროექტზე და დაიწყო პროექტის ფართო განხილვები სხვადასხვა ჯგუფებთან, კერძოდ, უკვე მოხდა პროექტის განხილვა დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბთან. **„შეხვედრები გვქონდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელთან. ამ ეტაპზე, ბევრს ვერაფერს გეტყვით, თუმცა შენარჩუნებულია წამახალისებელი პირობები საგადასახადო ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. შესაძლოა, ლევილის მამული საქართველოს გადაეცეს“,** — განაცხადა „ვერსიასთან“ ამ საკითხის კომენტირებისას კოტე სურგულაძემ, ასევე ისაუბრა ჩვენი თანამემამულეებისთვის საკომუნიკაციო პორტალის შექმნაზე, მის სერვისებსა და სარგებლობაზე. სახელმწიფო მინისტრმა ჟურნალისტებს დიასპორის დღეების ანონსი გააცნო, რომელიც 27-29 მაისს გაიმართება და აღნიშნა: **„ამით გვინდა, ვაჩვენოთ ჩვენს თანამემამულეებს, რომ გვახსოვს ისინი, ვზრუნავთ მათზე და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა შევქმნათ ღირსეული გარემო მათი დაბრუნებისთვის, ხოლო მათ, ვინც გააგრძელებს უცხოეთში ცხოვრებას, ყოველმხრივ დავეხმარებით, რათა შეინარჩუნოს ქართული იდენტობა, ენა და კონტაქტი სამშობლოსთან“.**

სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში „ვერსიასთან“ საუბარში იმასაც ადასტურებს, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში არალეგალი ემიგრანტები, ყოველგვარი შიშის გარეშე, მიიღებენ მონაწილეობას, რადგან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის გავლისას საცხოვრებელი მისამართის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის შესახებ, 1 ოქტომბრის არჩევნებიდან მალევე, მაია ფანჯიკიძემ ოპერატიულად გააუქმა. დღეს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, ლეგალურად იმყოფება უცხოეთში თუ არა, საშუალება ექნება, მივიდეს საელჩოში, დარეგისტრირდეს და ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს.

**„საქართველოს მოქალაქეს არ უნდა ეშინოდეს საკონსულოში მისვლის. გასაგებია, რომ არც ერთი არალეგალი არ მივა საემიგრაციოში, რადგან მაშინვე დეპორტს გაუკეთებენ, მაგრამ რეგისტრაცია სრულიად უსაფრთხო იქნება. მინდა, მკაფიოდ გავუსვა ხაზი, საქართველოს მოქალაქეებს, იმის მიუხედავად, ლეგალურად არიან თუ არა უცხოეთში, უფლებაც აქვთ და საშუალებაც, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. ჩვენ, სხვადასხვა საშუალებებით, გვაქვს კომუნიკაცია 200-ზე მეტ დიასპორულ ორგანიზაციასთან, სამრევლოებთან, საგანმანათლებლო, ფოლკლორულ და სპორტულ დაწესებულებებთან და, ვფიქრობთ, შევძლებთ მათ დარწმუნებას, რომ არჩევნებში ხმის მიცემა სრულიად უსაფრთხოა“.**

„ვერსიის“ ინფორმაციით, კოტე სურგულაძეს ოფიციალური ვიზიტების ფარგლებში, მოლაპარაკებები ჰქონდა უცხოეთში არალეგალურად მყოფი ჩვენი მოქალაქეებისთვის სტატუსის მინიჭების საკითხზეც, თუმცა როგორც სახელმწიფო მინისტრი აცხადებს, **„ეს საკმაოდ მძიმე და რთულად გადასაწყვეტი საკითხია და დაკავშირებულია იმ ქვეყნების შიდა და საემიგრაციო პოლიტიკასთან. ძალიან ფრთხილები არიან მსგავს გადაწყვეტილებებში, როგორც წესი, ყველა ქვეყანასთან მიმართებაში. პორტუგალია და იტალია ყველაზე კარგად ახერხებენ თავის ტერიტორიაზე მცხოვრები არალეგალებისთვის სტატუსის მინიჭებას. იტალიაში არალეგალური ამნისტიის რამდენიმე ტალღაც კი იყო. რა თქმა უნდა, რაღაც კრიტერიუმები არსებობს, მაგრამ ლეგალიზება შესაძლებელია უმრავლესობისთვის“.**

რაც შეეხება ინვესტიციებს, „ვერსია“ კოტე სურგულაძის მიერ ერთ-ერთ შეხვედრაზე გაკეთებული განცხადებით დაინტერესდა, ირლანდიის გამოცდილების გაზიარების შესახებ, რაზეც სახელმწიფო მინისტრმა განგვიმარტა: **„ძალიან საინტერესო სისტემა აქვთ ქვეყანაში ინვესტიციების მიზიდვისა. ისინი, პირველ რიგში, იმ ირლანდიელ ინვესტორებს ეძებენ, ვისაც შეუძლია, გავლენა იქონიოს ინვესტიციების შემოტანაზე. ჩვენც უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ინვესტიციების მოსაზიდად ჩვენი მიდგომა უფრო მოდერნიზებული გავხადოთ. მაღალი კონკურენციის გარემოში ვიმყოფებით, განვითარებად ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ძალიან აქტუალური საკითხია. საქართველო მზადაა ინვესტიციების მისაღებად. რამდენიმე უცხოელი ინვესტორი წინა ხელისუფლების მსხვერპლი გახდა, რაც დანარჩენებისთვის ცუდი მაგალითია. პირველი მოთხოვნაა, მათი ინვესტიციები დაცული იყოს არა მხოლოდ ქუჩის რეკეტისგან, არამედ ხელისუფლებისგანაც. ჩვენ უკვე გვაქვს კარგი საგადასახადო სისტემა. საჭიროა, მოვიპოვოთ ნდობა და დავანახოთ, რომ დღეს საქართველოში ბიზნესმენის უფლებები დაცულია სახელმწიფოს, პოლიციისა და სხვადასხვა სტრუქტურის მხრიდან.**

**მოლაპარაკებებს ბევრ კომპანიასთან ვაწარმოებთ. სხვა საკითხია, რამდენი მათგანია მზად საქართველოში ბიზნესის დასაწყებად. ამერიკული კომპანია დაინტერესებულია ენერგეტიკის სფეროში სამმილიარდიანი ინვესტიციის ჩადებით. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა მემორანდუმი გაფორმდეს კომპანიასა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის. კომპანიასთან დაკავშირება კი ქართველი ემიგრანტების საშუალებით მოხერხდა“.**



## არ უნდა იყოს ძალადობა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე აცხადებს, რომ **„ჩვენ უნდა დავიცვათ წეს-ადათი, მაგრამ ამავე დროს, არ უნდა იყოს ძალადობა“.**

17 მაისს თბილისში განვითარებულ მოვლენებს პატრიარქი ისტორიული კონსტანტინოპოლიდან გამოეხმაურა. უწმინდესთან ინტერვიუ „მეცხრე არხმა“ ჩაწერა.

**„ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე, უნდა დავიცვათ წესები — ჩვენი წეს-ადათი, მაგრამ ამავე დროს, არ უნდა იყოს ძალადობა. არავინ უნდა მოახვიოს ერთმანეთს თავისი იდეები. მინდა ვთქვა, რომ ეს მოხდა იმ დროს, როცა საქართველოში სამი ჯარისკაცის გლოვა იყო და ძალიან ცუდია, რომ ამასაც ყურადღება არ მიაქციეს“,** — განაცხადა პატრიარქმა.

***„ინტერპრესნიუსი“***




## 31 მაისის მატჩისთვის „მილანის“ შემადგენლობა უკვე ცნობილია

კახა კალაძის ფეხბურთიდან გაცილების მატჩისთვის იტალიის „მილანის“ შემადგენლობა უკვე ცნობილია. როგორც მატჩის ორგანიზატორმა დავით მუჯირმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, „მილანის“ შემადგენლობაში ითამაშებენ: ვალერიო ფიორი, სებასტიანო როსი, როკე ჟუნიორი, პაოლო მალდინი, ჯანლუკა ძამბროტა, იაპ სტამი, მასიმო ოდო, დარიო შიმიჩი, რუი კოშტა, მატიე ფლამინი, იბრაჰიმ ბა, კრისტიან ვიერი, ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი.

ამასთან, მუჯირის ინფორმაციით, ეს არ არის „მილანის“ საბოლოო შემადგენლობა, თუმცა არსებითი ცვლილება შემადგენლობაში არ მოხდება.

მისივე განცხადებით, მატჩისთვის შეიძლება ჩამოვიდეს კაკაც, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, გამოიძახებენ თუ არა მას ბრაზილიის ნაკრებში.

რაც შეეხება სამუელ ეტოოს, იგი მზად იყო მატჩში მონაწილეობისთვის, თუმცა კლუბში თამაშის გამო, ჩამოსვლას ვერ ახერხებს.

რაც შეეხება კალაძის მეგობრების გუნდს, მუჯირის განცხადებით, სრულად ჯერ არ არის დაკომპლექტებული, თუმცა ცნობილია, რომ კალაძის მეგობრების გუნდში ითამაშებს ფაბიო კანავარო.

**„გუნდი იქნება ინტერნაციონალური და მასში, ქართველი ფეხბურთელების გარდა, სხვა ეროვნების ფეხბურთელებიც ითამაშებენ. „მილანის“ მწვრთნელები იქნებიან კარლო ანჩელოტი და ჩეზარე მალდინი. რაც შეეხება კალაძის გუნდს, ალექსანდრე ჩივაძე და ფათიჰ თერიმი უხელმძღვანელებენ“,** — აღნიშნა მუჯირმა.

კახა კალაძის გასაცილებელ მატჩზე ბილეთები „დინამო არენასა“ და მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში გაიყიდება, ფასი კი 5, 7 და 10 ლარი იქნება.

კახა კალაძის გასაცილებელი მატჩი „დინამო არენაზე“ 31 მაისს, 20:30 საათზე დაიწყება. თბილისში მაღალი რანგის ოფიციალურ დელეგაციებსაც ელოდებიან.

***„ინტერპრესნიუსი“***



# შიდსის საგანგაშო სტატისტიკა

მერაბ ბერიძე

**ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში 21 მაისის მონაცემებით, შიდსის ვირუსით ინფიცირების 3821 შემთხვევაა რეგისტრირებული. მათ შორის მიმდინარე წელს 178 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. ინფორმაციის თანახმად, აივინფიცირებულთა შორის 2804 მამაკაცია და 1017 ქალი. პაციენტთა უმრავლესობის ასაკი 29-39 წელია. შიდსი განუვითარდა 2422 პაციენტს, მათ შორის 838 გარდაიცვალა. მკურნალობას 1549 პაციენტი იტარებს, მათ შორის 39 ბავშვია.**

აივინფიცირებულთა შორის 2012 პაციენტი ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია; 1502 ადამიანი ჰეტეროსექსუალური კონტაქტის დროს დაინფიცირდა; 175 პაციენტი კი — ჰომო/ბისექსუალური კონტაქტით. 79 პაციენტი ვერტიკალური კონტაქტით დაინფიცირდა; 21 პაციენტი სისხლის რეციპიენტია, ხოლო 32 პაციენტის დაინფიცირების მიზეზი დაუდგენელია.

ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისშია რეგისტრებული: 1329 პაციენტიდან 75 უცხოეთის მოქალაქეა, ორი პაციენტის წარმომავლობა დაუდგენელია. მეორე ადგილზეა სამეგრელო, სადაც 545 პაციენტია რეგისტრირებული, მათ შორის 404 ზუგდიდელია; აჭარაში 447 პაციენტია დარეგისტრირებული, იმერეთში — 507, აფხაზეთში — 294, კახეთში — 165, ქვემო ქართლში — 176; შიდა ქართლში — 118; გურიაში — 80; ფოთში — 60 და სამცხე-ჯავახეთში – 43. როგორც ექიმი-ინფექციონისტები აცხადებენ, აივინფიცირებულთა რაოდენობა უფრო მეტია, ვინაიდან მაცხოვრებლები პერიოდულ სამედიცინო გამოკვლევებს იშვიათად იტარებენ.

მიმდინარე წელს, შიდსით 39 პაციენტი გარდაიცვალა. მათ შორის 35 მამაკაცია და 4 ქალი. იანვარში 9 პაციენტი გარდაიცვალა, თებერვალში — 5, მარტში – 9, აპრილში — 12 და 21 მაისს — 4 პაციენტი. აივინფექცია 189 ორსულს დაუდგინდა. მათ შორის პირველი შემთხვევა 1999 წელს გამოვლინდა. არსებულ რეალობასა და გამოსავლის გზებზე, **არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი გზის" თავმჯდომარეს, ᲓᲐᲚᲘ ᲣᲨᲐᲠᲘᲫᲔს ვესაუბრებით.** ორგანიზაცია ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამას ახორციელებს.

— ყოველი წლის მაისის მესამე კვირა დღეს შიდსის გარდაცვლილთა საერთაშორისო დღე აღინიშნება. ეს ღონისძიება პირველად 30 წლის წინ, აშშ-ში, სან-ფრანცისკოში გაიმართა. აქცია უფრო ხშირად მარათონულ სიარულში ან სირბილში გამოიხატება. ხალხი დიდ ჯგუფად, ხელიხელჩაკიდებული გადაადგილდება. ამით, აივინფიცირებული ადამიანების მიმართ სოლიდარობას გამოხატავენ.

კონკრეტულად, ჩვენს აქციას რაც შეეხება, ოთხი წლის წინ, შიდსით გარდაგვეცვალა მეგობარი, ჩვენი პროგრამის მონაწილე. მაშინ მის ხსოვნას მივუძღვენით და პატარა ნაძვის ხე დავრგეთ. მას მერე ვუვლით, გავზარდეთ. ახლა გადავწყვიტეთ, მის ირგვლივ მემორიალური სკვერი მოგვეწყო და ამით საზოგადოების ყურადღება მიგვექცია. მართლაც, გამვლელები ჩერდებოდნენ, ნაცნობები გვეკითხებოდნენ, რა ხდება, ამას რატომ აკეთებთო. ასე ყურადღებას მივაპყრობთ იმ ადამიანების პრობლემებზე, ვინც აივინფექციის, ანუ შიდსის მატარებელია და საზოგადოების მხრიდან სიყვარულს, თანადგომას, სოლიდარობას საჭიროებს.

**— როგორ შეაფასებთ შიდსის გავრცელების მხრივ საქართველოში არსებულ მდგომარეობას?**

— საერთოდ, ჩვენს საზოგადოებაში ამ ინფექციის გავრცელების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, სხვა ქვეყნებთან შედარებით. საგანგაშო მონაცემებია იმ კუთხით, რომ საკმაოდ მომძლავრებული რისკ-ჯგუფები გვყავს; ისეთი ცხოვრების წესით მცხოვრები ადამიანები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულნი არიან აივინფიცირების რისკთან.

მეორე მხრივ, ეს ჯგუფები არიან ძალიან ჩაკეტილები, მარგინალიზებულები როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფოს მხრიდან, რასაც სტიგმატიზებას ვუწოდებთ. ბევრი უფლება წართმეული აქვთ. მაგალითად, ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები კრიმინალიზებულნი არიან, მათ კანონი დევნის. ამის გამო, მათში პროფილაქტიკური პროგრამების შეღწევა ჭირს. ეს საგანგაშო და არახელსაყრელი ვითარებაა, რომელიც შეშფოთების საფუძველს იძლევა, ამიტომ ვშიშობთ, რომ ეპიდემიას შეიძლება ვერ მოვერიოთ. ღმერთმა დაგვიფაროს, ასეთი მდგომარეობა ჯერ არ გვაქვს, მაგრამ თუ ზღვარს მივაღწიეთ, შესაძლოა, ჩვენი მცდელობა დაგვიანებული აღმოჩნდეს.

**— ამ თვალსაზრისით, უპირველესად, რომელ რისკ-ჯგუფებს გამოყოფთ?**

# „ზღვარს თუ მივაღწიეთ, შიდსის ეპიდემიას, შესაძლოა, ვერ მოვერიოთ"

— გავრცელების თვალსაზრისით, მეტი ინფიცირების შემთხვევა ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა შორის გვყავს, მაგრამ აქ მნიშვნელობა აქვს მეორე მომენტს — თვითონ ინექციურ მომხმარებელთა შორის ინფიცირებულთა რაოდენობა საშუალოდ ხუთ პროცენტზე დაბლაა. 5% არის ზღვარი, როდესაც უკვე ეპიდემიაზე საუბრობენ. ანუ ინფიცირებულთა შორის ინექციურ ნარკომომხმარებელთა წილი 50%-ზე მეტია, მაგრამ თვითონ ინექციურ მომხმარებელთა შორის ინფიცირებულთა რაოდენობა მაღალი არ არის.

არის მეორე რისკ-ჯგუფი, ესენი არიან ჰომოსექსუალი მამაკაცები. მათი წილი ინფიცირებულთა შორის გაცილებით ნაკლებია; მაგრამ უშუალოდ მათ შორის ინფიცირებულთა რაოდენობა საგანგაშოდ მაღალია. ასეთი გამოკვეთილი ორი რისკ-ჯგუფი გვყავს დღეს საზოგადოებაში.

**— ბრძანეთ მარგინალიზაციის პრობლემაზე; რა უნდა გაკეთდეს ამ პროცესის საწინააღმდეგოდ?**

— საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რა უფრო დიდი უბედურების მომტანია, მარიხუანას მოწევისთვის ადამიანის ციხეში გაშვება თუ კანონის ოდნავი შერბილება. უფრო სწორად, რა უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს საზოგადოებას, ადამიანის ციხეში გამოკეტვა თუ ის, რომ არ დაისაჯოს ამის გამო და მასთან ადვილად იმუშაოს პროფილაქტიკურმა პროგრამებმა; არა მხოლოდ შიდსისა და სხვა, სისხლით გადამდები დაავადებების თვალსაზრისით, არამედ იგივე ნარკომანიის პროფილაქტიკის კუთხითაც. აი, ესაა სალი მიდგომა, პოლიტიკური მიდგომა თუ გნებავთ.

მეორეც, სტიგმას რაც შეეხება, საზოგადოების ნაწილმა, რომელსაც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა შეუძლია, ამ კუთხით უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს, რომ ეს მიუღებლობა შემცირდეს. ადამიანებს არ უნდა ეშინოდეთ, რომ თუ ისინი გაამჟღავნებენ ამ დაავადების შესახებ, საზოგადოებისგან განდევნილნი ან გარიყულნი იქნებიან. ამას ერთ-ორ დღეში ვერ მიაღწევ. როგორც თუნდაც 17 მაისის მოვლენებმა გვაჩვენა, დიდი მუშაობის ჩატარებაა საჭირო.

**— მკურნალობის სერვისები თუა საკმარისი, რომელიც ამ სფეროში მოქმედებს?**

— ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთია, სადაც ყველა ადამიანი, ანტირეტროვირუსულ თერაპიას იღებს და ამაში ფული არ ეხარჯება. ეს ძალიან კარგია, მაგრამ არის კიდევ ერთი — მაგრამ. ადამიანების რაოდენობა, ვისაც ეს თერაპია სჭირდება, ყოველწლიურად იზრდება. იცით, რომ ინფიცირებიდან დაახლოებით 10 წლის შემდეგ, ხდება საჭირო ანტირეტროვირუსული თერაპიის დანიშვნა. ბოლო წლებში, განსაკუთრებით გაიზარდა ინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობა. ანუ მომავალში, გაცილებით გაიზრდება ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც აქვთ აივდაავადება და ათწლიან ზღვარს უკვე მიუახლოვდნენ. სახელმწიფოს მეტი სახსრების მობილიზება დასჭირდება მათი მკურნალობის უზრუნველსაყოფად.

გეტყვით მეორე მნიშვნელოვან მხარეზეც: 2011-ში გაერო-მ ამ დარგში ხუთწლიანი დევიზი გაავრცელა. ქვეყნებს მოუწოდა, არსებული პრობლემები ნულამდე დავიყვანოთო. ეს ნიშნავს, რომ 2016 წლის დამდეგს ინფიცირების ახალი შემთხვევები ნულამდე დაყვანილი უნდა იყოს; შიდსის სიკვდილიანობის შემთხვევები განულებული, ასევე სტიგმისა და დისკრიმინაციის შემთხვევები მინიმუმამდე შემცირებული. იმისთვის, რომ პირველი პუნქტი შევასრულოთ და ახალი ინფექციების მაჩვენებელი ნული იყოს, აუცილებელია რისკ-ჯგუფებში ადამიანების ტესტირება, გამოკვლევა, სტატუსის დადგენა. თუ ნარკოტიკის ინექციური მომხმარებელი სახლიდან გარეთ ვერ გამოდის და პროგრამებს ვერ იღებს, როგორ მოვიცვათ ტესტირება-კონსულტირებით? როგორ მივცეთ საშუალება, ისწავლოს, როგორ დაიცვას თავი ვირუსებისგან? აი, ასეთი დილემის წინაშე ვდგავართ. აქ ისევ ვდგებით ნარკოკანონმდებლობის შეცვლის აუცილებლობასთან.

**— დაბოლოს, დაავადების პრევენციის თვალსაზრისით, ერთგვარი გამოსავალი ჩვენს საზოგადოებაში რა შეიძლება იყოს?**

— უპირველესად, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უპირობო დაცვას სამედიცინო და სხვა დაწესებულებებში, სადაც შეიძლება ადამიანის სისხლის კვალი რჩებოდეს რაიმე ინსტრუმენტზე. მეორე, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ მტკიცე ცოდნა, რომ დაიცვან საკუთარი თავი. უნდა იცოდნენ, რომ ეს დაავადებები გადადის მხოლოდ სისხლით, სხვა ადამიანის სისხლთან კონტაქტით. მეორე გზა, ესაა სქესობრივი ურთიერთობა. ამ საშიშროების შესახებ ყოველთვის უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს.

# რა პროგრამებს აფინანსებს სახელმწიფო ონკოლოგიაში



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში, ყოველწლიურად, კიბოს 7000 ახალი შემთხვევა ვლინდება. დაავადებულთა უმეტესობა ონკოლოგს გვიან იმის გამო აკითხავს, რომ არც დიაგნოსტიკისა და არც მკურნალობის ფული არ აქვს. „ვერსია" დაინტერესდა, რა პროგრამებს აფინანსებს სახელმწიფო ონკოლოგიაში და ვისთვისაა მკურნალობა უფასო. ამის გასარკვევად, ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეს, ᲛᲐᲙᲐ ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔს ვესაუბრეთ.**

— ონკოლოგია თანამედროვე ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი რთული და პრობლემური დარგია, ვინაიდან დაავადებები ხანგრძლივ და ძვირადღირებულ მკურნალობას საჭიროებს. ქირურგიული ჩარევის შემდეგ, პაციენტებს, როგორც წესი, ქიმიო და სხივური თერაპიის რამდენიმე კურსი სჭირდებათ, რაც მძიმე ტვირთად აწვება პაციენტსაც და სახელმწიფოსაც. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, სახელმწიფოს ონკოლოგიის დაფინანსება სრულად აეღო საკუთარ თავზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიც კი, ამ დარგის სრული დაფინანსება რთულია.

საქართველოში ქიმიოთერაპიის თითოეული კურსი 500-დან 35 000 ლარამდე ჯდება. პაციენტს 6, ზოგ შემთხვევაში 12 კურსიც კი სჭირდება, რასაც ემატება რადიაციული მკურნალობის საფასურიც. საქართველოში დღეს აღრიცხვაზე 33 000-მდე ონკოლოგიური პაციენტია. ვინაიდან სახელმწიფოს არ ჰქონდა შესაძლებლობა, სრულად დაეფინანსებინა ონკოპაციენტები, მიიღო გადაწყვეტილება, დაფინანსდეს მათი უმწეო ნაწილი.

**ცალკე პროგრამა ამოქმედდა სიღარიბის ზღვარსმიღმა მყოფი ონკოპაციენტებისთვის, ასევე დაფინანსდა ბავშვთა ონკოლოგია. ნულიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების დიაგნოსტიკა და მკურნალობა სახელმწიფოს მიერ ფინანსდება; ასევე ფინანსდება ყველა სტუდენტი, პედაგოგი, სახალხო არტისტი და საპენსიო ასაკის მოსახლეობა ანუ 60 წლიდან ქალბატონები და 65 წლიდან მამაკაცები. დაფინანსების გარეშე რჩება 5-დან 60 წლამდე ადამიანები, რომლებიც ითვლება, რომ ან უნდა მუშაობდნენ ან კორპორაციულად იყვნენ დაზღვეულები. რაც შეეხება 5-დან 18 წლამდე ბავშვებს, ამ ასაკში ონკოლოგიური დაავადებები შედარებით მცირეა. თუ ყოველწლიურად კიბოს 7000-მდე ახალი შემთხვევა ვლინდება, აქედან ბავშვებში 200 შემთხვევაა. 5-დან-18 წლამდე ასაკის ონკოპაციენტებისთვის სახელმწიფომ შემოიღო ე.წ. რეფერალური პროგრამა რომლის ფარგლებშიც, ამ ასაკის ბავშვთა მკურნალობის დაფინანსება, ინდივიდუალური გეგმით ხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ პაციენტზე დგება შესაბამისი ფორმა №100 და ანგარიშფაქტურა, ყველაფერი იგზავნება ჯანდაცვის სამინისტროში და ფინანსდება. ამავე პროგრამით ფინანსდებიან 60-დან-65 წლამდე მამაკაცებიც.**

**— სახელმწიფოს სრულად აფინანსებს ზემოთ ჩამოთვლილ პაციენტთათვის ონკოლოგიურ პროგრამებს?**

— როგორც უმწეოების, ისე ბავშვთა, სტუდენტების, პედაგოგების სახალხო არტისტებისა და საპენსიო ასაკის პაციენტთა მკურნალობის ეპიზოდები საკმაოდ კარგად ფინანსდება — ქირურგიული ოპერაციები — 12 000 ლარის ფარგლებში, ქიმიო და სხივური თერაპიის ლიმიტი 15 000 ლარია, თუმცა მედიცინა წინ მიდის. ონკოლოგიაში შემოდის ტარგეტული თერაპია, უახლესი პრეპარატები, რომელიც მიზნობრივ უჯრედებზე მოქმედებს. ამ ტიპის მკურნალობა ძალიან ძვირია და, შესაძლოა, მისი ფასი 15 000 ლარს აღემატებოდეს. ტარგეტული ქიმიოთერაპია შედარებით ახალი ნაბიჯია ონკოლოგიაში და იმ ლიმიტის ფარგლებში ფინანსდება, რაც გამოყოფილია ქიმიოთერაპიისთვის. ეს ზოგი პაციენტისთვის შესაძლოა საკმარისი იყოს, ზოგისთვის არა.

*დასასრული მე-11 გვერდზე*

# ემიგრაციის მუზეუმს მისი დამაარსებლის სახელი არ მიანიჭეს

ნინო მიქიაშვილი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ემიგრაციის მუზეუმისთვის მისი დამაარსებლის, გურამ შარაძის სახელის მინიჭებაზე უარი, ღიმილისმომგვრელი მიზეზით თქვა, რასაც წინ ერთობ საინტერესო პროცესი უძღვოდა. ამ საკითხთან დაკავშირებულ პირებს ტელეფონით ვესაუბრე და თსუ-სგან საჯარო ინფორმაცია წერილობით გამოვითხოვე. სტატიის ბოლოს, შეგიძლიათ გაეცნოთ აკადემიკოს გურამ შარაძის შვილის, რუსუდან შარაძის შეფასებას თსუ-ს მიდგომასთან, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებასა და საქართველოს მთავრობის წევრების იმ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, რომელიც მათ გამოხატეს.**



ყველაფერი ასე დაიწყო: რუსუდან შარაძემ განათლებისა და კულტურის მინისტრებს ემიგრაციის მუზეუმისთვის მისი დამაარსებლის, გურამ შარაძის სახელის მინიჭება წერილობით სთხოვა. განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა რუსუდან შარაძეს სატელეფონო საუბრისას განუმარტა, რომ ზემოხსენებული საკითხი მის სამინისტროს არ ეხებოდა. კულტურის სამინისტრომ რუსუდან შარაძის განცხადება თსუ-ს მუზეუმის დირექტორთან მაია გურაბანიძესთან გადაამისამართა. პარალელურად, რუსუდან შარაძეს ერთბწკარიანი დოკუმენტის ასლი გაუგზავნეს — **„გიგზავნით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შემოსულ ქ-ნ რუსუდან შარაძის განცხადებას. გთხოვთ, განიხილოთ და პასუხი აცნობოთ განმცხადებელს“.** რუსუდან შარაძე გურამ ოდიშარიას ტელეფონით ესაუბრა. მან განუმარტა, რომ განცხადების თაობაზე არაფერი იცოდა. მინისტრი რუსუდან შარაძეს დაპირდა, რომ ვითარებაში გაერკვეოდა. თსუ-ს მუზეუმის დირექტორს მაია გურაბანიძეს ტელეფონით ვესაუბრე. მან აღნიშნა, რომ კულტურის სამინისტროდან მიღებული დოკუმენტის განხილვა და ამ საკითხის გადაჭრა მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, ამიტომ გურბანიძემ კულტურის მინისტრის მოადგილის მარინე მიზანდარის წერილობითი მიმართვა, რუსუდან შარაძის განცხადებასთან ერთად, თსუ-ს რექტორს წარუდგინა. თსუ-ს რექტორის აპარატის უფროსმა მზექალა აჭაიძემ სატელეფონო საუბრისას განმიმარტა, რომ თსუ-ს ფარგლებში არსებულ სხვა მუზეუმებს, მაგალითად, ზოოლოგიის მუზეუმს სახელი არ აქვს მინიჭებული და არ არსებობს კანონი მუზეუმისთვის სახელის მინიჭების შესახებ. სწორედ ამიტომ, რექტორმა თავის თავზე ვერ აიღო გადაწყვეტილების მიღება და ემიგრაციის მუზეუმისთვის გურამ შარაძის სახელის მინიჭების საკითხი თსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე გაიტანა. მზექალა აჭაიძემ მითხრა ისიც, რომ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების გაცნობა მას შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი, რაც ამ დოკუმენტს წერილობით გამოვითხოვდი.

თსუ-ს რექტორს სანდრო კვიტაშვილს 13 მაისს წერილობით ვთხოვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისთვის დაევალებინა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების ასლის გადმოცემა. ეს დოკუმენტი 16 მაისს მივიღე, საიდანაც შევიტყვე, რომ ერთი თვის წინ, 15 აპრილს თსუ-ს აკადემიური საბჭო შეიკრიბა, შემდეგი შემადგენლობით: ალექსანდრე კვიტაშვილი (აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე), ნუგზარ სურგულაძე, ზურაბ დავითაშვილი, რევაზ გველესიანი, ქეთევან მარშავა, ნანა გაფრინდაშვილი, მაია კოპალეიშვილი, მარიამ გერსამია. სხდომის დღის წესრიგში შვიდი საკითხი იყო შეტანილი. მათგან რიგით მეოთხე გახლდათ „თსუ-ს ემიგრაციის მუზეუმისთვის გურამ შარაძის სახელის მინიჭება“. აი, რა წერია აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებაში: **„აკადემიურმა საბჭომ განიხილა რუსუდან შარაძის წერილი თსუ-ს ემიგრაციის მუზეუმისთვის გურამ შარაძის სახელის მინიჭების თაობაზე. გაიმართა მსჯელობა. აზრი გამოთქვეს: ქ. მარშავამ, ა. კვიტაშვილმა, ნ. სურგულაძემ, ნ. გაფრინდაშვილმა, მ. კოპალეიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, აკადემიური საბჭოს წევრებმა დაადგინეს, რომ სახელის მინიჭების ერთიანი წესის არქონის გამო, ამ ეტაპზე, ამ საკითხის განხილვა გადაიდოს“.**

რუსუდან შარაძე მიიჩნევს, რომ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება და ამ საკითხისადმი კულტურის სამინისტროს მესვეურების დამოკიდებულება სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: **„ქართული ემიგრაციის მუზეუმში თუ რამეა დაცული — წიგნადი, ხელნაწერი, ფოტო, აუდიო და მემორიალური ფონდები, რაც მთლიანობაში, რამდენიმე ათეული ათასი ექსპონატისგან შედგება, მამაჩემის კერძო კოლექციას წარმოადგენს. თუ დღეს მუზეუმს მისი დამაარსებლის სახელი არ ერქმევა, ამით არც მას და მით უმეტეს, არც გურამ შარაძეს, არაფერი აკლდება. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და კულტურის სამინისტროს მესვეურების საქციელი. კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ჩემი თხოვნა ერთი ყურიდან მეორეში გაუშვა. რაც მთავარია, თავისივე დაპირება დაივიწყა, რომ ჩემს წერილზე რეაგირებას მოახდენდა. მის მოადგილეზე საუბარს კი თქვენთვის მოცემულ ინტერვიუში, სათაურით „ემიგრაციის მუზეუმისთვის მისი დამაარსებლის სახელის მინიჭებას ითხოვენ“, ისედაც ბევრი დრო დავუთმე“,** — ამბობს რუსუდან შარაძე. მისივე თქმით, აკადემიურ საბჭოში, სანდრო კვიტაშვილის გარდა, ვერავინ ამოიცნო, ვერც უარის მიზეზი გაიგო, ხოლო რექტორის აპარატის უფროსის კომენტარზე ბევრი იცინა — **„უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს პატივცემულ წევრებს თუ ჰგონიათ, დაველოდები, სანამ ზოოლოგიის მუზეუმი ლომის სახელობის გახდება, ძალიან ცდებიან“.**



## თბილისში 17 მაისს განვითარებულ მოვლენებზე The Economist სტატიას აქვეყნებს

თბილისში 17 მაისს განვითარებულ მოვლენებზე სტატიას აქვეყნებს ბრიტანული გამოცემა The Economist. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ასეთი მტრული რეაქცია შარშან საქართველოში გამართულ მწვავე არჩევნებსაც კი არ მოჰყოლია. როგორც სტატიაშია აღნიშნული, 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს, თბილისში ჰომოსექსუალთა უფლებადამცველი აქტივისტები აქციის გამართვას გეგმავდნენ. ამის საპასუხოდ, რამდენიმე ათასი ქართველი, საეკლესიო პირებთან ერთად, კონტრდემონსტრაციის გასამართად შეიკრიბა. თუმცა აქცია, რომელიც ხელისუფლების აზრით, მშვიდობიანად ჩაივლიდა, ძალადობაში გადაიზარდა. გაშმაგებულმა ბრბომ აქციის დასარბევად პოლიციის კორდონი გაარღვია. პოლიციამ ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველები ავტობუსებში მოათავსა თავდასხმისგან დასაცავად. თუმცა, საბოლოო ჯამში, 28 ადამიანი დაშავდა, 14 მათგანი კი ჰოსპიტალში მოხვდა.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ხელისუფლება ამას ვერც კი იფიქრებდა. **„14 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ სექსუალური უმცირესობები ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორიც ჩვენ და საზოგადოება თანდათანობით შეეჩვევა მათ. 2012 წელს გამართული მსგავსი აქცია ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველთა და მათ ორთოდოქს ოპონენტთა შორის შეხლა-შემოხლით დასრულდა. ასე რომ, ამჯერად პრემიერმა პირობა დადო, რომ პოლიცია უმცირესობების უფლებებს დაიცავდა“,** — ნათქვამია ბრიტანული გამოცემის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში.

მაგრამ 16 მაისს, — აღნიშნავს სტატიის ავტორი, — საქართველოს ეკლესიის წინამძღვარმა, პატრიარქმა ილია II-მ აქციის გაუმართაობისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ **„ეს იქნებოდა უმრავლესობის უფლებების შეურაცხყოფა და დარტყმა მათ ტრადიციებზე, რელიგიასა და მრწამსზე“.** მისივე განცხადებით, **„ჰომოსექსუალიზმი უდიდესი ცოდვაა“.**

**„ამ სიტყვებით გამხნევებული ორთოდოქსი აქტივისტებისა და მღვდლების მცირე ჯგუფმა ღამე პარლამენტის შენობის წინ გაათენა. დილით კი მათ ათასობით კონტრდემონსტრანტი შეუერთდა“,** — ნათქვამია სტატიაში.

როგორც ავტორი აღნიშნავს, მოგვიანებით, ბიძინა ივანიშვილმა მადლობა გადაუხადა პოლიციას და განაცხადა, რომ აქციის ძალადობრივი დარბევისას 20 პოლიციელი დაშავდა.

**„თუმცა, რაც უნდა იყოს, პოლიცია მოუმზადებელი იყო. ქართველი არასამთავრობოები კი აცხადებდნენ, რომ პოლიციამ ბევრი ვერაფერი გააკეთა აქციის მონაწილეების დასაცავად“,** — წერს ავტორი.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ქართულ საზოგადოებაში ჰომოფობია ღრმად ფესვგადგმულია. 2011 წლის საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებით, რესპოდენტთა 88%-მა განაცხადა, რომ ჰომოსექსუალიზმს ვერასოდეს გაამართლებს.

**„ახლა მთავარი კითხვა ისაა, როგორ რეაგირებას მოახდენს ხელისუფლება. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დაგმო ძალადობა და პირობა დადო, რომ „კანონის შესაბამისად“ გაუსწორდება დამნაშავეებს. ახლა სწორედ ამის დასაწყისია. შესაძლებელია კი, მღვდელი წარდგეს სასამართლოს წინაშე? მაღალი სასულიერო პირები აცხადებენ, რომ ეს შესაძლებელია. ბოლოს და ბოლოს, ანაფორაში შემოსილი პირები ძალადობის ეპიცენტრში იყვნენ. თუმცა, ჯერჯერობით, არავინ დაუკავებიათ“,** — ნათქვამია The Economist-ის სტატიაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში ეკლესია ყველაზე პატივსაცემი ინსტიტუციაა, პატრიარქი კი — ყველაზე სანდო საჯარო პირი, ქართველი პოლიტიკოსები ერიდებიან მის გაკრიტიკებას. 2008 წელს კი, რუსეთ-საქართველოს შორის ხანმოკლე ომის შემდეგ, საქართველოს წინა ხელისუფლებამ გაასამმაგა ეკლესიის ფინანსური დახმარება.

**„17 მაისს მომხდარი ძალადობის შემდეგ, ჰომოსექსუალთა უფლებების დაუცველობა ხელისუფლების ევროპისკენ სწრაფვას შეაფერხებს. ბიძინა ივანიშვილმა უფრო მეტი ვალდებულება უნდა აიღოს მომავალ წელს მსგავსი აქციის უფრო ეფექტიანად დაცვაზე. სხვა შემთხვევაში, 2013 წლის 17 მაისი საქართველოს ისტორიაში არა როგორც ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის, არამედ მასზე გამარჯვების დღედ შევა“,** — ნათქვამია სტატიაში.

*„ინტერპრესნიუსი“*

ჯანდაცვა

# რა პროგრამებს აფინანსებს სახელმწიფო ონკოლოგიაში

*მე-10 გვერდიდან*

სხივური თერაპიაც ქიმიოთერაპიის პროგრამის ფარგლებში ფინანსდება, რომელიც შეიძლება ონკოლოგიურ პაციენტებში მონოთერაპიის სახით იყოს გამოყენებული ანუ ქიმიოთერაპიისა და ქირურგიული ჩარევის გარეშეც, თუმცა ხშირად ხვდება კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობის სახით კომბინაციაში ქიმიოთერაპიასთან და ქირურგიულ მკურნალობასთან. ონკოლოგიის ცენტრში ამბულატორიული სხივური თერაპიის კურსი 2500 ლარამდე ჯდება, სტაციონარული კი — 4500 ლარამდე. როგორც წესი, პაციენტს 1 ან 2 ასეთი კურსი სჭირდება, რომელიც თავისუფლად ეტევა 15 000-ლარიან ლიმიტში თუ პაციენტი დაზღვეულია.

**— გარდა ქირურგიული ჩარევისა, სხივური და ქიმიოთერაპიისა, ონკოპაციენტს დიაგნოზის დასადგენად მაღალტექნოლოგიური კვლევები სჭირდება, ეს თუ ფინანსდება?**

— სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების პაკეტში ასევე შედის მაღალტექნოლოგიური კვლევები — ფინანსდება რენტგენოგრაფია, ულტრაბგერითი გამოკვლევები.

**სამწუხაროდ, უმწეოთათვის და პედაგოგებისთვის განკუთვნილ პაკეტებში არ შევიდა კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, რომელიც პაციენტებს ხშირად ესაჭიროებათ. ეს კვლევები შედის ბავშვთა, მოზარდთა და საპენსიო ასაკის ონკოპაციენტებისთვის. ასევე არც ერთი პაკეტით არ ფინანსდება ონკოლოგიაში ძალიან საჭირო სპეციფიკური კვლევები — ონკომარკერები, ციტოლოგიური და ენდოსკოპიური კვლევები. ასევე არ ფინანსდება სპეცსკანირება ანუ პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფია. არადა, ეს კვლევა ძალიან კარგ ინფორმაციას იძლევა არის თუ არა სადმე წასული მეტასტაზები, არის თუ არა ინვაზია სხვადასხვა ორგანოში და ასე შემდეგ. ეს კვლევა ყველასთვის ფასიანია და მისი ღირებულება 1200-1500 ლარია.**

ასევე ზოგიერთ პაციენტებს ესაჭიროება ჰორმონოპრეპარატები, რომელიც ჩანაცვლებითი თერაპიაა ან მეტასტაზების პროფილაქტიკის, ძვლების პათოლოგიის საწინააღმდეგოდ გამოიყენება და ხანგრძლივად ენიშნებათ. არც ეს პრეპარატები ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით.

**— საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში თუ ფინანსდება ონკოლოგიის ნაწილი?**

— არა, საყოველთაო დაზღვევა ონკოლოგიას არ აფინანსებს.



## დსთ-ს ქვეყნების ავიაკომპანიებით ფრენა ყველაზე სახიფათოდ დასახელდა

დსთ-ს ქვეყნების ავიაკომპანიებით ფრენის უსაფრთხოება თითქმის ორჯერ ნაკლებია საშუალო გლობალურ მაჩვენებელთან შედარებით, ამის შესახებ ტონი ტეილორმა, საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის (IATA) უფროსმა განაცხადა. მისივე თქმით, სხვა ქვეყნებში ერთ ავარიულ შემთხვევაზე 500 ათასი ფრენა მოდის, ხოლო დსთ-ში — 275 ათასი.

ტეილორმა ხაზი გაუსვა, რომ 2012 წელს გლობალურმა ავიაციამ უსაფრთხოების მიხედვით რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია – 5 მლნ ფრენაზე მხოლოდ ერთი ავარიული შემთხვევა. **„თუმცა ყოველი ავარიული შემთხვევა ტრაგედიაა და უნდა ვეძებოთ გზა მის თავიდან ასაცილებლად“,** – აღნიშნა ტეილორმა.

ექსპერტს გააზრებული აქვს, რომ თუნდაც საავიაციო უსაფრთხოების ყველა სტანდარტის დაცვა, ვერ უზრუნველყოფს მთლიანად ავარიული შემთხვევების აღმოფხვრას. ამასთანავე, მისივე მონაცემებით, 380 ავიაგადამზიდში, რომლებმაც IOSA სტანდარტის აუდიტი გაიარეს, არც ერთი ავარიული შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

**„დსთ-ს ქვეყნების ავიაკომპანიები ფულის დეფიციტს განიცდის, რომელსაც აქვს უარყოფითი ზეგავლენა უსაფრთხოებაზე“,** – აცხადებს ტეილორი.

IATA-ს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ავიაკომპანიების საერთაშორისო სტანდარტზე გადაყვანა. დსთ-ს ქვეყნების ავიაკომპანიების კიდევ ერთ მთავარ პრობლემად კადრების ნაკლებობა, განსაკუთრებით, თვითმფრინავების მეთაურების დეფიციტი დასახელდა.

***„პრესა.ჯი“***



## 17 მაისის ინციდენტის გამო, დაკავებულ ოთხ პირს ბრალი წარედგინა

17 მაისის აქციაზე მომხდარი ინციდენტის გამო დაკავებულ ოთხ პირს ბრალი ოფიციალურად წარედგინა. ამ დროისთვის, დაკავებული პირები თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან განთავსებულნი. ადგილზე შეკრებილები არიან მათი ახლობლები. მათი თქმით, დაკავებული პირების ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს, თუმცა ახლობლებისთვის უცნობია, რომელი საათისთვის ჩაინიშნება საქალაქო სასამართლოში პროცესი. როგორც ერთ-ერთი დაკავებულის, ამირან მანთაშაშვილის მამიდამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მისი ძმისშვილი 20 მაისს, დაახლოებით, 19:00 საათზე დააკავეს. როგორ დაკავებულის მამიდა აცხადებს, სამართალდამცველებმა ამირან მანთაშაშვილი სახლიდან წაიყვანეს და ოჯახის წევრებს უთხრეს, რომ იგი დაკითხვაზე მიჰყავდათ.

**„რამდენიმე საათის შემდეგ ამირანი სახლში აღარ დაბრუნებულა. მოგვიანებით გავარკვიეთ, რომ იგი დაკავებული ჰყავდათ. ჩემი ძმისშვილი აქციაზე დაშავდა, მას სამარშრუტო ტაქსმა გადაუარა და მისი დაკავება დაუშვებელია“,** — განაცხადა ამირან მანთაშაშვილის მამიდამ.

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა 17 მაისს, კოლმეურნეობის მოედანზე მომხდარი ინციდენტის მონაწილე ოთხი პირი დააკავა. შსს-ს ცნობით, გიგა კ, ზურაბ ჩ, ამირან მ. და ბექა ფ. პოლიციის დაუმორჩილებლობისა და წვრილმანი ხულიგნობის ფაქტზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით არიან დაკავებულნი.

აღნიშნული დანაშაულების ჩადენა ითვალისწინებს ჯარიმას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით. 17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით, გამოძიება გრძელდება, აღძრულია სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე.

***„ვერსიანიუსი“***

# ვის ინტერესებშია დევნილი მოსახლეობის „თამაშგარე მდგომარეობაში“ დატოვება?



მერაბ ბერიძე

**დევნილთა სამოქალაქო საზოგადოების კოალიცია ახალ მთავრობას პრეტენზიას უყენებს და აცხადებს, რომ ჩვენი საზოგადოების დაჩაგრული მოქალაქეებისადმი ხელისუფლების პოლიტიკა არ იცვლება. დევნილების თქმით, სახელმწიფო პოლიტიკა ტერიტორიული მთლიანობის, განსახლების, უმუშევრობის საკითხებთან მიმართებაში ისე ხორციელდება, რომ იძულებით გადაადგილებულებს არაფერს ეკითხებიან. მათივე თქმით, მთავრობა ამ კუთხით მხოლოდ განცხადებებით იფარგლება და სიტყვას რეალური საქმე არ მოყვება. ამ პრობლემატიკაზე „დევნილთა სამოქალაქო საზოგადოების კოალიციის“ ხელმძღვანელს, ლელა გულედანს ვესაუბრებით.**

— მერამდენე თვე გადის და წლების წინ დევნილების მიმართ დაწყებული სახელმწიფო პოლიტიკა არ იცვლება — კვლავ მიზანმიმართულად მიმდინარეობს ამ საზოგადოების გახლეჩა, ისევ მუქარასა და დაშინების მცდელობასთან გვაქვს საქმე. საბინაო პრობლემების მოუგვარებლობა, უმუშევრობა და სასოწარკვეთა ტერიტორიულ მთლიანობასთან მიმართებაში ის საკითხებია, რაზეც მთავრობას ჩამოყალიბებული ხედვები ისევ არ აქვს. ხელისუფლება არ ზრდის დევნილთა ინფორმირებულობას, არ ამაღლებს სამოქალაქო ცნობიერებას; მთელი რიგი კანონპროექტების მიღება, საკანონმდებლო ბაზის ცვლილება, ჩვენი მონაწილეობის გარეშე ხდება. არც ერთი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში იძულებით გადაადგილებულები არ მონაწილეობენ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოც კი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებების მიღებისას ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს, თამაშგარე მდგომარეობაშია.

უმუშევრობის, საბინაო საკითხების მოგვარების მხრივ, თითქმის არაფერი შეცვლილა და კვლავ გაუსაძლისი ვითარების წინაშე ვიმყოფებით. თუ ხელისუფლებას ამ პრობლემების მოგვარება უნდა, ვთავაზობთ, დევნილები ჩართონ ამ პროცესში. ამ საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურები პროფესიონალებითა და პატრიოტებით უნდა დააკომპლექტონ, მათ შორის დევნილი საზოგადოებიდან. ასევე მივმართავთ, რომ ჩვენს კოალიციასთან ითანამშრომლონ, რადგან კონკრეტული ხედვები და პროგრამები გვაქვს. ნაწილი უკვე წარვადგინეთ, მაგრამ თანამშრომლობის ხელი არ გამოგვიწოდეს.

**— თუ დევნილების ჩართვა არ ხდება მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭო თამაშგარე მდგომარეობაშია, მაშინ ვინ ახორციელებს ამ პოლიტიკას?**

— მხოლოდ ცენტრის დირექტივა სრულდება და დევნილი საზოგადოების აზრი, წლების განმავლობაში იგნორირებულია. ამასთან, დევნილები იმდენად გადართულნი არიან ელემენტარული პრობლემების მოგვარებაზე, რომ ვერც ახერხებენ უფრო რთული თემებით დაკავებას. ვფიქრობთ, მიზანმიმართულად ხომ არ კეთდება, რომ დევნილი საზოგადოება საქვეყნო საზრუნავში არ ჩაერთოს; ვგულისხმობ სახელმწიფო პოლიტიკას, აფხაზეთში დაბრუნებას და ა.შ.

ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კონსტიტუცია იმისთვის შეცვალეს, რომ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე თვითონ დაენიშნათ. ამით ლეგიტიმური მთავრობა და სტრუქტურები საკუთარ მარიონეტად აქციეს. მას ფუნქცია დაკარგული ჰქონდა და ახლაც ასე გრძელდება.

დევნილთა პოლიტიკა დამოუკიდებლად, თავად მოსახლეობის ინიციატივების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ამისთვის, ცნობიერება უნდა ამაღლდეს და სამუშაოა გასაწევი.

**ამ ყველაფრის მოთავე კი აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურა უნდა იყოს. მისთვის ამხელა თანხა, 8 მილიონი ლარი იხარჯება და, ფაქტობრივად, წყალში იყრება. უმაღლესი საბჭო რეალურ, ავტონომიურ პოლიტიკას ვერ ატარებს, როგორც დევნილებთან მუშაობის, ასევე აფხაზებთან ნდობის აღდგენის კუთხითაც, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, კონსტიტუცია სააკაშვილამდე არსებულ მდგომარეობას დაუბრუნდეს; როცა უმაღლეს საბჭოს მთავრობაზე კონტროლი ჰქონდა და თავმჯდომარეს თვითონ ნიშნავდა. აქ დევნილების გამოფხიზლებაც საჭიროა, ინფორმაციის მიწოდება და ა.შ.**

**— თქვენი აზრით, რატომ ტოვებენ დევნილ მოსახლეობას თამაშგარე მდგომარეობაში?**

— ვშიშობ, აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, სერიოზული ძვრები თუ დაიწყო, ვიღაც ამ მიმართულებით დევნილი საზოგადოების მდგრადობის მოშლას ცდილობდეს. ამგვარი დემორალიზაცია გრძელდება და დევნილთა და განსახლების სამინისტრო, სამწუხაროდ, მსგავს პოლიტიკას არ ღალატობს. კვლავ საუბარია დევნილთა დიდი ობიექტების დაშლაზე, რეგიონებში გაყვანაზე, რაც ძველი პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს. ვეჭვობ, მალე დევნილთა დიდი, კოლექტიური ცენტრების დაშლა და რეგიონებში გაყვანა დაიწყება. იმისთვის, რომ დევნილების კონსოლიდაცია არ მოხდეს, სტატუსთან დაკავშირებით ხმის ამოღება და რეაგირება ვერ მოახერხონ.

**— მაგრამ მინისტრმა დარახველიძემ განაცხადა, რომ ათწლეულების განმავლობაში დედაქალაქში მცხოვრებ დევნილებს რეგიონებში აღარ გაასახლებენ; ასევე, რატომაა თქვენთვის მიუღებელი მინიჭებული ქულებით განსახლების სისტემა?**

— სამინისტრო ამ წინადადებებით გამოდის, მაგრამ რეალური ქმედებები ამას არ მოჰყოლია; მსგავსი ინიციატივები იყო, მაგრამ კანონში ცვლილებები არ შესულა. სხვათა შორის, დევნილები უკმაყოფილონი არიან, სამინისტრო ამ საუბრებით პიარს ეწევა და ადგილზე რომ მიდიხარ, კედლებზე სულ სხვა რამაა გამოკრული და შიგნით კი მომსახურე პერსონალი განსხვავებულზე გელაპარაკებაო. შეიძლება ესეც შეგნებულად ხდება, რომ დევნილები სიცრუის ტყვეობაში ცხოვრობდნენ. როგორც ასეთი, საქმე და შედეგი დევნილებს არ უნახავთ.

**ამასთან, სამინისტროს დღევანდელი ფინანსური რესურსი, 48 მილიონია. ყოველ წელს, ამ თანხას თუ ვერ გაცდებიან, დევნილთა განსახლების პროცესი შეიძლება კიდევ 20 წელი გაგრძელდეს. ჩვენ რომ დავთვალეთ, 62 ათასი დევნილი ისევ საბინაო პრობლემის წინაშე იმყოფება. წლეულს მხოლოდ 2 ათას ოჯახს აკმაყოფილებს სამინისტრო, მეტის საშუალება არ არის. ასეთი ტემპებით, დროში ძალიან გაწელილ სტრატეგიას მივიღებთ. ამის გამო დევნილები შიშისა და გაურკვევლობის წინაშე იმყოფებიან. ქულებს რაც შეეხება, აქაც დაყოფა და დისკრიმინაციული პროცესი მიდის. ყველაზე უარეს დღეში მყოფისთვის უპირატესობის მინიჭების საწინააღმდეგო არავის აქვს. მეორე მხრივ, ადამიანებს მთავრობისადმი პრეტენზიები გააჩნიათ, ჩვენ რა დავაშავეთ, რატომ ვერ უნდა მივიღოთო ბინა. დევნილებს მოცდა აღარ შეუძლიათ. ხელისუფლება, სამინისტრო ვალდებულია ნელ-ნელა ყველა დააკმაყოფილოს, მეტის მოთმენა და გაძლება შეუძლებელია. ამის გამო აგრესია წამოვიდა. დევნილები ღიად ამბობენ, ამ კრიტერიუმებით განსახლების პროცესში კიდევ დიდხანს ვერ მოვხვდებითო.**

ასევე, ჭორები ვრცელდება, რომ პროცესი ნაცნობობით განხორციელდება და ბინებს ერთი და იგივე ხალხი მიიღებს. საგარანტიო ფურცლები დარიგებულია და ზოგიერთი მეორე ბინას იღებს. დევნილებმა ეს იციან და უკმაყოფილებას ვერ მალავენ. ამბობენ, იგივე მეორდება, რაც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდაო. გამჭვირვალობა არ არის; გვითხრეს, კომისიაში ჩაგრთავთო და არ გააკეთეს. ყველანაირად ცდილობენ, იზოლაცია გაგვიკეთონ. ასეთ მიდგომას ბოლო უნდა მოეღოს, რადგან ხალხთან ჩვენ ვმუშაობთ.

# ნავთობის მსოფლიო ფასების რყევა და თანამედროვე გეოეკონომიკური ტენდენციები

ზურაბ გამრეკელი

**მსოფლიოს ნავთობის ფასები ა/წლის მაისის პირველ ნახევარშიც განაგრძობს დაცემას, რაც ძირითადად, აშშ-სა და დასავლეთის სხვა ინდუსტრიული ქვეყნების მაკროეკონომიკური სტატისტიკისა და ნავთობის მარაგების შესახებ მონაცემების პუბლიკაციის ფონზე ხდებოდა. 2013 წლის დასაწყისიდან დღემდე, მსოფლიო ეკონომიკის აღდგენისა და სირიაში არეულობის პარალელურად, ნავთობის მსოფლიო ფასები ძირითადად მცირდება. ეს მსოფლიო ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს სტიმულს აძლევს, შეამსუბუქონ მონეტარული პოლიტიკა, მთავრობებმა კი სახელმწიფო რეგულირებაზე ანუ „ახალ მსოფლიო წესრიგზე“ (რაც საკმაოდ „მოდური“ ტერმინი იყო 2008-2009 წ.წ. გლობალური ეკონომიკური კრიზისის პერიოდში) ნაკლებად იფიქრონ...**



## არა მხოლოდ ნავთობით...

მსოფლიოს ნავთობის 40%-ის მომპოვებელი გაერთიანება „ოპეკი“ ცდილობს, შეამციროს ნავთობის მოპოვება, რათა როგორმე შეინარჩუნოს ფასები. ამ გაერთიანებაში შემავალი ბევრი ქვეყნისთვის ნავთობი საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი წყაროა. მაგალითად, საუდის არაბეთში მისი მშპ-ს 45%-ს ნავთობის მოპოვება ქმნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ოპეკი“ მუდამ იყო საწვავის ფასების მსოფლიო ბირჟების „ტონის მიმცემი“, თუმცა თანამედროვე პირობებში მდგომარეობა შეიცვალა და ნავთობის ბაზრები შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

1) „ოპეკის“ არაწევრ ქვეყნებში ნავთობმოპოვების უკონტროლო ზრდა. ამ ორიოდე წლის წინ, გაზეთ „ფაინეშნლ ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, „ოპეკის“ გენერალურმა მდივანმა, აბდალა ალ-ბადრიმ მსოფლიოს მოუწოდა ნავთობის ბირჟებზე ფინანსური ინსტრუმენტებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. საქმე ისაა, რომ მაღალი სპეკულაციური ფასებით, პირველ რიგში, სარგებლობენ „ოპეკის“ არაწევრი ექსპორტიორები, როგორიცაა მაგალითად, რუსეთი ან აზერბაიჯანი განსხვავებით, ვთქვათ, საუდის არაბეთისგან, რომელიც იძულებულია, „ოპეკის“ კვოტას დაემორჩილოს, რუსეთმა შესძლო, უკონტროლოდ გაეზარდა მოპოვება, დღეში 10 მლნ ბარელამდე (წლიურად 500 მლნ ტონა) და 2010 წლიდან, საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ პირველად, ნავთობის მოპოვებაში მსოფლიო ლიდერი გამხდარიყო;

2) ე.წ. დერივატივების გამოყენება ნავთობით ვაჭრობაში. ალ-ბადრის ზემოაღნიშნულ ინტერვიუში მითითებულია ფასების სწრაფი ცვლილების მეორე მიზეზიც. კერძოდ, ესაა საბაზრო დერივატივებით (swaps, futures, options, forward და ა.შ), ვაჭრობის ფართოდ გამოყენება ნავთობის ბირჟებზე, რაც ნაცვლად ჩვეულებრივი მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმისა, სპეკულაციურ მოთხოვნაზეა დამყარებული. შედეგად, ფინანსურ ინსტრუმენტებს უფრო მეტი გავლენა აქვს ინვესტორთა ქცევაზე, ვიდრე მოთხოვნა-მიწოდების რეალობას. ალ-ბადრის ინტერვიუ მთავრდება იმით, რომ იგი შეეცდება, მოსპოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის დომინანტურობა ნავთობის ბაზრებისადმი, თუმცა ბევრ სპეციალისტს ეს მიზანი მიუღწევადად მიაჩნია;

3) XXI ს. I ათწლეულის გეოპოლიტიკური კატაკლიზმები. ნავთობის ფასებმა, განსაკუთრებით სწრაფი ნახტომი, ბოლო პერიოდში გააკეთა. 2010 წლის ბოლოს, ძირითადად, მაღრიბის ქვეყნებში დაწყებული არეულობის გამო, „ბრენტის“ მარკის ნავთობის ღირებულება — ბარელზე 83 დოლარიდან რამდენიმე დღეში ავიდა 100 დოლარამდე;

4) გლობალური ეკონომიკური კრიზისი. ნავთობის ფასების ზრდა, გარდა აღნიშნული არეულობისა, სტიმულირდებოდა არა იმდენად „ოპეკის“ მხრივ მიწოდების შეფერხებით, რამდენადაც აშშ-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფინანსური პრობლემებით. ამავდროულად, გლობალიზაციის პროცესმა ცალკეულ ქვეყნებს ბევრი ისეთი ბერკეტი „ჩამოართვა“, რაც ადრე ფასების რეგულირებისთვის გამოიყენებოდა;

5) გლობალური მონოპოლისტი ექსპორტიორის, მსოფლიო კარტელის — „ოპეკის“ არსებობა. სწორედ მონოპოლიზმითა და მისი თანმდევი „პარაზიტიზმითაა“ განპირობებული „ოპეკის“ მოუქნელობა. მხოლოდ „საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს“ (IEA) ხელმძღვანელის, ნობუო ტანაკას მოწოდებამ და დასავლეთის ქვეყნების ერთიანმა პოზიციამ აიძულა „ოპეკი“, რომ ა/წლის აპრილში, პარიზში გამართულ სხდომაზე ემსჯელა მოპოვების კვოტების სასწრაფოდ შემცირებისთვის. ყველა შემთხვევაში, ფაქტი სახეზეა, რომ სწორედ გლობალიზაციის გამო, ნავთობის ფასების რყევა პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ კონფლიქტებს ემთხვევა — ერთ ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები ნავთობის მსოფლიო ბაზრებზე ვრცელდება.

## ნავთობი, როგორც გეოპოლიტიკური იარაღი

ეკონომიკური ძალაუფლება პოლიტიკურ ძალაუფლებას წარმოშობს, რომელიც თავის მხრივ, კვლავ ახალი ბაზრების ხელში ჩასაგდებად ისწრაფვის. „საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს“ (IEA) მონაცემების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნავთობი და ბუნებრივი აირი უახლოეს მომავალშიც დარჩება ძირითად ენერგეტიკულ რესურსად. ამ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიწოდებისა და ფასების სტაბილურობას. უახლოესი ისტორია კი გვიჩვენებს, რომ ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო ბაზრები ძალზე მგრძნობიარეა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური რყევებისადმი.

თუნდაც ის ფაქტი, რომ მსოფლიო ბაზრებზე ბარელი ნავთობის ერთი დოლარით გაძვირება რუსეთის ბიუჯეტის შემოსავლებს ერთი მილიარდი დოლარით ზრდის, მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ რუსეთის პირდაპირ ინტერესებშია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური გეოპოლიტიკური მოვლენების პროვოცირებით ნავთობის (ამის შედეგად კი — ბუნებრივი აირის) ფასების ზრდა. ამის მაგალითია, თუნდაც რუსეთ-უკრაინისა და რუსეთ-ბელორუსის „გაზის კონფლიქტები“, რის გამოც ნავთობის მსოფლიო ფასები მომენტალურად იზრდებოდა.

2000-2008 წლების მანძილზე, მსოფლიოს ბაზრებზე ნავთობის ფასების 20-დან 147 დოლარამდე გაზრდამ რუსეთს დაახლოებით, 1 ტრილიონი დოლარი მოუტანა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა პოლიტიკურ ბლოკებსა და ცალკეულ სახელმწიფოებს შორის. ახალი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნის ფარული სურვილი, რაც XXI საუკუნის დასაწყისში რუსეთის ახალ ხელისუფლებაში გაჩნდა, ექვსი-შვიდი წლის შემდეგ, „ნავთობდოლარების“ საშუალებით, რეალობად იქცა. ამ პერიოდში დსთ-ს სივრცეში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი — ОДКБ, თავისი სწრაფი რეაგირების ძალებით, ასევე „შანხაის ორგანიზაცია“. ისინი ნატო-ს და, უპირველესად, აშშ-ს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სტრუქტურებია. აღნიშნულის შედეგია ის, რომ ბევრმა დასავლელმა უფლებადამცავმა „იუკოსის“ მეორე სასამართლო საქმეს რუსეთის ხელისუფლების „პოლიტიკური მანიფესტი“ უწოდა, რომელიც დანარჩენი მსოფლიოსადმი კრემლის ტონის შეცვლაზე მეტყველებს. რატომ მოხდა ეს სწორედ 2010 წლის ბოლოს? ბევრი ექსპერტი ამას სწორედ ნავთობის ფასების მორიგ ზრდას უკავშირებს.

რუსეთის ხელმძღვანელობით და მისი სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით ხდება გლობალიზაციის თანმდევი, საკმაოდ ბევრი რეალური საფრთხის ჰიპერტროფულ ზომებამდე გაბერვა და ანტიდასავლური (უპირველესად კი, ანტიამერიკული) იდეოლოგიის პროპაგანდა. უფრო მეტიც, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში რუსეთი ამ ლოზუნგის ქვეშ აერთიანებდა მსოფლიოს ყველაზე მარგინალურ პოლიტიკურ რეჟიმებს (ლიბია, ირანი, სირია, ვენესუელა, ჩრდილოეთ კორეა, ნიკარაგუა, ბოლივია, კუბა და ა.შ.) და მათ აშშ-ს წინააღმდეგ რაზმავდა.

ამავე დროს, სახეზეა რუსეთის იმპერიის აღდგენის მცდელობისადმი დასავლეთ ევროპის ქვეყნების (უპირველესად, გერმანია, საფრანგეთი და იტალია) წაყრუების პოლიტიკა, რასაც საფუძვლად „ენერგეტიკული შანტაჟის“ შიში უდევს და რაც ნავთობის მაღალ ფასებზე ზემოქმედებას გამორიცხავს.

ქვემოთგანხილულ სქემაზე ნათლად ჩანს, რომ დაწყებული გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე, ნავთობის ფასების რყევა 1947-2009 წწ. მნიშვნელოვანი მსოფლიო პოლიტიკური კატაკლიზმების პარალელურად ხდებოდა, რასაც გრაფიკიც ადასტურებს, სადაც აღნიშნულია:

*დასასრული მე-14 გვერდზე*



## ვანუატუ აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს

პრეზიდენტ სააკაშვილის დიპლომატიურმა ძალისხმევამ კონკრეტული შედეგი გამოიღო. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილება გააუქმა ვანუატუმ.

ინფორმაცია, ვანუატუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის „ფეისბუქზე“ გამოქვეყნდა. კრემლის მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგად, ვანუატუმ აფხაზეთის დამოუკიდებლობა რამდენიმე წლის წინ აღიარა.

**„თუმცა, დღეს, პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი გუნდის დიპლომატიურმა ურთიერთობებმა, სხვადასხვა სახის ოფიციალურმა თუ დახურულმა შეხვედრამ თითოეული ჩვენგანისთვის სასიხარულო შედეგი მოიტანა — ვანუატუმ თავისი სიტყვები „ვაღიარებ აფხაზეთის დამოუკიდებლობას“, უკან წაიღო“...**

2011 წლის მაისის ბოლოს, მოსკოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ვანუატუმ საქართველოს ოკუპირებული რეგიონები აღიარა და ეს აფხაზური დიპლომატიის გამარჯვებად შეაფასა. იმავე წელს, ვანუატუს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალფრედ კარლოტმა ასევე ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს.

*„ვერსიანიუსი“*



## სააკაშვილი ოფიციალური ბაქოსთვის, სოლიდარობის გამოცხადებაზე საუბრობს

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას უჭირს დამალოს ის მიღწევები, რასაც ქვეყანამ წინა მთავრობის დროს მიაღწია. მიხეილ სააკაშვილი: **„საქართველოს მთავრობამ მთლიანად შეიცვალა ტონი. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოს თურმე ჰქონია ძალიან კარგი საბაჟო და საგადასახადო სისტემა და პარლამენტში ყოფნისას, მთავრობის წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ ჩვენ მსოფლიო ბანკის რეიტინგებში ვართ მე-9 ადგილზე“.**

ერთი სიტყვით, ის, რასაც მთელი თვეების განმავლობაში ჩვენი მთავრობა ეძახდა სიცრუეში ცხოვრებას და ჩვენს პიარს და იმას, თითქოს მსოფლიოს ვატყუებდით, ახლა შეიცვალა. იმ ფონზე, როცა გაუჭირდათ, ინვესტიციები აღარ შემოდის და ყველაფერი გაჩერდა, მოუხდათ ამის აღიარება. აშშ-ში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი, რუსეთის ხელისუფლების მიერ, აზერბაიჯანთან მიმართებაში მიღებულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა და ოფიციალური ბაქოსთვის სოლიდარობის გამოცხადების აუცილებლობაზე ისაუბრა.

**„ახლა მთავარი სამიზნეა აზერბაიჯანი, რასაც დიდი ხანია ვიძახი. თუ აზერბაიჯანი დაეცა, მაშინ რეგიონს პერსპექტივა მოესპობა და პირიქით, თუ აზერბაიჯანი გაძლიერდება და გააგრძელებს განვითარებას, ჩვენ ბევრად უკეთესი პერსპექტივა გვექნება მომავლისთვის და ეს რუსეთის დღევანდელმა მთავრობამ კარგად იცის. როცა რუსებმა დენი და გაზი ჩაგვიკეტეს, აზერბაიჯანმა თავისი მოსახლეობა „გათიშა“ და საქართველოს გაუყო საკუთარი ელექტროენერგია. ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ აზერბაიჯანის მიმართ სოლიდარობა“,** — დასძინა სააკაშვილმა.

ქვეყნის პირველი პირი ამერიკასთან ურთიერთობასაც შეეხო და განაცხადა, რომ საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა დასავლეთისა და ამერიკის რადარიდან არ გაქრეს.

**მიხეილ სააკაშვილი: „ჩვენ, რა თქმა უნდა, მუდმივად წინ უნდა ვიხედებოდეთ და უნდა ვხედავდეთ ხვალინდელი ლიდერების თაობას, ამიტომ ორივე პარტიის — „რესპუბლიკელებისა“ და „დემოკრატების“ წარმომადგენლებს ვხვდებით, რომლებმაც 2016 წლის შემდეგ, ამ ქვეყნის მმართველობა უნდა ჩაიბარონ. ჩვენ ვემზადებით მომავლისთვის. საქართველო არამცთუ არ უნდა გაქრეს დასავლეთისა და ამერიკის რადარიდან, არამედ, პირიქით, ბოლომდე უნდა გავიდგათ ფესვები და გავაძლიეროთ მხარდაჭერა ჩვენს მიმართ. კრისტის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ერთ-ერთი მთავარი რეფორმატორია, ამერიკაში კი საქართველო სწორედ რეფორმებთან დაკავშირებული ბრენდია“.**

*„პრესა.ჯი“*

# პრეზიდენტის ვიზიტისას ღონისძიებაში არმონაწილეობა საელჩოს როლის დაკნინებას ნიშნავს



მინდია აფციაური,
„ინტერპრესნიუსი“

**საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანმა ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო ვიზიტისას, აშშ-ში საქართველოს ელჩს არჩილ გეგეშიძეს შეხვედრებზე დასწრებაზე უარი განუცხადა. თავის მხრივ, ამ ბრალდებას პრეზიდენტის ადმინისტრაციამ „სამარცხვინო“ უწოდა. აღნიშნულ საკითხზე „ინტერპრესნიუსი“ აშშ-ში საქართველოს ელჩს არჩილ გეგეშიძეს ესაუბრა.**

— **ბატონო არჩილ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა აშშ-ში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობაზე უარი გითხრათ. თავის მხრივ, დავით ზალკალიანის განცხადებას, მოგვიანებით, პრეზიდენტის ადმინისტრაცია გამოეხმაურა და მის მიერ პრეზიდენტისა და საგარეო უწყების ვიზიტების არაკოორდინირებულობაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის დადანაშაულებას „სამარცხვინო“ უწოდა. რა ხდებოდა რეალურად აშშ-ში პრეზიდენტის ვიზიტის დროს?**

— ჩვეულებრივი პრაქტიკაა, რომ როდესაც უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში ხორციელდება მაღალი თანამდებობის პირის ვიზიტი, მით უმეტეს პრეზიდენტის, იმ ქვეყანაში საქართველოს საელჩო ამ ვიზიტის ორგანიზებაში, ვიზიტის ფარგლებში ცალკეული ღონისძიებების დაგეგმვასა და ამ ღონისძიებებში მონაწილეობაში ბოლომდეა ჩართული. ასე იყო ყოველთვის და ეს არაა დამახასიათებელი მხოლოდ საქართველოსთვის, ნებისმიერი ქვეყნის საელჩო უცხოეთში ყოველთვის მონაწილეობს მაღალი თანამდებობის პირის ვიზიტის განხორციელებაში იმ ქვეყანაში, სადაც ეს საელჩო იმყოფება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც პრეზიდენტი ბოლოს აშშ-ში ჩამობრძანდა, ჩვენი ინფორმაციით, შედგა მხოლოდ ორი ღონისძიება, ერთი სენატორ რუბიოსთან, მეორე კი — კონგრესში საქართველოს მხარდამჭერ ჯგუფთან. მე პირადად, პრეზიდენტს დავხვდი აეროპორტში, როდესაც იგი ჩამობრძანდა. საღამო იყო. მივაცილეთ მე და საელჩოს სხვა თანამშრომლებმა სასტუმროში და რადგან იქ მისი მხრიდან ჩვენს მიმართ არანაირი თხოვნა, სურვილი არ ყოფილა, წამოვედით სასტუმროდან და იგი იქ დავტოვეთ.

ველოდებოდით, რომ ის შემოგვთავაზებდა მეორე დღეს სენატორთან შეხვედრაში მონაწილეობას. ჩვენი იქ ყოფნით, აეროპორტში დახვედრით, სასტუმროში მიცილებით, ფაქტობრივად, ვაჩვენეთ ჩვენი მზადყოფნა და სურვილი, რომ მიგვეღო მონაწილეობა მისი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, მაგრამ მისი მხრიდან არ იყო შემოთავაზება, რომ ჩვენ დავსწრებოდით სენატორ რუბიოსთან შეხვედრას. ეს შეხვედრა რომ ყოფილიყო ერთიერთზე, მაშინ კიდევ გასაგები იქნებოდა, რადგან პრივატულ შეხვედრად ჩაითვლებოდა, მაგრამ, როდესაც ასეთ შეხვედრას პრეზიდენტის თანმხლები პირები ესწრებიან, ასეთ შემთხვევაში საქართველოს საელჩოს არმონაწილეობა არასწორი იყო და საერთოდ, ეს ძალიან ცუდად ჩანს ვაშინგტონში. ამიტომ ძალიან არასასურველი ფაქტი მოხდა, ჩვენ ამ შეხვედრაში მონაწილეობა რომ არ მივიღეთ.

რაც შეეხება მეორე ღონისძიებას კონგრესში, ამ შეხვედრას დავესწარით, სადაც იქ არა მარტო მე, საელჩოს სხვა თანამშრომლებიც იყვნენ და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ღონისძიებაში სრულფასოვნად მივიღეთ მონაწილეობა. ამ ღონისძიების შემდეგ პრეზიდენტი გაემგზავრა აეროპორტში, იქაც გავყევით და გავაცილეთ.

საბოლოო ჯამში, მონაწილეობა მივიღეთ დახვედრა-გაცილებაში, ასევე ერთ- ერთ ღონისძიებაში. მეორე ღონისძიებაში სენატორ რუბიოსთან ეს ვერ შევძელით, რადგან, როგორც აღვნიშნე, პრეზიდენტის მხრიდან მოწვევა და სურვილი არ ყოფილა.

— **უფრო რომ დავაკონკრეტოთ, პირადად შესთავაზეთ სიტყვიერად პრეზიდენტს, მისი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში მიგეღოთ მონაწილეობა?**

— როდესაც ელჩი და არა მარტო ელჩი ხვდება პრეზიდენტს აეროპორტში და მიაცილებს სასტუმროში, როდესაც საელჩო მონაწილეობს ამ ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ორგანიზებაში, მათ შორის სენატორ რუბიოსთან, და როდესაც ამ შეხვედრის დაგეგმვისთვის წინასწარი კომუნიკაცია დამყარდა საქართველოს საელჩოს მიერ, რომ პრეზიდენტი ჩამობრძანდება და მას აქვს სურვილი მასთან შეხვედრის, ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ საელჩო ამცნობს პრეზიდენტს, იგი მზადაა და მოსურნეა, ყველანაირად ჩართული იყოს ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში. ფაქტობრივად, ფიზიკურად მის გვერდით ყოფნით, ვთავაზობდით ჩვენს მონაწილეობას ვიზიტით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, მაგრამ მისი მხრიდან არ თქმულა, რომ დავსწრებოდით რუბიოსთან შეხვედრას და ეს, ფაქტობრივად, იყო უარი ამ შეხვედრაში ჩვენს მონაწილეობაზე. ანუ, არც პირადად მისგან და არც მისი პროტოკოლის სამსახურისგან არ ყოფილა არანაირი შემოთავაზება.

— **როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტის ასეთი ქმედებები რამდენად უარყოფითად მოქმედებს და რამდენად აკნინებს აშშ-ში საქართველოს საელჩოს?**

— ეს საელჩოს როლისა და ადგილის დაკნინების მიმანიშნებელია გარე თვალისთვის. როდესაც ქვეყნის პირველი ან რომელიმე სხვა თანამდებობის პირი ჩამობრძანდება ქვეყანაში, აქვს შეხვედრა ამ ქვეყნის სხვადასხვა წარმომადგენელთან და იქ საელჩო რომ არ არის წარმოდგენილი, მით უმეტეს, როდესაც საუბარია პრეზიდენტზე, ქვეყნის პირველ პირზე, რბილად რომ ვთქვათ, ეს ძალიან უცნაურად გამოიყურება და ერთგვარად, აკნინებს მათ თვალში საქართველოს საელჩოს როლსა და ადგილს ასეთი ვიზიტების განხორციელების დროს, რაც რა თქმა უნდა, მიუღებელი პრაქტიკაა და ეს, როგორც წესი, არსად ხდება.

— **პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში საუბარი იყო სააკაშვილის 24 აპრილი-2 მაისის ვიზიტზე...**

— მე რაც ახლა გიამბეთ, ბოლო ვიზიტს ეხებოდა. 24 აპრილიდან 2 მაისამდე, წინა ვიზიტია, პრეზიდენტი ბოლო ერთი თვის განმავლობაში ორჯერ იმყოფებოდა აშშ-ში, პირველად ჩამოვიდა 24 აპრილს, დაჰყო დაახლოებით კვირაზე მეტი, შემდეგ გაემგზავრა. დაახლოებით 10-12 დღეში კვლავ ჩამობრძანდა ვაშინგტონში. პრეზიდენტის წინა ვიზიტის დროს აშშ-ში არ ვყოფილვარ.

— **რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, რა ღონისძიებები იგეგმება აშშ-ში და თქვენი ინფორმაციით, ხომ არ აპირებს საქართველოს პრეზიდენტი ამ ღონისძიებებში მონაწილეობას?**

— 26 მაისის დღესასწაულს აღვნიშნავთ 4 ივნისს. ეს ვაშინგტონის ერთ-ერთ პრესტიჟულ დარბაზში, საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ შენობაში იქნება. რამდენიმე ასეულ სტუმარს ველოდებით. მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე. რაც შეეხება პრეზიდენტის მონაწილეობას, ასეთი ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

*მე-13 გვერდიდან*

1. ისრაელ-არაბეთის „იომ-კიპურის“ ომი და პან-არაბული ემბარგო“, 1973 წ.
2. რევოლუცია ირანში, 1979 წ.
3. ერაყ-ირანის ომი, 1980 წ.
4. საუდის არაბეთის მიერ ნავთობმოპოვების გაზრდა, 1986 წ.
5. ერაყის შეჭრა ქუვეითში – ომი სპარსეთის ყურეში, 1990 წ.
6. აზიის ეკონომიკური კრიზისი, რამაც ნავთობის ფასების დაცემა გამოიწვია, 1998 წ.
7. „ოპეკის“ მიერ ნავთობის მოპოვებაზე კვოტების დაწესება, 2000 წ.
8. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი (9/11).
9. ვენესუელის ნავთობის სექტორში დასაქმებული მუშების გაფიცვა, 2003 წ.
10. პროგნოზი მექსიკის ყურეში ქარიშხალ „ივანის“ შეტევის შესახებ, 2004 წ.
11. პროგნოზი ქარიშხლების — „დენისი“, „კატრინა“ და „რიტა“ – შეტევის შესახებ, 2005 წ.
12. ნიგერიელი მეამბოხეების თავდასხმები ნიგერიის ნავთობსადენებზე, 2006 წ.
13. ნავთობზე მოთხოვნის სწრაფი ზრდა, 2007 წ.
14. გლობალური ეკონომიკური ზრდის გამო მოთხოვნის ზრდა ნავთობზე და დოლარის კურსის დაცემა, 2007-2008 წწ. ამასთან, 2008 წლის 11 ივლისს ნავთობის ფასმა ყველა რეკორდი მოხსნა და ბარელზე 147 აშშ დოლარი შეადგინა. რამდენიმე დღეში რფ-საქართველოს ომი დაიწყო...

# ნავთობის მსოფლიო ფასების რყევა და თანამედროვე გეოეკონომიკური ტენდენციები

ეს სქემა, რომელიც აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერაა შედგენილი, ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ მგრძნობიარეა ნავთობის მსოფლიო ბაზარი სხვადასხვა გეოპოლიტიკური რყევებისა და მეტეოროლოგიური პროგნოზებისადმი. ამ პირობებში საკმარისია ამ „რყევების“ ხელოვნური პროვოცირება და ნავთობის კონიუნქტურა მომენტალურად იცვლება – მცირდება მიწოდება და იზრდება ფასები. თუმცა, სირიის კონფლიქტი ამ სქემაში „არ ჯდება“, ანუ სირიის მოვლენები ნავთობის ბაზრებზე ნაკლებად მოქმედებს. მართალია, „რყევებს“ ხშირად, გეოპოლიტიკის პარალელურად, ცალკეული ნავთობმომპოვებლებისა და სპეკულანტების მიზანმიმართული ქმედებებიც განაპირობებს, მაგრამ სირიის ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებას, ნავთობის ფასზე მხოლოდ სპეკულაციური ზემოქმედებით ვერ ავხსნით...

ამიტომ 2013 წლის დასაწყისიდან დღემდე, გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესუსტების ფონზე, ნავთობის ფასების დაცემის მყარი ტენდენცია, შესაძლებელია უკვე არა გეოეკონომიკური, არამედ ტექნოლოგიური მოვლენებით აიხსნას.

## ფიქლების ნავთობი ფიქლების გაზზე არანაკლებ კონკურენტულია

ამ საუკუნის დასაწყისიდან ამერიკული ფიქლების გაზის პარალელურად, ე.წ. ფიქლების ნავთობის გამოსვლა მსოფლიო ბაზარზე რეალობად გადაიქცა. ამერიკა გაზთან ერთად, თანდათან ნავთობის ექსპორტიორად იქცევა. ამას კანადის ალბერტას პროვინციის „ბიტუმის ქვიშის“ ნავთობის მოსალოდნელი ექსპორტიც ემატება, რაც ამ ნედლეულის ბაზარზე მიწოდებას ზრდის და, შესაბამისად, მსოფლიო ბირჟებზე მის ფასს ამცირებს.

აღნიშნულის საპასუხოდ, არ გამორიცხავენ „ოპეკის“ ქვეყნების მხრივ მოპოვების შემცირებას ფასის შენარჩუნებისთვის, თუმცა ეს ღონისძიება იმდენად ეფექტური ველარ იქნება, რომ მოხერხდეს ფასის დღევანდელ დონეზე „დაჭერა“. ამასთან, 2012 წლის ბოლოს, ისრაელში მოხდა საინტერესო მოვლენა — ოფიციალურად გაიხსნა ბუნებრივი გაზის ოფშორული საბადოები „ლევიათანი“ და „თამარი“, მაგრამ უფრო საინტერესოა ინფორმაცია ისრაელში არატრადიციული ნავთობის მარაგების შესახებ. ამ ქვეყანაში არსებობს „შფელას“ ფიქლების აუზი, სადაც სავარაუდოდ, 250 მლრდ ბარელი ნავთობის მარაგები უნდა იყოს. ეს ისრაელს კანადის, აშშ-სა და ჩინეთის შემდეგ, მსოფლიოს მეოთხე არატრადიციული ნავთობის მარაგების მქონე ქვეყნად აქცევს.

ამრიგად, სახეზეა მსოფლიო გეოეკონომიკის უნიკალური ტენდენცია — გლობალური ეკონომიკის გამოცოცხლებას ნავთობის გაძვირება არ მოჰყოლია. ასევე, სირიის კონფლიქტის გამწვავების პირობებში სახეზეა ნავთობის ფასების არა ზრდის (როგორც აქამდე ხდებოდა), არამედ მათი შემცირების ტენდენცია. სავარაუდოდ, ამ ტენდენციის გამომწვევი მიზეზი ენერგომატარებლების ახალი სახეობების გაჩენაა. 2009 წლიდან ამ ახალი საწვავით აშშ და კანადა თითქმის სრულად იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნას ენერგომატარებლებზე. შედეგად, მათთვის მისაწოდებელი ენერგომატარებლები უკვე ევროპისა და აზიის ბაზრებისკენ დაიძრა, რაც საწვავის ფასს ამცირებს. ამის შედეგი კი, საშუალოვადიან პერსპექტივაში იქნება, მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრის „მიმწოდებლის“ ბაზრიდან „მომხმარებლის“ ბაზრად ტრანსფორმაცია...

# აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში წინწყაროს, ნიგვზიანისა და თეთრიწყაროს ინციდენტებიც მოხვდა




აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების 2012 წლის ანგარიშში წინწყაროში, ნიგვზიანსა და თეთრიწყაროში განვითარებული მოვლენები მოხვდა.

დოკუმენტში საუბარია სიძულვილის ენის ხშირ გამოყენებასა და ბათუმში აზიზიეს მეჩეთის რეკონსტრუქციის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებზეც.

ანგარიში, რომელიც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რამდენიმე თემატური ნაწილისგან შედგება, რომელთა შორისაა – რელიგიური დემოგრაფია; ხელისუფლების პატივისცემა რელიგიური თავისუფლებისადმი; საზოგადოების პატივისცემა რელიგიური თავისუფლებისადმი და აშშ-ს სახელმწიფო პოლიტიკა.

ქვეთავში, სახელწოდებით რელიგიური დემოგრაფია, აღნიშნულია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, მოსახლეობის რაოდენობა 4,5 მილიონს შეადგენს, რომელთა 84% მართლმადიდებელია, 10% — მუსულმანი, ხოლო 4% — სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მრევლი.

ანგარიშის თანახმად, ეთნიკური ქართველების უმეტესობა მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლია, თუმცა ეთნიკური რუსები ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვა ორთოდოქსალური ჯგუფების წარმომადგენლები არიან, როგორიცაა დუხობორები, სტაროვერები და ა.შ.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური აზერბაიჯანელი, რწმენით კი მუსულმანია.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ცალკეულ მუსულმანურ ჯგუფებში შედიან ეთნიკური ქართველებიც აჭარიდან. რაც შეეხება ეთნიკურად სომეხ მოსახლეობას, ანგარიშში ნათქვამია, რომ ისინი, ძირითადად, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის წევრები არიან და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმეტესობას წარმოადგენენ.

**„კათოლიკები, ქურთები, ბერძენი ორთოდოქსები და იუდეველები მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებს შეადგენენ. „არატრადიციული“ რელიგიური დაჯგუფებები კი, როგორებიც არიან ბაპტისტები, იეჰოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები, ერთობლივად მოსახლეობის 1%-ზე ნაკლებს შეადგენენ“,** — აღნიშნულია ანგარიშში.

ქვეთავში, სახელწოდებით ხელისუფლების პატივისცემა რელიგიური თავისუფლებისადმი, აღნიშნულია, რომ კონსტიტუცია და სხვა კანონები რელიგიურ თავისუფლებას იცავენ.

**„კონსტიტუცია აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ისტორიაში, თუმცა ითვალისწინებს ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან. კანონი უზრუნველყოფს რელიგიური რწმენის თავისუფლებას, რელიგიური კუთვნილების არჩევისა და შეცვლის ჩათვლით“,** — ნათქვამია ანგარიშში.

დოკუმენტის თანახმად, ხელისუფლებასა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატი მართლმადიდებლურ ეკლესიას უნიკალურ სტატუსს ანიჭებს, რადგან ამგვარი შეთანხმება სხვა რელიგიურ დაჯგუფებებთან არ არსებობს.

ასევე, როგორც ანგარიშშია ნათქვამი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ერთადერთი რელიგიური ჯგუფია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან წლის განმავლობაში 22,8 მილიონ ლარს იღებს.

დოკუმენტის თანახმად, საგადასახადო კოდექსი რელიგიურ ჯგუფებს გადასახადებისგან ნაწილობრივ ათავისუფლებს, თუმცა – არათანაბრად.

როგორც ანგარიშშია ნათქვამი, მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, ყველა რელიგიური ჯგუფი იხდის საშემოსავლო გადასახადს, დღგ-ს, ასევე რელიგიური შენობების მშენებლობა-აღდგენასთან დაკავშირებულ გადასახადებს.

დოკუმენტის თანახმად, მთავრობა, როგორც ეროვნულ დღესასწაულებს, აკვირდება რელიგიურ დღესასწაულებს – ქრისტეშობა, ნათლისღება, დიდი პარასკევი, აღდგომა, აღდგომის ორშაბათი, მოციქულ ენდრიუს დღე, მარიამობა, სვეტიცხოვლობა, გიორგობა და ნოვრუზ ბაირამი.

**„არ ყოფილა ინფორმაცია რელიგიური თავისუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ. ხელისუფლებამ ეფექტურად მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ იმოქმედა – არ გაუწია წინააღმდეგობა ხალხს, რომელმაც ისლამური სამლოცველოს შესასვლელი დაანგრია. სისტემური პრობლემები უცვლელი რჩება – სადავო საეკლესიო საკუთრების დაბრუნების შესახებ, რომელსაც რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები ითხოვენ. ასევე, ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, პრივილეგირებული იურიდიულ და საგადასახადო სტატუსი აქვს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, ასევე არასრულად არის გამოყოფილი ეკლესია სახელმწიფოსგან და სახელმწიფო სკოლებისგან. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიისას ცალკეულმა კანდიდატებმა გამოავლინეს რელიგიური და ეთნიკური არატოლერანტულობა“,** — აღნიშნულია ანგარიშში.

მასში NDI-ის კვლევებზე დაყრდნობით ნათქვამია, რომ სიძულვილის ენა გამოყენებული იყო ვიცე-სპიკერ მურმან დუმბაძის მიერ, რომელმაც „რესპუბლიკელ“ გია მასალკინზე განაცხადა, რომ იგი არ იყო ეთნიკურად ქართველი და სწორედ ამიტომ არ ადარდებდა ბათუმში აზიზიეს მეჩეთის შესაძლო რეკონსტრუქცია.

დოკუმენტის თანახმად, 2012 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ 24 მეჩეთს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ კულტურის სამინისტრომ წლის განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიაზე მდებარე რელიგიური შენობების აღსადგენად 13 მილიონი ლარი გამოყო.

დოკუმენტის თანახმად, 2012 წლის ბოლოს ხელისუფლებამ 14 რელიგიური ჯგუფი იურიდიულ პირებად დაარეგისტრირა.

ანგარიშში საუბარია რელიგიურ უმცირესობათა ცალკეულ წარმომადგენლებზე თავდასხმის ფაქტებსა და მათზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირებაზეც. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფებმა წლის განმავლობაში მათი უფლებების დარღვევის შესახებ 11 საჩივარი შეიტანეს.

დოკუმენტის თანახმად, აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი ცენტრალური მთავრობის კონტროლსმიღმა იმყოფება, შესაბამისად, იქ მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიღება რთულია.

ხშირ შემთხვევაში კი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანებს ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთაში პრობლემები ექმნებოდათ და ახლობლების საფლავებზე ვერ მიდიოდნენ.

ანგარიშში საუბარია საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის განცხადებებზეც, რომლებშიც ისინი დადებითად აფასებენ სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლების წვლილს ქვეყნის განვითარებაში.

დოკუმენტის ქვეთავში, სახელწოდებით – ხელისუფლების პასიურობა, ნიგვზიანში განვითარებული მოვლენები მოხვდა.

ანგარიშში დადებითადაა შეფასებული პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის თანახმადაც, დანაშაული უფრო მძიმდება, თუ ის ჩადენილია რელიგიურ ნიადაგზე.

ანგარიშის ქვეთავში, საზოგადოების პატივისცემა რელიგიური თავისუფლებისადმი, საუბარია ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აღდგენის საწინააღმდეგო აქციებზე, ასევე მოყვანილია იეჰოვას მოწმეების კომენტარები, სადაც ისინი ირწმუნებიან, რომ ავიწროებენ.

**„1 ოქტომბრის არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ მცირე პერიოდში, ადგილი ჰქონდა ქსენოფობიურ განცხადებებს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მისამართით. 29 და 30 ნოემბერს, წინწყაროში მართლმადიდებლები მუსულმანებს სამლოცველო სახლში შეკრებას უკრძალავდნენ, ემუქრებოდნენ და ვითარებაში პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო. პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კი გააკეთა განცხადება, რომ რწმენის თავისუფლება საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის კონსტიტუციით გარანტირებულია და კონფრონტაციაში დამნაშავე პირები მკაცრად დაისჯებიან“,** — აღნიშნულია ანგარიშში.

დოკუმენტის ბოლო თავი ამ მიმართულებით აშშ-ს სახელმწიფო პოლიტიკას ეთმობა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამერიკის საელჩო რელიგიური ტოლერანტობის უზრუნველსაყოფად რეგულარულად და აქტიურად მუშაობდა როგორც პარლამენტის, ისე რელიგიური ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ამერიკის ელჩი რამდენჯერმე შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის განსახილველად.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ ელჩი შეხვდა მარნეულსა და თეთრიწყაროში მცხოვრებ მუსულმან ლიდერებს და მათ პრობლემებს გაეცნო.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, საელჩომ გამოყო მცირე გრანტები ადგილობრივი არასამთავრობოებისთვისაც, რომლებიც რელიგიური უმცირესობების მხარდაჭერისა და რელიგიურ უმცირესობათა სამოქალაქო-საგანმანათლებლო ინიციატივებისთვის იყო გამიზნული, რათა სახელმწიფო დაწესებულებებსა და რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის კავშირები გაუმჯობესდეს.

***„ინტერპრესნიუსი“***

გიორგი ბექაური
FOR.GE

**ხაიშისა და მიმდებარე სოფლებში პროტესტმა სულ უფრო იმატა. მოსახლეობამ, 20 მაისს, მესტიაში მორიგი საპროტესტო აქცია გამართა. ისინი ხუდონჰესის მშენებლობას აპროტესტებენ. აქციის მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას, გაითვალისწინონ მათი მოთხოვნა, რათა არ მოხდეს ხუდონჰესის მშენებლობის დაწყება.**

# ხუდონჰესის წინააღმდეგ სვანების პროტესტი სწრაფად მატულობს



როგორც მოსახლეობა აცხადებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მოუწევთ საკუთარი სახლ-კარის დატოვება, რასაც ხაიშისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება. სოფელ ხაიშში თვე არ გავა, რომ ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო აქცია არ გაიმართოს. 2 კვირის წინ კი დაბის მოსახლეობამ, იქვე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, წმინდა გიორგის ხატთან ფიცი დადო, რომ ჰესის მშენებლობას შეეწინააღმდეგებიან და არ დაუშვებენ მის აშენებას.

მაისის დასაწყისში, აღდგომის შემდეგ, ხაიშის წმინდა გიორგის ეკლესიაში შვიდი თემის მცხოვრებნი ჩავიდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ხუდონჰესის მშენებლობა დაუშვებელია, რადგან ხაიში და მთლიანად სვანეთი, საფრთხის წინაშე დადგება.

**„ხუდონჰესის მშენებლობით წყლით დაიფარება მთლიანად სვანეთი, მათ შორის, ჩვენი სალოცავები და ის ეკლესია, რომელიც მეთორმეტე საუკუნეშია აშენებული და ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევებმა მოაღწია. ადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით აღადგინა ეს სალოცავი. გარდა ამისა, წყლით დაიფარება ჩვენი წინაპრების საფლავები. ხუდონჰესის მშენებლობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ხაიშის მოსახლეობას, არამედ მთლიანად სვანეთსა და საქართველოს. ჩვენ ხატზე დავიფიცეთ, რომ შევეწინააღმდეგებით აქ ხუდონჰესის მშენებლობას. ფიცს არ გავტეხთ“,** — აცხადებდნენ ხაიშში მცხოვრები სვანები.

ფიცის დასადებად დაბა ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მხოლოდ მამაკაცები მივიდნენ — თითო ოჯახიდან თითო მამაკაცი. ფიცის დადების ცერემონიალი, დაახლოებით, ნახევარ საათს გრძელდებოდა.

ამასობაში, საქართველოს მთავრობის სხდომაზე ხუდონჰესთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაში ცვლილებები შევიდა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ხათუნა გოგალაძის თქმით, საუბარია საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე, რომელიც საქართველოს მთავრობას, შპს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს, შპს „ენერგოტრანსს“, „ტრანსელექტრიკა ლიმიტედსა“ და „ტრანსელექტრიკა ჯორჯია ლტდს“ შორის 2011 წლის 28 აპრილს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას შეეხება.

**„ცვლილებები, გარკვეულწილად, ტარიფს უკავშირდება, ქვეყნისთვის უფრო მომგებიან პოზიციაში ჩაყენებას, თუმცა, საერთოდ, მემორანდუმისა და ასეთი ხელშეკრულებების ნაკლი ის გახლავთ, რომ ქვეყანას გარკვეულ ვალდებულებებს ანიჭებს. რაღაც ჩარჩოებში აქცევს იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება ამ პროექტის განხორციელება“,** — განაცხადა ხათუნა გოგალაძემ. მისივე თქმით, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მსგავს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ჯერ ყველაფრის შესწავლა, გაანალიზება და ამის შემდეგ ხელშეკრულების ან მემორანდუმის დადება.

**„ჩვენი პოზიციით, ყველანაირი შესწავლა უნდა მოხდეს იმისთვის, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ“,** — აღნიშნა გოგალაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ მისთვისაც და მთავრობის ნებისმიერი წევრისთვისაც მოსახლეობის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია.

**„ჩემთვისაც და დარწმუნებული ვარ, მთავრობის ნებისმიერი წევრისთვისაც, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის აზრს. განსაკუთრებით კი, ხაიშის მოსახლეობისას, რომლებიც პროექტის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ყველაზე მეტად დაზარალებულ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნებოდნენ“,** — აღნიშნა გოგალაძემ.



# ჰოროსკოპი
## 22 მაისი

***ვერძი*** — არ არის გამორიცხული, ვიღაცამ არასწორად შეაფასოს თქვენი აქტიურობა და ზედმეტად თავდაჯერებულად მიგიჩნიოთ. არადა, სწორედ დღეს მოგეცემათ შესაძლებლობა, პარტნიორებთან შეთანხმებას მიაღწიოთ და სულიერი სიმშვიდეც მოიპოვოთ.

***კურო*** — დღეს აუცილებელია მოთმინებითა და გამძლეობით აღიჭურვოთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტებს ახლობლებსა და ხელქვეითებთან. შეეცადეთ, მეტი იფანტაზიოროთ და ამას არ ინანებთ. არის ალბათობა, დღეს პრემია ან სხვა დაუგეგმავი შემოსავალი მიიღოთ.

***ტყუპები*** — თქვენთვის დღე მთლიანობაში სასიკეთოა — თუ იშრომებთ, მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. შესაძლოა, გაუცნობიერებლად აღმოაჩინოთ უკვე მივიწყებული პრობლემების მოგვარების ოპტიმალური გზა. სასარგებლო იქნება იმ მეგობრების რჩევა, ვისთანაც დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებთ.

***კირჩხიბი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღე წარმატებებსა და სასიამოვნო ჰაემანს ჰპირდება. შესაძლოა, მოულოდნელად, ჰონორარი მიიღოთ. დღეს რომანტიკული განწყობა არ მოგცემთ საშუალებას, მოსაწყენი საქმით დაკავდეთ. სავარაუდოა ასევე, ახალი ნაცნობობა.

***ლომი*** — ლომებს დღე უფროსებთან კამათს უქადის, თუმცა მთლიანობაში, ის საკმაოდ ეფექტურად ჩაივლის, თუკი საკუთარ პოტენციალს საქმეების მოგვარებაზე დახარჯავთ, რაც ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს. მიმდინარე საქმეები არც ისე რთული აღმოჩნდება, სამაგიეროდ, მოგებას მოგიტანთ.

***ქალწული*** — ქალწულებს დღეს ფინანსური დანაკარგი ელით — ეს ყველაფერი კი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო ხდება. არ არის გამორიცხული, საღამოს სასიხარულო შეხვედრა შედგეს. ვარსკვლავები გახსენებენ, დრო და ყურადღება ოჯახის წევრებსაც დაუთმოთ. დღის მეორე ნახევარში კი სტუმრებს უნდა ელოდეთ.

***სასწორი*** — დღეს სამსახურში განსაკუთრებით ფრთხილად და ყურადღებით უნდა იყოთ, ასევე — ძალიან თავაზიანი და მომხიბვლელი. აუცილებელია მთელი დღის განმავლობაში საკუთარ რაციონში შეამციროთ მარილიანი, ცხიმიანი და მწარე საკვები. დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, ვერ შეძლოთ იმ საქმეების შესრულება, რაც დაგეგმილი გქონდათ.

***ღრიანკალი*** — დღეს ძალიან მშვიდად იქნებით. სასარგებლო და სასიხარულო აღმოჩნდება ურთიერთობა უფროსი ასაკის ადამიანებთან. ფინანსურ ოპერაციებში, სჯობს, მეტი გამბედაობა გამოავლინოთ და ყურადღება მხოლოდ საქმეზე გადაიტანოთ.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებს დღეს ვარსკვლავები ურჩევენ, სიფრთხილე გამოიჩინონ. დიდი ხნის წინ დაგეგმილი მგზავრობა, შესაძლოა, ობიექტური მიზეზების გამო გადაიდოს, თუმცა მხოლოდ ცოტა ხნით. მთელი დღის განმავლობაში მღელვარებით დააკვირდებით უმცროსი ასაკის ახლობლის ქცევებს.

***თხის რქა*** — დღეს დრო არ გეყოფათ ურთიერთობებისთვის. ნიშნის წარმომადგენელი მამაკაცები საქმეში ორიგინალურობასა და ნოვატორობას გამოავლენენ. მშვენიერი სქესის წარმომადგენლები კი გარეგნობით გაიბრწყინებენ. ფინანსურ სფეროში დღე ასევე საკმაოდ წარმატებით ჩაივლის.

***მერწყული*** — მერწყულებისთვის საუკეთესო დღეა შეხვედრებისა და პაემნისთვის. სახლის საქმეებსაც მშვენივრად უძღვებით. გაატარეთ დღე ოჯახის წევრებთან ერთად ან მეგობრებს მიაკითხეთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

***თევზები*** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს საპირისპირო სქესთან განსაკუთრებული წარმატებით ისარგებლებენ. საღამოს შეგიძლიათ სილამაზის სალონში ვიზიტი დაგეგმოთ. გარშემომყოფების ნაკლზე ზედმეტ ყურადღებას ნუ გაამახვილებთ, სხვა შემთხვევაში, დღის ბოლოს შესაძლოა, მარტო აღმოჩნდეთ.

# გონებაჩლუნგობას უმკურნალებენ?

ამერიკელმა მკვლევარებმა ჯორჯიის სამედიცინო კოლეჯიდან მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი ვირთხა გამოიყვანეს, რომელსაც მხოლოდ ერთი გენი შეუცვალეს. მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ამ ტექნოლოგიის გამოყენება ადამიანის ინტელექტის ასამაღლებლადაც შეიძლება. მღრღნელი, რომელსაც ჰობი-ჯეი დაარქვეს, თანამოძმეებზე უკეთ ახსოვს ლაბირინთიდან გამოსასვლელი გზა. საქმე ისაა, რომ ვირთხის ემბრიონს გენეტიკური მასალა შეუყვანეს, რითაც NR2B-გენი გააუმჯობესეს, რომელიც მეხსიერებას მართავს. სწავლულთა ექსპერიმენტი იმედს იძლევა, რომ მომავალში, გარკვეული პრეპარატების მეშვეობით, შესაძლებელი გახდება გონებაჩლუნგობის განკურნება. კვლევის შედეგები ნიშნავს, რომ ადამიანს ერთხელ გაგონილი ინფორმაცია კარგა ხანს ემახსოვრება, თუმცა, სწავლულები აცხადებენ, შესაბამისი პრეპარატის შექმნაზე, შესაძლოა, ათწლეულები დასჭირდეთ.




## შენდომა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**






**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | | | 5 | 8 | | 2 | |
| | 3 | | 1 | | | | 7 | |
| | | | | 2 | 9 | | | 8 |
| | | | | | | 6 | | 9 |
| | 1 | | | | | | 8 | |
| 5 | | 4 | | | | | | |
| 8 | | | 2 | 1 | | | | |
| | 6 | | | | 5 | | 1 | |
| | 5 | | 6 | 8 | | | 9 | 2 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 4 | | | | | 6 | |
| | | 5 | | | | | 2 | |
| 3 | | | | 6 | | | | |
| 4 | | | | 2 | 1 | | | |
| | 1 | | 5 | 9 | 8 | | 4 | |
| | | | 6 | 7 | | | | 3 |
| | | | | 5 | | | | 2 |
| | 4 | | | | | 7 | | |
| | 7 | | | | | 4 | 1 | 9 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | | | | |
| | | | 9 | | 3 | 4 | | |
| 1 | | | | 6 | 5 | 3 | | 8 |
| 2 | | | | 5 | | | 8 | 4 |
| | | 4 | | | | 6 | | |
| 9 | 6 | | | 4 | | | | 3 |
| 8 | | 1 | 2 | 9 | | | | 6 |
| | | 6 | 5 | | 4 | | | |
| | | | | | | | 1 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | | | 4 | | |
| 2 | 8 | 7 | | | 4 | | | 9 |
| 9 | 5 | | | 2 | | | | |
| | | 9 | 5 | 4 | | | | |
| 6 | | | | 1 | | | | 7 |
| | | | | 6 | 7 | 5 | | |
| | | | | 8 | | | 5 | 1 |
| 5 | | | 7 | | | 9 | 6 | 4 |
| | | 6 | | | | 7 | | |



1. ჩაუკეტავი მრუდი მათემატიკაში
2. საკურორტო დაბა ყირიმში
3. ყალმუხეთის დედაქალაქი
4. თვითმფრინავიდან გადმოსახტ. მოწყობილ.
5. საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე
6. სისხლის ავთვისებიანი დაავადება
7. კაციჭამიაობა
8. ინდ. მსახიობი აიშვარია ...
9. ტაჯიკ. ლიტერატურის კლასიკოსი
10. სამხედ. გემების დიდი შენაერთი
11. ამაზონის დელფინი
12. ალჟირის, მაროკოს, ტუნისის საერთო სახელწოდ.
13. სახოტბო ლექსი
14. ქართველ მამაკაცთა ეროვნული სამოსი
15. ხელის საგრილობელი
16. ინდონეზიის კუნძული
17. სპეც. ავტონომ. რაიონი ჩინეთში
18. ხილი
19. პარკოსანი მცენარე
20. №1 ჩოგანი
21. ინგლ. მომღერალი
22. ჭერში გასაკრავი ქსოვილი
23. ხელოვნური აბრეშუმი
24. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ვალუტა
25. ჯუჯა ხეების გამოზრდის ხელოვნება
26. მომთაბარე ხალხთა ძველბერძ. სახელი
27. ძვ. ეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
28. მხატვრულ ნაკეთობათა მაღაზია
29. გავარვარებული ვულკანური მასა
30. იგივეა, რაც შუშა
31. თამაშიგამოცანა
32. ცეზარის „გადალახული“ მდინარე
33. დიდგორის ომი ანუ „... საკვირველი“
34. ხუთი წერტილი კამათელზე
35. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში
36. იგივეა, რაც ცვარი
37. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
38. „მოტორი“ - ქართულად
39. შუშანიკის მამის სახელი
40. ცალკეული მოძრაობა სპორტში
41. მდინარე აფრიკაში
42. პოეტების მეფე საქართველოში
43. მუსიკოსი ... ჯაგერი
44. „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ - ავტორი
45. საოჯახო ელექტროხელსაწყო
46. „შევროლეს“ მოდელი
47. იტალ. მწერალი უმბერტო ...
48. თმის მცენარეული საღებავი
49. ინგლ. მსახიობი ... ფარელი
50. გაზაფხულის ყვავილი
51. ავეჯის მოძრავი ყუთი
52. ქვეყნის ნაწილი
53. მდინარე გერმანიაში
54. სამშენებლო მასალა
55. დაავად. განვითარ. უმაღლესი მწვერვალი
56. იტალ. ფეხბურთელი ანჯელო დი ...
57. ქიმიური ელემენტი, მეტალი
58. კომპანია „ეფლის“ დამფუძნებელი
59. ცხენების ჯოგი
60. კენიის დედაქალაქი
61. გერმ. მწერალი კარლ ...
62. ველური კომში
63. საფრანგეთის დედაქალაქი
64. კაბარეში პოპულარული ცეკვა
65. ამერიკელთა მეტსახელი
66. გათხოვილი ქალისადმი მიმართვა სკანდინავიის ქვეყნებში
67. ბრაზილიელი ფეხბურთელი
68. კიმონოს შესაკრავი ქამარი
69. სამხრეთამერიკული ცხოველი

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 1 | 9 | 7 | 5 | 4 | 3 | 6 |
| 4 | 9 | 7 | 6 | 3 | 2 | 5 | 1 | 8 |
| 5 | 3 | 6 | 1 | 4 | 8 | 2 | 9 | 7 |
| 6 | 7 | 2 | 8 | 1 | 4 | 3 | 5 | 9 |
| 3 | 5 | 9 | 7 | 2 | 6 | 1 | 8 | 4 |
| 1 | 4 | 8 | 5 | 9 | 3 | 7 | 6 | 2 |
| 8 | 2 | 5 | 4 | 6 | 1 | 9 | 7 | 3 |
| 7 | 1 | 4 | 3 | 8 | 9 | 6 | 2 | 5 |
| 9 | 6 | 3 | 2 | 5 | 7 | 8 | 4 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 2 | 8 | 7 | 5 | 1 | 4 | 9 |
| 5 | 1 | 9 | 3 | 4 | 6 | 2 | 8 | 7 |
| 4 | 8 | 7 | 2 | 1 | 9 | 6 | 3 | 5 |
| 7 | 5 | 1 | 6 | 3 | 2 | 4 | 9 | 8 |
| 8 | 2 | 6 | 7 | 9 | 4 | 5 | 1 | 3 |
| 9 | 4 | 3 | 5 | 8 | 1 | 7 | 6 | 2 |
| 6 | 3 | 8 | 1 | 5 | 7 | 9 | 2 | 4 |
| 2 | 9 | 5 | 4 | 6 | 8 | 3 | 7 | 1 |
| 1 | 7 | 4 | 9 | 2 | 3 | 8 | 5 | 6 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 9 | 4 | 3 | 7 | 2 | 8 | 6 |
| 8 | 2 | 7 | 1 | 9 | 6 | 5 | 3 | 4 |
| 6 | 4 | 3 | 8 | 2 | 5 | 7 | 1 | 9 |
| 1 | 3 | 6 | 5 | 8 | 2 | 4 | 9 | 7 |
| 9 | 8 | 5 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 7 | 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 7 | 9 | 8 | 6 | 5 | 3 | 1 | 4 | 2 |
| 3 | 6 | 4 | 2 | 7 | 1 | 9 | 5 | 8 |
| 2 | 5 | 1 | 9 | 4 | 8 | 6 | 7 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 6 | 2 | 7 | 1 | 5 | 8 | 4 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 |
| 1 | 8 | 7 | 6 | 3 | 4 | 9 | 5 | 2 |
| 6 | 5 | 9 | 4 | 8 | 3 | 2 | 1 | 7 |
| 2 | 7 | 1 | 5 | 9 | 6 | 4 | 3 | 8 |
| 8 | 3 | 4 | 2 | 7 | 1 | 6 | 9 | 5 |
| 7 | 2 | 5 | 3 | 6 | 9 | 1 | 8 | 4 |
| 4 | 1 | 6 | 8 | 5 | 7 | 3 | 2 | 9 |
| 3 | 9 | 8 | 1 | 4 | 2 | 5 | 7 | 6 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 2 | 9 | 1 | 5 | 8 | 7 | 6 |
| 5 | 8 | 6 | 7 | 4 | 3 | 2 | 9 | 1 |
| 1 | 9 | 7 | 8 | 2 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 3 | 2 | 1 | 4 | 9 | 7 | 6 | 8 | 5 |
| 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 2 | 1 | 3 | 4 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 8 | 1 | 7 | 2 | 9 |
| 8 | 6 | 9 | 1 | 7 | 4 | 3 | 5 | 2 |
| 7 | 1 | 5 | 2 | 3 | 9 | 4 | 6 | 8 |
| 2 | 4 | 3 | 5 | 6 | 8 | 9 | 1 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 6 | 7 | 5 | 8 | 4 | 1 | 9 |
| 9 | 8 | 1 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 7 |
| 7 | 5 | 4 | 9 | 2 | 1 | 3 | 8 | 6 |
| 6 | 4 | 3 | 5 | 1 | 7 | 8 | 9 | 2 |
| 2 | 9 | 7 | 3 | 8 | 6 | 1 | 5 | 4 |
| 8 | 1 | 5 | 2 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 7 | 2 | 1 | 6 | 5 | 9 | 3 | 8 |
| 5 | 3 | 9 | 8 | 7 | 2 | 6 | 4 | 1 |
| 1 | 6 | 8 | 4 | 3 | 9 | 2 | 7 | 5 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 4 | 2 | 8 | 1 | 9 | 7 | 6 |
| 2 | 9 | 8 | 4 | 7 | 6 | 3 | 1 | 5 |
| 7 | 1 | 6 | 5 | 9 | 3 | 8 | 2 | 4 |
| 1 | 4 | 3 | 7 | 6 | 2 | 5 | 9 | 8 |
| 8 | 2 | 5 | 3 | 1 | 9 | 4 | 6 | 7 |
| 6 | 7 | 9 | 8 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 |
| 4 | 8 | 1 | 9 | 3 | 7 | 6 | 5 | 2 |
| 9 | 6 | 2 | 1 | 4 | 5 | 7 | 8 | 3 |
| 3 | 5 | 7 | 6 | 2 | 8 | 1 | 4 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 3 | 6 | 9 | 5 | 4 | 2 | 1 |
| 9 | 2 | 1 | 3 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 7 | 1 | 9 | 8 | 3 |
| 2 | 4 | 5 | 9 | 1 | 3 | 8 | 7 | 6 |
| 7 | 3 | 6 | 8 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 8 | 7 | 2 | 6 | 3 | 5 | 4 |
| 5 | 1 | 7 | 4 | 8 | 9 | 6 | 3 | 2 |
| 4 | 6 | 2 | 5 | 3 | 7 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 8 | 9 | 1 | 6 | 2 | 5 | 4 | 7 |

მე-17 გვერდი: 1. პარამარიბო; 2. ონდატრა; 3. ასიმილაცია; 4. პასქა; 5. სოლომონი; 6. მიუნჰაუზენი; 7. როტორი; 8. ბლინდაჟი; 9. ჰეტერა; 10. ობი; 11. დასტა; 12. ტროლეიბუსი; 13. ნერო; 14. აკინაკი; 15. მაქს; 16. უიტნი ჰიუსტონი; 17. ონი; 18. ოვიდიუსი; 19. ერკიულ; 20. ტელემაქე; 21. ამერიკა; 22. ომანი; 23. ჰეროდოტე; 24. ერევანი; 25. მეტ; 26. იოლი; 27. მონა; 28. ალა; 29. კრიჟი; 30. ბია; 31. მანაგუა; 32. ნაფაზი; 33. რალი; 34. ურანია; 35. ივლისი; 36. სუეცი; 37. ნეკი; 38. ვარნა; 39. ჩიფსი; 40. დიადი; 41. სერ; 42. ნაფარეული; 43. არვე; 44. ალჩუ; 45. უთო; 46. აზალია; 47. ლისი; 48. რქა; 49. მიხაი; 50. ხავსი; 51. ასო; 52. ილი; 53. ირისი; 54. კეფირი; 55. ამნეზია; 56. მესა; 57. იასი; 58. ვირი; 59. სია; 60. დოვლათი; 61. სოლ; 62. ივდითი; 63. „ისკრა“; 64. რადამესი; 65. ორი.

მე-20 გვერდი: 1. მუხამბაზი; 2. უნისონი; 3. კლიპი; 4. ეგიდა; 5. პაი; 6. კარაკასი; 7. მაშარაბი; 8. კელა; 9. სინოლოგია; 10. ილიონი; 11. „ეფემერა“; 12. იტილი; 13. ველოსიპედი; 14. სტაფილო; 15. ლისი; 16. ზიზუ; 17. რუალ; 18. მული; 19. უზი; 20. ირა; 21. რაზინი; 22. ოინი; 23. კოლუმბია; 24. მვერუ; 25. ლუპა; 26. ორმო; 27. ვისკოზა; 28. კარაველა; 29. რიზე; 30. „სარკე“; 31. როჯერ; 32. დუბლიორი; 33. ბანი; 34. რა; 35. ომი; 36. ონო; 37. ილლია; 38. ჯუსი; 39. ურდო; 40. მაპუტუ; 41. ივლისი; 42. მერილ; 43. სუომი; 44. სარდალი; 45. პინკი; 46. ამაო; 47. კიო; 48. ჭონქაძე; 49. ივ. 50. ოფიცერი; 51. შაური; 52. სლიჩენკო; 53. ამინ; 54. მარსო; 55. ლანდო; 56. დიდრო; 57. ბოსტონი; 58. ბლანკო; 59. ფხა; 60. ური; 61. სცილა; 62. ქნარი; 63. ბოცმანი; 64. იმედი; 65. სალბი; 66. ცარიცინი; 67. იქსი; 68. სატანა; 69. ინრო; 70. ალან; 71. იზეო; 72. „ოკა“; 73. ჩაი; 74. არგონი; 75. ბროლი; 76. ენძელა; 77. ლოყა; 78. ნირი; 79. სი; 80. ლაიკა; 81. ნოე; 82. ურაზა; 83. ქსუ; 84. წაბლი; 85. ობოლი. ფერად უჯრებში იკითხება: ზევით - შრეკი; ქვევით - კიჭა.



# ჰოროსკოპი
## 23 მაისი

***ვერძი*** — დღეს სასიცოცხლო ძალების დაქვეითება გელით. ჰარმონიული გარემო ხელს შეუწყობს თქვენს ფინანსურ კეთილდღეობას. საშუალება მოგეცემათ, რამდენიმე საქმეს ერთდროულად შეეჭიდოთ და ყოველი მათგანი ბოლომდე მიიყვანოთ.

***კურო*** — თქვენთვის დღეს დიდი მნიშვნელობა ექნება წვრილებსა და ოფიციალურ კითხვებს. არ არის გამორიცხული, ინსტანციიდან ინსტანციაში იაროთ საჭირო დოკუმენტების მისაღებად. დღე რთულია რაიმე საქმის მოსაგვარებლად. უცვლელია ვითრება პირად ცხოვრებაშიც, თუმცა პარტნიორის მიმართ მოთხოვნებს, შესაძლოა, დემონსტრაციული ხასიათი ჰქონდეს.

***ტყუპები*** — დღეს ტყუპებმა, სჯობს, დაისვენონ — საქმეში წარმატებას ნუ დაელოდებით. არ არის გამორიცხული, ახლობელი ადამიანების საქციელმა გული გატკინოთ, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ საღამოს შინ გაატარებთ. დიდია ალბათობა სტუმრების მიღებისა. დღეისთვის დაგეგმილი ყველა საქმე ბოლომდე მიიყვანეთ.

***კირჩხიბი*** — კარგი დღეა კოლეგებთან, ნათესავებსა და ბავშვებთან ურთიერთობისთვის, მაგრამ არ ღირს, რომანტიკულ გრძნობებს აყვეთ, რადგან ამან, შესაძლოა, თქვენს კარიერას ხელი შეუშალოს. დღეს სჯობს, გადადოთ ნებისმიერი ფინანსური პრობლემის მოგვარება, ნუ მოაწერთ ხელს დოკუმენტებს.

***ლომი*** — დღეს თავს კიდევ ერთხელ შეგახსენებთ პრობლემა, რომელიც დიდი ხანია გაღელვებთ. ლომი-მამაკაცები რაინდული საქციელისთვის მზადყოფნას გამოავლენენ. დღის მეორე ნახევარი დასვენებისთვის გამოიყენეთ — მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად კინოში წადით ან დრო წყნარ გარემოში გაატარეთ.

***ქალწული*** — ქალწულებს დღეს სასიცოცხლო და შემოქმედებითი ენერგიის დაქვეითება ელით, თუ საფინანსო საქმეებით არიან დაკავებულნი ან ბანკში მუშაობენ. სხვა სპეციალობის წარმომადგენლებისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი სამუშაო დღეა, თუმცა საღამოს, არ არის გამორიცხული პრობლემები, სიტუაციაში გარკვევის მცდელობა. შეეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლინებისგან.

***სასწორი*** — კარგი დღეა სიყვარულში გამოტყდომისთვის, ქორწინებისთვის, ოჯახური დღესასწაულისთვის. დიდია ალბათობა, სხვადასხვა საქმიან ოპერაციაში წარმატებას მიაღწიოთ, თუკი სწორ ფინანსურ პოლიტიკას გაატარებთ. მაგრამ მუდმივად დგახართ ცდუნების წინაშე და ამიტომ გონივრულად გაანაწილეთ საკუთარი ფინანსები.

***ღრიანკალი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს არც ისე წარმატებული დღე ელით უფროსებთან, მშობლებთან ურთიერთობაში. შუადღისთვის თქვენი შინაგანი ენერგია გარეთაც გამოაღწევს და გაუცნობიერებლად მიადგებით საინტერესო და ოპტიმალურ მეთოდებს პრობლემების მოსაგვარებლად. ამ საქმეში მეგობრებისა და უფროსების რჩევაც გამოგადგებათ.

***მშვილდოსანი*** — ფინანსურ სფეროში საკმაოდ რთული დღე გაქვთ და დაუგეგმავი ხარჯის გაღებაც გელით. სახლში კი მშვიდობა და სიმყუდროვეა. ამის გამო, განწყობაც საკმაოდ ამაღლებული გაქვთ. დღეისთვის დაგეგმილი საქმეები წარმატებით დასრულდება. დღის მეორე ნახევარი შეგიძლიათ საკუთარ თავს დაუთმოთ.

***თხის რქა*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს პარტნიორთან არც ისე მარტივი ურთიერთობა ელით, რაც მათგან უშუალობასა და გულწრფელობას მოითხოვს. ნებისმიერი სიყალბე მხოლოდ ნეგატიურად იმოქმედებს და ყველაფერს დაანგრევს. ფინანსურ სფეროში კი დიდ რყევებს ნუ დაელოდებით. სჯობს, დღეს ემოციებისგანაც თავშეკავებული იყოთ.

***მერწყული*** — დღეს, შესაძლოა, სასიამოვნო თავგადასავლები გადაგხდეთ. დღის ბოლოს მოვლენების მოულოდნელი შემობრუნებაა მოსალოდნელი. ყურადღებით იყავით, რათა სიტუაციაზე კონტროლი არ დაკარგოთ. სავსებით შესაძლებელია, ნათესავებმა საინტერესო და შემოსავლიან სამსახურში მოგაწყონ.

***თევზები*** — დღეს ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაოცებთ. იმის მიუხედავად, რომ თქვენს ქცევაში ბევრი სიმსუბუქე და სპონტანურობაა, მაინც ძველებურად ყურადღებიანი იქნებით მიმდინარე მოვლენებში წვრილმანებისა და ცალკეული ნიუანსების მიმართ. თევზებმა დღეს, შესაძლოა, კარგი ახალი ამბავი გაიგონ ნათესავებისგან. ეს ინფორმაცია გახდება მიზეზი უახლოეს მომავალში ახალი ცხოვრების დაწყებისა.

# მეტროში „სიყვარულის მატარებელი“ იმოძრავებს



ჩეხეთის დედაქალაქის მეტროპოლიტენში „სიყვარულის მატარებელი“ ივლის, სადაც მსურველებს შეეძლებათ, ადგილობრივებსა და პრაღის სტუმრებს შორის ცხოვრების თანამგზავრი იპოვონ. გვინდა, პრაღელების ცხოვრება უფრო სასიამოვნო გავხადოთ და მათი დროც დავზოგოთ, რადგან ხშირად ახალი ნაცნობობისთვის ისინი უბრალოდ ვერ იცლიან, — აცხადებენ დედაქალაქის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლები. მეტროს რამდენიმე მატარებელს „გაცნობის ვაგონს“ მიაბამენ, რომელიც სხვებისგან ფერითაც გამორჩეული იქნება. პირველი „სიყვარულის მატარებელი“, როგორც ვარაუდობენ, უკვე წლის ბოლოს გავა ხაზზე.

# პატიმრებს ქსოვას ასწავლიან



ბრაზილიის ერთ-ერთი გამოსასწორებელი კოლონიის პატიმრები ცხოვრებას საქსოვი ძაფითა და ჩხირებით ილამაზებენ — ისინი მონაწილეობენ პროექტში „ლოტოსის ყვავილი“, რომელიც ტრიკოტაჟის ნაწარმს ექსპორტისთვის ამზადებს. მოდური ტანსაცმლის ადგილობრივ დიზაინერს მუშა-ხელი არ ჰყოფნიდა და დახმარებისთვის კოლონიის ხელმძღვანელობას მიმართა. თანამშრომლობა კი ორივე მხარისთვის სასარგებლო აღმოჩნდა — მოდელიერი მსჯავრდებულებს ყაისნაღითა და ჩხირებით ქსოვას ასწავლის, პატიმრები კი ხელობას ეუფლებიან, რაც გათავისუფლების შემდეგ გამოადგებათ. თანაც, ქსოვაში მათ ხელფასს უხდიან.

# სპრეი ტანსაცმელს ქმნის




ესპანელმა დიზაინერმა მანელ ტორესმა მსოფლიოში პირველი სპრეი შექმნა, რომელსაც შეუძლია გარდერობი შეცვალოს. თუ მას შიშველ ტანზე მიისხურებთ, ის ქსოვილად გადაიქცევა. სპრეი შეიცავს მოკლე ბოჭკოებს, რომელიც პოლიმერულ მასალებთანაა შერეული. დიზაინერი ინჟინერ-ქიმიკოს პოლ ლუკჰემთან თანამშრომლობდა პროექტ Fabrican Ltd-ის ფარგლებში და ავტორები ვარაუდობენ, რომ სპრეი გაყიდვაში უკვე მომავალი წლიდან გამოვა და მისი ერთი ქილა მხოლოდ 15 დოლარი ეღირება.

# ყველაზე ძვირფასი ყველი ვირის რძისგან მზადდება

ყველი, რომელსაც „პულე“ ჰქვია და რომელიც სერბეთში, ვირების ერთ-ერთ ფერმაში იწარმოება, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ყველად აღიარეს — ერთი კილოგრამი პროდუქტის ფასი 1300 დოლარია და ფასი იმითაა განპირობებული, რომ მხოლოდ ერთი კილოგრამის დასამზადებლად 25 ლიტრი, ახალმოწველილი ვირის რძეა საჭირო, ერთი ლიტრი რძე კი 40 ევრო ღირს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღელამის განმავლობაში ვირი მხოლოდ 200 მილილიტრამდე რძეს იწველის. ასე რომ, ყველი „პულე“ მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული დელიკატესების სიაში შევიდა, სადაც მის გარდა, იტალიური ტრიუფელი, ყველაზე ძვირიანი ჰამბურგერი ლას-ვეგასიდან და შავი ხიზილალას ომლეტია. სპეციალისტების განცხადებით, ფხვიერი ყველი „პულე“ გემოთი ესპანურ მანჩეგოს წააგავს.



# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | 1 | | | 8 | | |
| | | 5 | | | | | 9 | 1 |
| | | | | | 5 | | 4 | |
| | 8 | | 9 | 7 | | | | 4 |
| 9 | | 4 | 6 | | 8 | 2 | | 7 |
| 7 | | | | 5 | 4 | | 8 | |
| | 2 | | 8 | | | | | |
| 3 | 9 | | | | | 7 | | |
| | | 7 | | | 1 | 9 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 3 | | | | 7 | 1 |
| | | | 1 | 9 | | | 2 | 3 |
| | | | | 5 | 7 | 9 | | |
| | 9 | 2 | | 3 | | | 4 | |
| | | 6 | | | | 3 | | |
| | 4 | | | 2 | | 7 | 9 | |
| | | 4 | 2 | 1 | | | | |
| 6 | 3 | | | 7 | 4 | | | |
| 2 | 1 | | | | 8 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | 7 | | 2 | | | 5 |
| | | 7 | | | 8 | | | |
| | | | 4 | 3 | | | | 7 |
| | 1 | | | | | 5 | | 9 |
| | | 5 | | | | 4 | | |
| 4 | | 2 | | | | | 6 | |
| 6 | | | | 9 | 4 | | | |
| | | | 5 | | | 8 | | |
| 5 | | | 2 | | 6 | | 4 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | 4 | | | | 1 |
| | | 7 | 3 | | 8 | | | |
| 4 | | | | | | | | 8 |
| | 5 | | | 2 | 9 | | 1 | |
| 6 | | 3 | 1 | | 7 | 2 | | 9 |
| | 2 | | 4 | 3 | | | 7 | |
| 5 | | | | | | | | 2 |
| | | | 5 | | 2 | 1 | | |
| 2 | | | | 1 | | | 6 | |



## მდიდრული ქორწილები განქორწინებით სრულდება

ბრიტანელი სწავლულების განცხადებით, მდიდრული საქორწინო ცერემონიები, რომელზეც უზარმაზარი თანხა იხარჯება, ყველაზე ხანმოკლეა, ხოლო მოკრძალებული ცერემონია მყარი ოჯახის საფუძველია. მიზეზი ისაა, რომ დიდი დღესასწაული დამატებითი ტვირთია და გარკვეულ სირთულეს უქმნის ახალშექმნილ ოჯახს თანაცხოვრების დასაწყისშივე. თუკი პატარძალი უარს ამბობს ლიმუზინზე, ძვირიან საქორწინო ტორტსა და კაბაზე, ეს იმის მანიშნებელია, რომ იგი მზადაა სტაბილური და წარმატებული პარტნიორობისთვის. მდიდრული ცერემონიების შემდეგ განქორწინების ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერია ევროპაში — წყვილები ქორწილს საკუთარი სახსრებით აწყობენ და ხშირად ვალს იღებენ, რათა ეს დღე განსაკუთრებული იყოს, მაგრამ „თაფლობის თვის“ შემდეგ, პირვანდელი შემართება ქრება. ამ პერიოდს ბევრი ვერ უძლებს და წყვილიც შორდება, რისი მთავარი მიზეზიც ოჯახური ურთიერთობები კი არა, ფინანსური პრობლემებია.

## სევდიანი მუსიკა დეპრესიას შველის

მეცნიერებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან გაარკვიეს, რომ სევდიანი მუსიკა ადამიანს დეპრესიისგან თავის დაღწევაში უწყობს ხელს. ამგვარი მელოდიის ზემოქმედება მეგობართან საუბრის ეფექტის მსგავსია. ასე მკვლევარებმა უარყვეს მოსაზრება, თითქოს მძიმე ემოციური მდგომარეობისას ადამიანმა აუცილებლად მხიარულ მუსიკას უნდა უსმინოს ან კომედიას უყუროს. ექსპერიმენტისას მოხალისეებში ჯერ სტრესული მდგომარეობა გამოიწვიეს, შემდეგ კი მონაწილეების სხვადასხვა ჟანრის მუსიკა მოასმენინეს. კვლევის შემდეგ გაირკვა, რომ მონაწილეები ხშირად ირჩევდნენ აგრესიულ მუსიკას, თუკი რაიმეზე განაწყენებულები იყვნენ; სევდიანი მელოდიები იმ დროს იყო პოპულარული, თუ ადამიანი დაშორებას განიცდიდა.







## თეთრეული GPS-ნავიგატორით

ქალის თეთრეულის მშვენიერი კომპლექტი ახლა GPS-ნავიგატორითაც აღჭურვეს. სუსტი სქესისთვის გათვალისწინებული ეს უნიკალური თეთრეული დიზაინერმა ლუსია ლორიომ შექმნა. ასეთი კომპლექტის მფლობელი არსად დაიკარგება, რადგან მდიდრულ საცვლებში GPS-მოწყობილობაა ჩამონტაჟებული, რომელიც თეთრეულის მფლობელი ლამაზმანის ადგილმდებარეობას აფიქსირებს, თუმცა დიზაინერის თქმით, მანდილოსანს არავინ უშლის „მოთვალთვალე მოწყობილობის“ გამორთვას. ტექნოლოგიური სიახლით აღჭურვილი კომპლექტის ფასი 1200-დან 1600 დოლარამდე მერყეობს, იმის მიხედვით, რა მასალისგანაა დამზადებული.

## პიცა დიეტურ პროდუქტებს სჯობს

გავრცელებული მოსაზრებით, პიცა ერთ-ერთი მავნე პროდუქტია, მაგრამ დიეტოლოგი პროფესორი მაიკლ ლინი აცხადებს, რომ შექმნა აბსოლუტურად უვნებელი და დიეტური პიცა. პიცა სამ ვარიანტადაა წარმოდგენილი და შეიცავს ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს. პროდუქტს Eat Balanced pizzas შეარქვეს და უკვე იყიდება ინგლისსა და შოტლანდიაში. ახალი პიცის ცომის მოსამზადებლად წყალმცენარეებს იყენებენ, რის გამოც ის რკინით, თუთიით, „ბე“ ჯგუფის ვიტამინებითა და იოდითაა გამდიდრებული, ტომატის პასტაში კი წითელ წიწაკას სპეციალურად ურევენ, „ცე“-ვიტამინის კონცენტრაციის ასამაღლებლად. მთლიანად, ერთ ასეთ პიცაში საკვები ნივთიერებების რეკომენდებული დღიური დოზის დაახლოებით მესამედია. ადამიანებს, ვინც წონას აკონტროლებს, შეუძლიათ დღეში ორი პიცაც მიირთვან.



1. მაკარონული ნაწარმი, მოკლე სპაგეტი
2. ბალერინა … ნიორაძე
3. უკრაინული წვნიანი კერძი
4. მამათა დიდი მონასტერი
5. იტალიური ფიჭვი
6. სულიერი გადაგვარების ნიშნების მქონე ადამიანი
7. ზაფხულის მეორე თვე
8. ჩე გევარას სახელი
9. ინგლის. ლუდი
10. მდიდრული სასადილო
11. საჭმელე-ბის სია
12. ავრორას ბერძენი „კოლეგა“
13. ანტიკური საანგარიშო დაფა
14. მდინარე ქარელის რაიონში
15. ყელზე მოსახვევი ქსოვილის ნაჭერი
16. …-ხანუმი „გამზრდელ-ში“
17. გერმ. ლეგენდების გმირი … ულენშპიგელი
18. ჭაობის მცენარე
19. ძაფისებური წანაზარდი ადამიანის თავზე
20. სამხედრო მოსამსახურის ალკაზმულობა
21. თარაშ ემხვარის ცხენის სახელი
22. საკურორტო ქალაქი კვიპროსზე
23. იახტა „კაპიტან გრანტის შვილებში“
24. ნუნუ ექიმის წამალი „თეთრ ბაირაღებში“
25. სილის გაწნა
26. დაკოდილი ცხენი
27. ფინჯნის თეფში
28. აბრეშუმის ჭიის მცენ.
29. ცხიმოვანი სიმსივნე
30. ფოსო თვალის ქვეშ
31. კომპოზიტორი არნო …
32. სომხეთის ვალუტა
33. კოლუმბის ხომალდი
34. ქართველ ტომ-თა უძველე-სი სამეფო
35. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი
36. დროებით გაბატონებული გემოვნება
37. კამერუნის დედაქალაქი
38. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
39. წამლის ბურთულა
40. საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტი
41. სცირნობა ჯანმრთელობის განსამტკიცებლად
42. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
43. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
44. … ჰუსეინი
45. ფეხბ. … კინი
46. მაუგლის პითონი
47. აბატი ფარიას ციხე
48. ავეჯის მოძრავი ყუთი
49. ტარიელის და ავთანდილის მეგობარი
50. აზია-ევროპის გამყოფი ქედი
51. უწვერულვაშო მამაკაცი
52. შინაური ფრინველი
53. დამხმარე თეორემა
54. ბუდას სახელი
55. ქართული გაზეთი
56. ვარდობისთვე
57. მდინარე დასავლეთ საქართველოში
58. პლანეტა იუპიტერის ძველქართული სახელი
59. თანამედროვე სალეჭი რეზინის შემქმნელი
60. ყვავილის მსგავსი მარჯნის პოლიპი
61. მუსლიმანური „წმინდა თქმულება“
62. მინდვრის ბალახოვანი მცენარე ლურჯი ყვავილებით
63. ქალაქი ყირგიზეთში
64. ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა
65. მოჭრილი და ტოტებგაცლილი ხე
66. უმცირესი ლუწი ნატურალური რიცხვი
67. ქიმიური ელემენტი, მეტალი
68. ცისფერთმიანი გოგონა „ოქროს გასაღებში“
69. ჩვილი ბავშვის „პირველი“ სიტყვა
70. კალათბურთის ეროვნული ასოციაცია (აბრევიატ.)
71. ჩინური მაფია
72. სომხური ანბანის შემქმნელი
73. პოლი-ფონიური მუსიკის ფორმა
74. გერმანელი ფიზიკოსი
75. იაპონური გრძელი მახვილი
76. პატარძლის თავსაბურავი
77. უუფლებო ადამიანი
78. თუთიყუშის ჯიში
79. მღვდლის სამოსელის ნაწილი
80. ამაზონის დელფინი
81. გასეირნება- ბავშვის ენაზე
82. იაზონის ხომალდი
83. ძიუდოს ხალიჩა
84. იაპონური თეატრის სახეობა
85. იაპონელი სამურაების საბრძოლო ყიჟინა
86. ნოტიო და ჩახუ-რებული ფქვილი
87. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
88. დაბალი ბუსუსები ქსოვილის კარგ პირზე





ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.